

დათო მაღრაძის ახალი ლექსები

B1



"თქვენი აფხაზეთი"

B2



ანგლომანია

B8

www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | ოთხშაბათი, 25 იანვარი, 2006 წელი. №15 (1167) | ფასი 50 თეთრი

## ამბები

### „ოპიზა" მოდიდან არ გადადის



დროებითი საგამოძიებო კომისიის გუშინდელ სხდომაზე ახსნა-განმარტებები ჩამოართვეს საბაჟო დეპარტამენტის ხელმძღვანელს ზურაბ ანთელიძეს და ფინანსთა მინისტრის მოადგილეს გიორგი გოდაბრელიძეს.

A2

## ამბები

### რუსეთი ეუთო-ს არაეფექტურობაზე საუბრობს



რუსეთის თავდაცვის მინისტრმა, რომელიც ამჟამად ოფიციალური ვიზიტით ბაქოში იმყოფება, აზერბაიჯანელ კოლეგასთან ერთად ყარაბაღის საკითხის გარდა, საქართველოდან სომხეთში სამხედრო ბაზების გაყვანის ვარიანტები და კასპიის ზღვის რეგიონში სამხედრო თანამშრომლობის თემაც განიხილა.

A3

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 25/01 | 26 /01 |
|---|---|---|
| თბილისი | -8 | -4 |
| ტყიბული | -2 | 4 |
| სოხუმი | -1 | 4 |
| დმანისი | -14 | -6 |
| გორი | -8 | -2 |
| ონი | -12 | -7 |
| ზუგდიდი | 3 | 7 |
| ახმეტა | -9 | -3 |
| გაგრა | 0 | 4 |
| სამტრედია | 3 | 7 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7981 |
| ევრო | 2.1824 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.1765 |
| რუბლი | 0.0633 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| ამბები | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| საზოგადოება | A 5 |
| სპორტი | A 6 |
| რევიუ | A 7 |
| ეკონომიკა | A 8 |
| პროექტი | B 2 |
| ტენდერი | B3-B7 |
| სხვადასხვა | B 8 |


# ბრძოლა გაზსადენისათვის

## შოკური თერაპიის თანხლებით

თინა შავაძე



როდის შეივსება?

საქართველოს ხელისუფლებამ, დიდი მცდელობის მიუხედავად, ქვეყნის გაზმომარაგებასთან დაკავშირებული მოსალოდნელი საფრთხე თავიდან ვერ აიცილა. შუა ზამთარში, გუშინ, ქვეყანას რუსეთიდან გაზის მოწოდება საერთოდ შეუწყდა. ბოლო დღეებში განვითარებული მოვლენების ფონზე აშკარა გახდა, რომ აფეთქებული სისტემის აღდგენა რუსეთის ხელისუფლების პოლიტიკურ ნებაზეა დამოკიდებული და ამის სანაცვლოდ ის ქართული მხარისგან საკმაოდ მძიმე პირობის შესრულებას მოითხოვს. 2004-2005 წლებში, საქართველოს მთავრობასა და რუსულ კომპანია "გაზპრომს" შორის მოლაპარაკებების დროს გაზსადენის სისტემის პრივატიზების საკითხი აქტუალურად განიხილებოდა.

გაგრძელება A8 გვერდზე

# ქართული სამრევლო კიევში

22 იანვარს კიევში ოფიციალურად გაიხსნა ქართული სამრევლო კიევის საპატრიარქოს (რუსეთისაგან დამოუკიდებელი პატრიოტული მართლმადიდებელი ეკლესია) იურისდიქციაში. ღვთისმსახურება აღასრულა კიევისა და სრულიად რუს-უკრაინის პატრიარქმა უწმინდესმა ფილარეტმა, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ეპისკოპოს ქრისტეფორეს (წამალაიძის) თანამსახურებით. ქართული სამრევლო წმინდა ნინოს სახელობისაა და მის წინამძღვრად მღვდელი ნიკოლოზ ინასარიძე დაინიშნა, რომელიც წირვაზე პატრიარქმა ფილარეტმა ოქროს ჯვრის ტარების უფლებით დააჯილდოვა.

გაგრძელება A3 გვერდზე



უწმინდესმა ფილარეტმა სოზარ სუბარი და ლევან დუჩიძე დააჯილდოვა.

# ამერიკული დიპლომატიის წვლილი ენერგოკრიზისის დაძლევაში

*რუსეთის ენერგეტიკული პოლიტიკა არა მარტო საქართველოს, უკრაინასა და ევროპას (რომლის დამოკიდებულება რუსულ ენერგომატარებლებზე სულ უფრო იზრდება) უქმნის საფრთხეს. როგორც აღმოჩნდა, რუსეთიდან გაზის არასტაბილური მიწოდება აშშ-ს დიპლომატიასაც უმრავლებს საზრუნავს. ბუნებრივია, ჩრდილოეთ კავკასიაში აფეთქებული გაზსადენებისა და მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზის კომპენსირებისთვის, აზერბაიჯანული გაზსადენით შემოტანილი გაზი და თურქეთიდან იმპორტირებული ელექტროენერგია ვერ გამოდგება, მაგრამ, როგორც აშშ-ში თვლიან, "მთავარი ის იყო, რომ მეზობლებმა კრიზისის დროს საქართველოსა და სომხეთს დახმარების ხელი გაუწოდეს". თუმცა, ისიც ფაქტია, რომ სახელმწიფო დეპარტამენტმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მოლაპარაკებებში.*

გაგრძელება A3 გვერდზე




შონ მაკკორმაკი: ჩვენ ჩვენი როლი შევასრულეთ და ვამაყობთ ამით.

# ევროინტეგრაცია და ენერგოუსაფრთხოება

### გელა ბეჟუაშვილის ვიზიტი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში

2006 წლის 23-24 იანვარს, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გელა ბეჟუაშვილი სამუშაო ვიზიტით გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში იმყოფებოდა. მინისტრმა შეხვედრები გამართა ქვეყნის როგორც საკანონმდებლო, ასევე აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან.

24 იანვარს საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელი შეხვდა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრს ფრანკ ვალტერ შტაინმაიერს. შეხვედრის დასასრულს გაიმართა მინისტრების ერთობლივი პრესკონფერენცია. ბატონმა შტაინმაიერმა განაცხადა, რომ გერმაინია იყო, არის და იქნება საქართველოს აქტიური მხარდამჭერი ევროინტეგრაციის პროცესში. მან იმედი გამოთქვა, რომ საქართველო დასახულ ამოცანას წარმატებით გაართმევს თავს.

ამ მხრივ მნიშვნელოვანი იყო ფედერალური კანცლერის მრჩევლის, საგარეო ურთიერთობების, უსაფრთხოებისა და გლობალური საკითხების სამსახურის უფროსის ქრისტოფერ ჰოისგენის განცხადება: **"გერმანია საქართველოს ევროინტეგრაციასა და ნატო-სთან დაახლოების პროცესს ისევე აქტიურად დაუჭერს მხარს, როგორც ამერიკის შეერთებული შტატები."**

ამ პროცესის აუცილებლობის არგუმენტირებისას ბატონმა გელა ბეჟუაშვილმა ყველა შეხვედრაზე აღნიშნა, რომ საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანება წარმოადგენს ევროპული თანამეგობრობის მიერ დემოკრატიული ტრანსფორმაციის მხარდაჭერას.

გაგრძელება A8 გვერდზე

# „ევროპის ენერგოუსაფრთხოებაში საქართველოს წვლილის შეტანა შეუძლია"

*შვედეთის პრემიერ-მინისტრი გაერო-ს რეფორმირების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის აზრით ინტერესდება, საქართველოს პრეზიდენტი კი, პირველ რიგში, მიმდინარე ენერგოკრიზისის ფონზე – ევროპის ენერგეტიკული პოლიტიკის შესაძლო ცვლილებებით.*

**"ჩვენ დაინტერესებული ვართ საქართველოსთან პარტნიორობით და მზად ვართ, მხარი დაგიჭიროთ როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური თვალსაზრისით,"** - განაცხადა გუშინ შვედეთის პრემიერ-მინისტრმა იორან პერსონმა საქართველოს პრეზიდენტთან მიხეილ სააკაშვილთან პირისპირ შეხვედრის შემდეგ. შვედეთის პრემიერი საქართველოს გუშინ ორდღიანი ოფიციალური ვიზიტით ეწვია. ორი სახელმწიფოს მეთაურთა მოლაპარაკებების თემები ეკონომიკური თანამშრომლობა, ევროპის ენერგეტიკული პოლიტიკა და გაერო-ს რეფორმირება გახდა.

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ყურადღება გაამახვილა საქართველოში ბოლო დღეებში შექმნილ ენერგოკრიზისზე.

**"ჩვენ უპრეცედენტო ენერგოდარტყმის წინაშე აღმოვჩნდით,"** - განაცხადა პრეზიდენტმა.

მისივე თქმით, ხელისუფლებამ და, მთლიანად, ქართველმა ერმა გამოცდა წარმატებით ჩააბარა. სააკაშვილის აზრით, **"შვედეთი ბედნიერი ქვეყანაა, რადგან გაზს რუსეთიდან არ იღებს"**. ამასთან, მიხეილ სააკაშვილმა იმედი გამოთქვა, რომ მიუხედავად არსებული პრობლემებისა, რუსულ მხარესთან ურთიერთობები მაინც დარეგულირდება.

შვედეთის პრემიერ-მინისტრის თქმით, მან საქართველოს პრეზიდენტისგან მიიღო ინფორმაცია ენერგეტიკაში შექმნილი პრობლემების შესახებ და შვედეთი მზად არის, საქართველოს გაუზიაროს გამოცდილება ენერგეტიკული რეზერვების დაზოგვის თვალსაზრისით.

როგორც პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რუსეთ-საქართველოსა და რუსეთ-უკრაინის ენერგოდებატებიდან გამომდინარე, დღეს ევროპაში, კერძოდ კი, ევროკავშირისა და ევროსაბჭოს დონეზე სერიოზული განხილვის საგანია, თუ როგორ უნდა იყოს უზრუნველყოფილი ევროპაში გაზის უწყვეტი მომარაგება.

გაგრძელება A2 გვერდზე

# ჟურნალისტს მოკვლით ემუქრებიან

*გაზეთ "24 საათის" და კახეთის რეგიონული გაზეთის "სპექტრის" კორესპონდენტს, აღნიშნულ გაზეთებში გამოქვეყნებული სტატიების გამო, ლიკვიდაციით ემუქრებიან. ამის შესახებ ინფორმაცია მედიაკლუბში შეკრებილმა გაზეთ "სპექტრის" წარმომადგენლებმა გაავრცელეს.*

საქმე სიღნაღის ერთ-ერთ სოფელში ნარკოტიკებით უკანონოდ ვაჭრობის ფაქტებს ეხება. გაზეთ "სპექტრის" დამფუძნებლის მაია ყალაბეგაშვილის თქმით, გაზეთის 17-24 იანვრის ნომერში გამოქვეყნდა სტატია სათაურით - "სიღნაღის მთავარი გინეკოლოგი და პოლიკლინიკა სკანდალში ეხვევა", სადაც საუბარია სიღნაღის რაიონის სოფელ მაშრაანის მკვიდრის, რევაზ ყორღანაშვილის სახელზე შედგენილ ყალბ დოკუმენტებზე, რომლის მიხედვით, აღნიშნული პიროვნება ონკოლოგიური ავადმყოფია და ამის გამო პოლიკლინიკა მის სახელზე ნარკოტიკულ პრეპარატ "მორფიუმს" გასცემდა (იმავე ფაქტზე ზვიად რუაძის წერილი გამოქვეყნდა გაზეთ "24 საათის" 16 იანვრის ნომერში).

სტატიაში ნათქვამია, რომ ყორღანაშვილის ოჯახის წევრები აღნიშნული ნივთიერების არალეგალურ რეალიზებას ეწეოდნენ. ჟურნალისტის ცნობით, ამ საქმეში იკვეთება სიღნაღის რაიონის მთავარი გინეკოლოგის თამილა კახეთელიძის დანაშაულიც.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, სამართალდამცველები არ გამორიცხავენ, რომ, გარდა ამ პიროვნებებისა, შესაძლებელია, ბევრი სხვა ადამიანის პასუხისმგებლობის საკითხიც დადგეს. მიუხედავად იმისა, რომ ინფორმაციას სამართალდამცავი სტრუქტურები ადასტურებენ და, რაც მთავარია, აღნიშნულ საქმეზე გამოძიება ამ დროისთვისაც მიმდინარეობს, სტატიას რესპონდენტების მხრიდან არაადეკვატური რეაქცია მოჰყვა. ხორციელდება ზეწოლა და მუქარა როგორც ზვიად რუაძის, ისე რედაქციის მისამართით.

გაგრძელება A4 გვერდზე

## კოფი ანანი საქართველოში გაეროს მისიის მანდატის გაგრძელების რეკომენდაციას იძლევა

გაეროს გენერალური მდივანი კოფი ანანი ამ ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს, საქართველოში მისიის მანდატის ექვსი თვით გაგრძელების რეკომენდაციას აძლევს. გენმდივანი დარწმუნებულია, რომ გაეროს დამკვირვებელთა მისიას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სტაბილურობის შენარჩუნების, პრიორიტეტული მიმართულებებით სამშვიდობო პროცესის წარმართვის და, საბოლოო ჯამში, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მშვიდობიანი და ყოვლისმომცველი დარეგულირებისთვის. უშიშროების საბჭოში გამოსვლისას თავის მოხსენებაში კოფი ანანმა აღნიშნა, რომ უკანასკნელ თვეებში თბილისსა და სოხუმს შორის გენმდივნის სპეციალური წარმომადგენლის ჰაიდი ტალიავინის შუამდგომლობით დაიწყო აზრთა გაცვლა ომის არგანახლების და დევნილთა უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების შესახებ ერთობლივ დოკუმენტებთან დაკავშირებით. მან თბილისს მოუწოდა, "სათანადო ყურადღება დაუთმოს და გაითვალისწინოს აფხაზური მხარის შეშფოთება უსაფრთხოების პრობლემებთან დაკავშირებით", ხოლო სოხუმს – "აღმოფხვრას ყველა ის მიზეზი, რომელიც გალის რაიონის მოსახლეობისა და იქ დაბრუნებული დევნილების შეშფოთებას იწვევს უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით". დამკვირვებელთა მისია საქართველოში 1994 წლიდან მოქმედებს და ამჟამად მასში 122 სამხედრო დამკვირვებელი და 13 პოლიციელი შედის. **პრაიმ-ნიუსი**

## ლიტვა მზადყოფნას გამოთქვამს

ლიტვა საქართველოს ხელისუფლების მიერ შემუშავებულ, ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების გეგმას მხარს უჭერს და ცხინვალის რეგიონში სარეაბილიტაციო სამუშაოებში მონაწილეობის მზადყოფნას გამოთქვამს. ამის შესახებ ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრის მრჩეველმა, ლიტვის რესპუბლიკის თავდაცვის ექსმინისტრმა ვოლტას სტანკევიჩუსმა გუშინ, კონფლიქტების მოგვარების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილესთან გია ვოლსკისთან გამართული შეხვედრის შემდეგ განაცხადა. "ლიტვის ხელისუფლება დაინტერესებულია ქართულ-ოსური კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებით, მხარს უჭერს საქართველოს ხელისუფლების მიერ კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისათვის შემუშავებულ გეგმას და მზადყოფნას გამოთქვამს, პრაქტიკული მონაწილეობა მიიღოს კონფლიქტის ზონაში სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებაში," - აღნიშნა ვოლტას სტანკევიჩუსმა. **ინტერპრესნიუსი**

## უცნობი თავისუფლება

FM უცნობი 92.0

**გადაცემის სტუმარია საპარლამენტო ფრაქცია "დემოკრატიული ფრონტის" თავმჯდომარე დავით ზურაბიშვილი**

**ალექსანდრე ელისაშვილი:** გაზის გათიშვასთან დაკავშირებით რა კომენტარს გააკეთებთ?

**დავით ზურაბიშვილი:** რუსეთი კავკასიასთან მიმართებაში დიდი რაციონალობით არასდროს გამოირჩეოდა. ყოველთვის დიდი ემოციით განიცდიდა, რომ საქართველო მათი გუბერნია არ არის. ამას საკმაოდ გულღიად აფიქსირებენ. ასეთ სიტუაციაში გაზს პირდაპირ ვერ გადაკეტავდნენ, და ვითომ დივერსია მოხდა. შემიძლია, პატარა პროგნოზიც გავაკეთო, რუსი სამართალდამცავები აუცილებლად დააპატიმრებენ ტერორისტებს, რომლებიც აუცილებლად ჩეჩნები აღმოჩნდებიან. ამათ, ტანჯვა-წამების მიუხედავად, თუ დანაშაულს ვერ აღიარებინებენ, მაშინ კადიროვი ათხოვებს ორ-სამ კაცს და დივერსიას ისინი აიღებენ თავზე. ეს ყველაფერი სპეციალურად იყო მოწყობილი, რათა ჩვენმა ქვეყანამ მიიღოს დათმობები გაზთან დაკავშირებით, სამშვიდობოებისადმი დათმობის სანაცვლოდ.

**ა. ე.:** რამდენად ეფექტურია მსგავსი საქციელი?

**დ. ზ.:** რუსეთს თუ უნდა, რომ საქართველოში მისი ინტერესები უფრო ძლიერ იყოს წარმოდგენილი, ცხინვალის და სოხუმის დამოკიდებულებაში სხვა პოზიცია რომ დაიკავოს, უფრო გამუქდება ჩვენი ურთიერთობა - ასეთია რუსეთის პოლიტიკა. ამ რეგიონს ძალიან დიდი გეოპოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. რუსეთმა პოლიტიკური გავლენა თუ დაკარგა, ცენტრალურ აზიაში სხვანაირად მოუწევს მოქმედება. იგივე სომხეთი იძულებული გახდება, რომ ყარაბაღის საკითხზე მეტ დათმობაზე წავიდეს. აფხაზეთში უამრავი ფინანსები აქვს ჩადებული. ამდენად, ასე ადვილად დათმობაზე არ წავლენ.

**ა. ე.:** "დემოკრატიული ფრონტი" კახა ბენდუქიძეს დაუპირისპირდა და მისთვის უნდობლობის გამოცხადებას აპირებს. რატომ?

**დ. ზ:** ჩვენ კახა ბენდუქიძეს - პიროვნებას არ ვუპირისპირდებით. მაგრამ მეორე მხარეა, როდესაც დამოუკიდებელ ქვეყანას აქვს თავისი პოლიტიკა და ამ პოლიტიკაში სტრატეგიული მოწინააღმდეგე რუსეთია. ამ დროს გყავს სახელმწიფო მინისტრი, რომელიც განაგებს ეკონომიკას. მისი ქმედებებით ცხადი ხდება, რომ იგი საქართველოში რუსული პოლიტიკური ინტერესების გამტარებელია. თავისი ინტერესებიც ჰქონდა, ცხადია, მაგრამ ყოველთვის რუსული კაპიტალის ლობისტი გახლდათ. როდესაც საქმე მიდგა მაგისტრალურ გაზსადენზე, პოლიტიკურად სტრატეგიულ ობიექტზე, რომელიც დაკავშირებულია ქვეყნის ენერგეტიკულ დამოუკიდებლობასთან და ჩვენი ქვეყნის სტრატეგიული პარტნიორის - ამერიკის ძირეულ ინტერესებთან, აქ ბენდუქიძე "გაზპრომის" ლობისტად მოგვევლინა. ის იყო ერთ-ერთი ინიციატორი "გაზპრომისთვის" ამ ობიექტის მიყიდვისა. ამერიკამ გაზსადენის რეაბილიტაციისთვის 100 მილიონზე მეტი გამოყო. მაშინ გაზსადენის გაყიდვაზე ლაპარაკი დამთავრდა, თუმცა შემდეგ კვლავ დაიწყო. და საბოლოოდ, რაც მივიღეთ, თქვენც ნახეთ. ამდენად, ეს ხალხი, ვინც პრორუსული პოლიტიკის გამტარებლები იყვნენ საქართველოში, ცხადია, უნდა წავიდნენ თანამდებობიდან. არ გამოვრიცხავ, რომ "გაზპრომის" საქმიანობაში, ბენდუქიძის გარდა, სხვების ინტერესებიც იყო ჩადებული. უმრავლესობის რეაქციამ გამაოცა. გივი თარგამაძის რეაქცია იყო გასაოცარი, მას სხვებიც აყვნენ. შემდეგ პარლამენტის თავმჯდომარემ განაცხადა უცნაური რამ, რომ საქართველოში მილსადენის გაყიდვაზე არავინ ლაპარაკობს... ეს ჩვენი ქვეყნისთვის დამანგრეველი იქნებოდა, მერე გვენახა დივერსიები, თუ წესიერად არ მოვიქცეოდით.

**ა. ე.:** როგორც ვიცი, მთავრობამ 7 თებერვალს უნდა წარმოადგინოს სამშვიდობო ძალების გაყვანის გეგმა.

**დ. ზ.:** მათ ვადა ჰქონდათ მიცემული. ალბათ, უნდა დაიწყოს მათი უფლებამოსილების შეწყვეტის პროცედურა.

**ა. ე.:** "დემოკრატიულმა ფრონტმა" ლუსტრაციის კანონზე ხომ უნდა ისაუბროს საგაზაფხულო სესიაზე?

**დ. ზ.:** ჩვენ მომზადებული გვაქვს ლუსტრაციის შესახებ კანონპროექტი. ლიტვაში ვიზიტის ერთ-ერთი მიზანი სწორედ ესეც იყო, რომ ეს კანონი იქ უკვე მიღებულია და გვაინტერესებდა, როგორ მოქმედებს და რა შედეგები გამოიღო. მოწინააღმდეგეთა არგუმენტები იქაც იგივე იყო, რაც ჩვენთან, თუმცა კანონი კარგად მუშაობს. იქ ცოტა რბილი ვარიანტი იყო მიღებული. კანონის თანახმად, ინფორმაცია პიროვნებების შესახებ მხოლოდ კომისიისთვის რჩებოდა ცნობილი. ახლა სურთ, რომ საჯარო გახადონ. ჩვენი კანონი საკმაოდ მკაცრია, ვნახოთ. მაინტერესებს, განხილვაზე რას იტყვიან.

# „ოპიზა" მოდიდან არ გადადის

გიორგი ასანიშვილი

*დროებითი საგამოძიებო კომისიის გუშინდელ სხდომაზე ახსნა-განმარტებები ჩამოართვეს საბაჟო დეპარტამენტის ხელმძღვანელს ზურაბ ანთელიძეს და ფინანსთა მინისტრის მოადგილეს გიორგი გოდაბრელიძეს. აღსანიშნავია, რომ ეს უკანასკნელი დეპუტატებმა უკვე მეორედ დაკითხეს. ამ ფაქტს კომისიის თავმჯდომარე ფრიდონ რუხაია იმით ხსნის, რომ გოდაბრელიძის პირველი დაკითხვის დროს, "ლილო-1"-დან "ოპიზაში" საბაჟო ადმინისტრაციის გადასვლასთან დაკავშირებულ საკითხებზე პარლამენტარებს განმარტებები არ მიუღიათ.*



*საბაჟო დეპარტამენტის ხელმძღვანელობა ირწმუნება, რომ საბაჟო ადმინისტრაციის "ოპიზაში" გადაყვანა შემთხვევით მოხდა.*

კომისიის წევრებს აინტერესებდათ, გიორგი გოდაბრელიძისგან დეტალურად შეეტყოთ, თუ რამდენად კანონიერად მოხდა საბაჟო ტერმინალ "ოპიზაში" საბაჟო ადმინისტრაციისა და გაფორმების ჯგუფის განთავსება.

ფინანსთა მინისტრის მოადგილე დეპუტატებს ამცნობს, რომ საბაჟო ტერმინალ "ოპიზას" წარმომადგენლებმა, თავის დროზე, საბაჟო ტერმინალისათვის ლიცენზიის მიღებაზე განაცხადს, თან დაურთეს თხოვნა, ტერმინალის ტერიტორიაზე საბაჟო გაფორმების ჯგუფის განთავსების შესახებ.

**"ამით არ დარღვეულა საბაჟო კოდექსი, რომლის მიხედვითაც, ტერმინალის წარმომადგენლებს ჯგუფის განთავსების თაობაზე მოთხოვნის უფლება აქვთ. ამიტომ, ფინანსთა სამინისტროსა და საბაჟო დეპარტამენტის ერთობლივი განხილვის შედეგად, საბაჟო გაფორმების ჯგუფი განთავსდა "ოპიზაში" და ეს გადაწყვეტილება უკანონო ნამდვილად არ ყოფილა. თუმცა, არც საუკეთესო გადაწყვეტილებად შეიძლება ჩაითვალოს,"** - აღნიშნა გოდაბრელიძემ.

თავის მხრივ, საბაჟო დეპარტამენტის ხელმძღვანელი ზურაბ ანთელიძე აცხადებს, რომ "აღმოსავლეთის" საბაჟო ადმინისტრაციის ჯგუფი უახლოეს დღეებში ტერმინალ "ოპიზას" დატოვებს და ნაძალადევის რაიონში განთავსდება. მისივე თქმით, ცალკე შენობის გამოყოფა "დასავლეთის" საბაჟო ადმინისტრაციისთვისაც იგეგმება.

მიუხედავად იმისა, რომ გიორგი გოდაბრელიძე და ზურაბ ანთელიძე ამ თემაზე დასმულ არც ერთ შეკითხვას არ "გაქცევიან", კომისიაში შემავალი ოპოზიციონერი დეპუტატები მათი განმარტებებით მაინც უკმაყოფილონი დარჩნენ.

დროებითი კომისიის თავმჯდომარის მოადგილის, ფრაქცია "მემარჯვენე ოპოზიციის" წევრის გიორგი ცაგარეიშვილის მტკიცებით, ფინანსთა სამინისტროსა და რიგი თანამდებობების პირების არგუმენტები, რომლის მიხედვითაც, საბაჟო ტერმინალის ადმინისტრაციის ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლა იმით იყო განპირობებული, რომ "ლილო-1" მას საიჯარო გადასახადს ახდევინებდა, ხოლო "ოპიზაში" კი უფასოდ განათავსებდა, ბლეფია და მეტი არაფერი.

**"უზუფრუქტზე საუბარი ორი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა, მაგრამ შესაბამისი ხელშეკრულება არ გაფორმებულა. ეს ლოგიკურიც არის - ვის აწყობდა უსასყიდლო უზუფრუქტი "ლილო-1"-თან, როდესაც არსებობდა "ოპიზა", სადაც საქართველოს პარლამენტის წევრების ოჯახის წევრებსა და ახლობლებს წილები ჰქონდათ?"** - კითხვას სვამს კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

გოდაბრელიძისა და ანთელიძის მიერ გუშინ გაკეთებულმა განმარტებებმა ვერც დეპუტატი კახა კუკავა დააკმაყოფილა.

მისი განცხადებით, სახელმწიფო მოხელეები, ისევე როგორც "ოპიზას" მეწილეები, დროებითი საგამოძიებო კომისიისთვის სწორი ჩვენებების მიცემას თავს არიდებენ და ყველა ფაქტს შემთხვევითობით ხსნიან.

**"წილების მფლობელებმა კომისიის წინა სხდომაზე ვერ გაიხსენეს, რა ფასად მიყიდეს თავისი ქონება ახალ მფლობელებს, დღეს კი საბაჟო დეპარტამენტის ხელმძღვანელობა ირწმუნება, რომ საბაჟო ადმინისტრაციის "ოპიზაში" გადაყვანა შემთხვევით მოხდა. როდესაც დავინტერესდი, ანალოგიური პირობები სხვა საბაჟო ტერმინალებისთვისაც ხომ არ შეუთავაზებიათ, ამაზე პასუხი ვერ მივიღე,"** - უკმაყოფილებას გამოთქვამს ოპოზიციონერი პარლამენტარი. მისივე თქმით, ვინაიდან საქმე ბევრ "შემთხვევითობას" შეიცავს, მიზანშეწონილი იქნება დამატებითი კვლევა-ძიების ჩატარება.

თუმცა, საეჭვოა, დროებითმა კომისიამ ამისთვის მოიცალოს. მისი უფლებამოსილების ვადა თებერვლის შუა რიცხვებში იწურება და, ამდენად, ცაიტნოტში იმყოფება. თუმცა, მანამდე ორი "საინტერესო" სხდომის ჩატარება მაინც მოესწრება. ერთზე დეპუტატები თავიანთ კოლეგა კობა ბექაურს ჩამოართმევენ ახსნა-განმარტებას, მეორეზე კი საგადასახადო სამსახურების მიერ "ოპიზას" ფინანსური შემოწმების შედეგებზე იმსჯელებენ.

# "ევროპის ენერგოუსაფრთხოებაში" საქართველოს წვლილის შეტანა შეუძლია"

პირველი გვერდიდან

**"საქართველო-რუსეთს შორის ურთიერთობა მთელ ევროპას ეხება. ხვალ ეს პრობლემა შეიძლება სხვა ქვეყანასაც შეეხოს,"** – განაცხადა, თავის მხრივ, მიხეილ სააკაშვილმა და დასძინა, რომ საქართველოს სურს, თავისი წვლილი შეიტანოს ევროპის ენერგოუსაფრთხოებაში. **"ჩვენ ერთმანეთს ვჭირდებით და არ გვინდა, მხოლოდ თქვენგან მივიღოთ დახმარება. გვსურს, ჩვენც გაგიწიოთ დახმარება,"** - განაცხადა სააკაშვილმა. მან აქვე იმედი გამოთქვა, რომ რუსეთთან თანამშრომლობა უფრო განმტკიცდება და გაღრმავდება.



*იორან პერსონი.*

საქართველოს პრეზიდენტის თქმით, იორან პერსონი მსოფლიოში ერთ-ერთი გამოცდილი პოლიტიკოსია და საქართველოსთვის შვედეთის მხარდაჭერა ძალზე მნიშვნელოვანია. **"მიუხედავად იმისა, რომ შვედეთს ევროპაშიც და ქვეყნის შიგნითაც ბევრი სამუშაო აქვს, ის მაინც მზად არის, რომ ჩვენ მხარი დაგვიჭიროს. ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია შვედეთის გამოცდილება, რადგან ეს ქვეყანა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული სახელმწიფოა. ჩვენთვის მნიშვნელოვანია მისი გამოცდილება ეკონომიკური განვითარების, განათლების რეფორმების და ევროსტრუქტურებში ინტეგრაციის მხრივ. მიუხედავად იმისა, რომ შვედეთი ნატო-ს წევრი არ არის, ამ ქვეყანას შეუძლია, ძალზე დიდი როლი შეასრულოს ჩვენს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებისთვის, ასევე, შვედეთი მხარს უჭერს იმ ორგანიზაციას, რომელიც საქართველომ და უკრაინამ ბორჯომის დეკლარაციით შექმნეს. მომავალი შეხვედრა დეკლარაციის ხელმომწერებს შორის ბუქარესტში გაიმართება და იქ შვედეთის წარმომადგენელიც დაესწრება,"** - განაცხადა პრეზიდენტმა სააკაშვილმა.

შვედეთის პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ შვედეთი მხარს უჭერს საქართველოს ხელისუფლების მიერ წამოწყებულ რეფორმებს.

როგორც პერსონმა განაცხადა, მისი ჩამოსვლის ერთ-ერთი მთავარი მიზანი გაერო-ს რეფორმირების თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის აზრის მოსმენა იყო. **"სანამ საქართველოში ჩამოვიდოდი, მე უკრაინაში ვიყავი და ბატონ იუშჩენკოს შევხვდი. დღეს თბილისში ვარ და უკვე საქართველოს პრეზიდენტის აზრი მოვისმინე გაერო-ს რეფორმირების თაობაზე. აღნიშნული რეფორმების განხორციელება აუცილებელია და მიხარია, რომ საქართველოს პრეზიდენტი ამ კურსს მხარს უჭერს,"** - განაცხადა იორან პერსონმა.

რაც შეეხება შვედური ინვესტიციების განხორციელებას საქართველოში, პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ ბევრი კერძო კომპანია დაინტერესებულია საქართველოში ფულის დაბანდებით, თუმცა ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ხელსაყრელი იქნება საქართველოში ბიზნესგარემო.

**"შვედეთი არის არაჩვეულებრივი მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება პატარა ქვეყანა გახდეს დემოკრატიული სახელმწიფო და მძლავრი ეკონომიკა შექმნას,"** - განაცხადა გუშინ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ შვედეთის პრემიერ-მინისტრთან შეხვედრის შემდეგ. როგორც ბურჯანაძემ აღნიშნა, შვედეთის პრემიერ-მინისტრმა საქართველოს მხარდაჭერა აღუთქვა კონფლიქტების დარეგულირებასა და ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებაში.

ვიზიტის დროს, იორან პერსონი გვირგვინებით შეამკობს საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპულ გმირთა მემორიალს. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია, ასევე, კულტურული ღონისძიებები. სტუმარი დაათვალიერებს თბილისის მარიონეტების თეატრს და სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარს. დღეს, ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, იორან პერსონს უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდებას მიანიჭებენ.

*24 საათი*

# ევროსაბჭო გვირჩევს

სტრასბურგში ტარდება ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ზამთრის სესია, რომლის მუშაობაში მონაწილეობას ქართული დელეგაციაც იღებს. დელეგაციას უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი გიგა ბოკერია ხელმძღვანელობს. დელეგაციის შემადგენლობაში შედიან ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ელენე თევდორაძე, ოპოზიციური ფრაქცია "დემოკრატიული ფრონტის" წევრი ლევან ბერძენიშვილი და "მემარჯვენე ოპოზიციის" წევრი ფიქრია ჩიხრაძე.

საპარლამენტო ასამბლეის ზამთრის სესიის სხდომაზე საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებების შესრულების შესახებ მოხსენება და შესაბამისი რეზოლუციის პროექტი განიხილება. ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის საბჭოს წევრის, ქართული საპარლამენტო დელეგაციის წარმომადგენლის ელენე თევდორაძის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, დასკვნა ევროსაბჭოს მომხსენებლებმა მათიას იორშმა და ევგენი კირილოვმა მოამზადეს. მასში ასახულია ყველა დადებითი მომენტი, რომელიც საქართველოში "ვარდების რევოლუციის" შემდეგ მოხდა. დოკუმენტი ასევე შეიცავს ინფორმაციას, რომელიც მომხსენებლებმა ოპოზიციის, მასმედიის და არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან მიიღეს, და ამჟამინდელი მთავრობის კრიტიკას შეიცავს. **"ევროპის საბჭოში შიშობდნენ, რომ პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას დაღუპვის შემდეგ შესაძლო იყო, ქვეყანას კურსი შეეცვალა. თუმცა, როგორც შემდეგაა აღნიშნული, ამჟამინდელმა პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა შეძლო ტრაგიკულად დაღუპული წინამორბედის პოლიტიკური კურსის გაგრძელება,"** - განაცხადა თევდორაძემ. ამასთან, თევდორაძის თქმით, მათიას იორშის და ევგენი კირილოვის რეკომენდაციის თანახმად, ქვეყანაში საარჩევნო ბარიერი 7-დან 5 პროცენტამდე უნდა შემცირდეს, რაც არც შევარდნაძის და არც ამჟამინდელი ხელმძღვანელობის პერიოდში არ გაკეთებულა.

მოხსენებაში ასევე ნათქვამია, რომ საქართველოს ხელმძღვანელობა კვლავ არ ეთანხმება 2005 წლის იანვარში ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ მიღებულ რეზოლუციას, სადაც შემოთავაზებულია ქვეყნის კონსტიტუციაში შესწორებების და ცვლილებების საკითხის განხილვისკენ მიბრუნება, რომელიც 2004 წლის 6 თებერვალს შეიტანეს. მათი აზრით, დარღვეულია ბალანსი საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებებს შორის.

თევდორაძის ინფორმაციით, მოხსენება შეიცავს რეკომენდაციას, რის საფუძველზეც უნდა გადაიხედოს კანონმდებლობის ის ნაწილი, რომელიც აჭარის ავტონომიას შეეხება. **"მომხსენებელთა აზრით, ეს ხელს შეუწყობს ურთიერთობის მოგვარებას სხვა ავტონომიებთან - აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან,"** - აღნიშნა მან.

ევროსაბჭოს ზამთრის სესიაზე საქართველოს კვლავ შეახსენეს, რომ აუცილებელია დასრულდეს სასამართლო რეფორმა, მიღებულ იქნას სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსი, ვინაიდან მუდმივი შესწორებების შედეგად კოდექსი მიმზიდველობას კარგავს.

რაც შეეხება ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროს, თევდორაძის განცხადებით, მოხსენებაში აღნიშნულია შალვა რამიშვილის დაკავების ფაქტი და შეფასებულია მასმედიაზე ზეწოლის შემთხვევები, როგორც ტელეკომპანია "202"-ის, ისე ტელეკომპანია "მზეზე" პროგრამა "არჩევანის ზღვარზე" დახურვის მაგალითზე. მოხსენებაში ასევე ნახსენებია უზენაესი სასამართლოს ოთხი მოსამართლის თანამდებობიდან გადაყენების ფაქტი. **"ავტორები აღნიშნავენ, რომ კვლავ შეუსრულებელი რჩება საქართველოს ორი ვალდებულება - ტრანსსასაზღვრო კონვენციისა და ქარტიის რატიფიკაცია ეროვნულ უმცირესობათა ენების შესახებ. ამავე დროს, ნათქვამია, რომ ამ დოკუმენტების რატიფიკაციის პროცედურები საქართველოში დაიწყო,"** - აღნიშნა პარლამენტარმა.

რაც შეეხება მუსულმან მესხთა დაბრუნებას, შესაბამისი ვალდებულება 2011 წლისთვის უნდა შესრულდეს. ევროსაბჭო გვირჩევს, რომ უახლოეს მომავალში მოვამზადოთ კანონპროექტი "მესხთა რეპატრიაციის შესახებ", ხოლო მომხსენებლები ევროსაბჭოს ურჩევენ, კვლავ განაგრძონ საქართველოს მონიტორინგი. **"ევროპა ენდობა საქართველოს მთავრობას, თუმცა მის გადაყვანას პოსტმონიტორინგის პერიოდში ევროსაბჭო არ ჩქარობს. ეს ნიშნავს, რომ ევროპა ჯერ ბოლომდე დარწმუნებული არ არის იმ დემოკრატიული პროცესების სტაბილურობაში, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ვითარდება,"** - მიაჩნია თევდორაძეს.

*პრაიმ-ნიუსი*

## მოკლედ

### ქართულ-აფხაზური მხარეების მაღალი დონის შეხვედრა

გაეროს ეგიდით დანიშნული ქართულ-აფხაზური მხარეების მაღალი დონის შეხვედრა გუშინ დაიწყო. გალის ადმინისტრაციის შენობაში დაგეგმილ შეხვედრაზე, აფხაზურ მხრეს დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა წარმოადგენდა, ხოლო ქართულ დელეგაციას სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების საკითხებში გოგა ხაინდრავა ხელმძღვანელობდა. ორმხრივი მაღალი დონის შეხვედრა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში შექმნილ ვითარებასა და უსაფრთხოების საკითხებს შეეხო. მოლაპარაკებაში მონაწილეობდა საქართველოს ვეტერინარული დეპარტამენტის ხელმძღვანელი ჯამბულ მაღლაკელიძე, რომელმაც, აფხაზ კოლეგებთან ერთად, ფრინველის გრიპის წინააღმდეგ განსახორციელებელ ღონისძიებებზე ისაუბრა. შეხვედრაზე ასევე განიხილეს საქართველოს ხელისუფლების მიერ ჩასწორებული, უსაფრთხოების გარანტიების პროექტი და კონფლიქტის ზონაში უკანასკნელ პერიოდში დაძაბული კრიმინოგენული ვითარება. ქართულმა მხარემ ყურადღება გაამახვილა რუსი სამშვიდობოების ქმედებებზე, უკანონო იარაღის შესაძლო არსებობასა და დევნილების დაბრუნებაზე. **ჯი-ეიჩ-ენი**

### კოკოითი ევროკავშირის წარმომადგენელს და ეუთოს ელჩს შეხვდა

გუშინ ცხინვალში სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ევროკავშირის წარმომადგენელს ჰეიკი ტალვიტიეს და საქართველოში ეუთოს ელჩს როი რივს შეხვდა, სადაც ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების საკითხები განიხილეს. ამის შესახებ ინფორმაცია დე ფაქტო ხელისუფლების ბეჭდვისა და ინფორმაციის კომიტეტმა გაავრცელა. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტის ედუარდ კოკოითის განცხადებით, ოსური მხარე მზად არის, შეასრულოს ყველა ნაკისრი ვალდებულება ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების მიზნით. „ვითვალისწინებთ, რომ ქართულ-ოსური კონფლიქტი - ეს რეგიონული კონფლიქტი არ არის, იმდენად, რამდენადაც მთლიანობაში შეიძლება შეეხოს მთელ კავკასიის რეგიონს. ამიტომ საჭიროა ყველა მიღწეული შეთანხმების შესრულება," - იუწყება კომიტეტი დე ფაქტო პრეზიდენტის სიტყვებზე დაყრდნობით. თავის მხრივ, ჰეიკი ტალვიტიემ, რომელიც თბილისში 23 იანვარს ჩამოვიდა და უკვე შეხვდა პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელს, კოკოითთან შეხვედრისას იმედი გამოთქვა, რომ უახლოეს პერიოდში შესაძლებელი გახდება საქართველოს პრემიერ-მინისტრის და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტის პირისპირ შეხვედრა. **ჯი-ეიჩ-ენი**

### ალასანია გაერო-ს უშიშროების საბჭოს სხდომაზე მოხსენებით გამოვა

საქართველოს პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენელი ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებებში ირაკლი ალასანია გუშინ ნიუ იორკში გაემგზავრა. 27 იანვარს იგი მონაწილეობას მიიღებს გაერო-ს უშიშროების საბჭოს სხდომაში, რომელზეც აფხაზეთის საკითხი განიხილება. აფხაზეთის მთავრობის საინფორმაციო უზრუნველყოფის დეპარტამენტში მიღებული ინფორმაციით, გაერო-ს უშიშროების საბჭოს სხდომაზე საქართველოს პრეზიდენტის სპეცწარმომადგენელი აფხაზეთში შექმნილი ვითარების შესახებ სპეციალური მოხსენებით გამოვა და გაერო-ს უმაღლეს სამუშაო ორგანოს ახალი რეალიების გათვალისწინებით, ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებებთან დაკავშირებით საქართველოს ხელისუფლების პოზიციებსა და ხედვას გააცნობს. წინასწარი მონაცემებით, ალასანია გაერო-ს უშიშროების საბჭოს სხდომაზე ყურადღებას გალის რაიონში დაბრუნებული მოსახლეობის უსაფრთხოების მექანიზმების შექმნაზე, გალის რაიონში გაერო-ს ადამიანის უფლებათა დაცვის ოფისის გახსნაზე, გაერო-ს სამოქალაქო პოლიციის ამოქმედებისა და ქართულ სკოლებში მშობლიურ ენაზე სწავლების საკითხებზე გაამახვილებს. ირაკლი ალასანია გაერო-ს უშიშროების საბჭოს თბილისსა და სოხუმს შორის მიმდინარე მოლაპარაკებების შესახებ ინფორმაციას მიაწვდის, რომელიც მხარეთა მიერ "აფხაზეთის უსაფრთხოების საერთაშორისო გარანტიებისა" და "დევნილთა დაბრუნების შესახებ" ერთობლივი დოკუმენტის შემუშავებას ეხება. დაზუსტებული ინფორმაციით, ალასანია უშიშროების საბჭოს აღნიშნულ დოკუმენტებთან დაკავშირებით ქართული მხარის ინიციატივებს და მხარეთა შორის შეუთანხმებელ საკითხებზე დეტალურ ინფორმაციას მიაწვდის. **ინტერპრესნიუსი**

### კომისიას კათოლიკოს-პატრიარქი უხელმძღვანელებს

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში პრეზიდიუმის სხდომაზე, მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, პროფესორმა თამაზ გამყრელიძემ განაცხადა, რომ მეცნიერებათა აკადემიაში ჩამოყალიბდება ქრისტიანული თეოლოგიისა და რელიგიის შემსწავლელი კომისია, აღნიშნულ კომისიას კი სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ილია II უხელმძღვანელებს. "სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი ბრძანდება და ამ კომისიის მუშაობას მასზე უკეთ ვერავინ გაუძღვება," – განაცხადა თამაზ გამყრელიძემ. მისი თქმით, ისეთი ქრისტიანული ტრადიციის ქვეყანაში, როგორც საქართველოა, უნდა არსებობდეს სამეცნიერო ჯგუფი, რომელიც ქრისტიანულ თეოლოგიასა და რელიგიის ისტორიას შეისწავლის. **ჯი-ეიჩ-ენი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . დიზაინი: გიორგი ხმალაძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია

# რუსეთი ეუთო-ს არაეფექტურობაზე საუბრობს

## რამდენად კარგი შუამავალი იქნება მოსკოვი?

რუსეთის თავდაცვის მინისტრმა, რომელიც ამჟამად ოფიციალური ვიზიტით ბაქოში იმყოფება, აზერბაიჯანელ კოლეგასთან ერთად ყარაბაღის საკითხის გარდა, საქართველოდან სომხეთში სამხედრო ბაზების გაყვანის ვარიანტები და კასპიის ზღვის რეგიონში სამხედრო თანამშრომლობის თემაც განიხილა. რუსეთის თავდაცვის მინისტრს მოუწია აზერბაიჯანელი კოლეგისთვის იმის მტკიცება, რომ საქართველოდან გატანილი რუსული ტექნიკა არ მოხმარდება სომხეთის შეიარაღებული ძალების გაძლიერებას. ივანოვის თქმით, ეს, უბრალოდ, ბაზების ჩანაცვლება იქნება და არავითარ შემთხვევაში არ გამოიწვევს სომხეთის სამხედრო თვალსაზრისით გაძლიერებას.

თუმცა, უმთავრესი მაინც ზემოჩამოთვლილ საკითხთა შორის მთიანი ყარაბღის კონფლიქტი და მისი მოგვარების გზები იყო. აზერბაიჯანის თავდაცვის მინისტრთან საფარ აბიევთან შეხვედრაზე ივანოვმა ხაზგასმით აღნიშნა მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარების ერთადერთ გზად დიპლომატიური მეთოდების გამოყენების აუცილებლობა. თუმცა, ამ განცხადებას მალევე მოჰყვა ოფიციალური რუსეთის დამოკიდებულების გამოაშკარავებაც.

რუსეთის თავდაცვის მინისტრი სერგეი ივანოვი არ გამორიცხავს



სერგეი ივანოვი: ყარაბაღის კონფლიქტის პოლიტიკურ-დიპლომატიურ დონეზე რეგულირების შემდეგ, ჯერი სამშვიდობო ოპერაციებზე მიდგება.

მთიან ყარაბაღში რუსი სამხედროების გაგზავნას მშვიდობისმყოფელების რანგში და ამავდროულად სრულ უნდობლობას უცხადებს ეუთო-ს. გარდა ამისა, მან ევროპის შეიარაღებული ძალების შეზღუდვის შესახებ ხელშეკრულების შესაძლო დატოვების შესახებაც გააკეთა განცხადება.

**"რუსეთის ქმედება მთლიანად დამოკიდებულია პარტნიორთა პოზიციაზე - გაუკეთებენ თუ არა ხელშეკრულების სხვა მხარეები რატიფიცირებას ამ დოკუმენტს,"** - თქვა სერგეი ივანოვმა.

ხელშეკრულებას, რომელიც ევროპის 28 სახელმწიფოს მიერ იქნა ხელმოწერილი, დღემდე რატიფიცირება მხოლოდ რუსეთმა გაუკეთა. ნატო-ს წევრი ქვეყნები დოკუმენტის რატიფიცირებისაგან თავს იკავებენ მანამდე, ვიდრე რუსეთი არ გამოიყვანს სამხედრო ბაზებს საქართველოდან და მოლდოვიდან. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ევროპაში შეიარაღების შეზღუდვის შესახებ ხელშეკრულება რუსეთს კიდევ ერთი მიზეზის გამო აღარ მოსწონს - ამ დოკუმენტს ცოტა ხნის წინ ბალტიის ქვეყნებიც შეუერთდნენ.

**"პირველ რიგში, საჭიროა კონფლიქტის პოლიტიკურ-დიპლომატიურ დონეზე რეგულირება, რის შემდეგაც ჯერი სამშვიდობო ოპერაციებზე მიდგება, მათ შორის რუსეთის აქტიურ მონაწილეობაზეც. თუმცა, აქვე აღვნიშნავ, რომ ეს არ მოხდება ეუთო-ს ეგიდით. პირადად მე ამ ორგანიზაციის ეფექტიანობის არ მჯერა,"** - განაცხადა სერგეი ივანოვმა.

რაც შეეხება კონფლიქტის უშუალო მონაწილეს - აზერბაიჯანს, თავდაცვის მინისტრი საფარ აბიევი ყარაბაღის პრობლემის მოგვარების გზად არადიპლომატიურ მეთოდებსაც არ გამორიცხავს.

**"თუკი ამჟამად მიმდინარე მოლაპარაკებები უშედეგო აღმოჩნდება, აზერბაიჯანი ყველაფერს გააკეთებს მთიანი ყარაბაღის დასაბრუნებლად,"** - აღნიშნა აზერბაიჯანის თავდაცვის უწყების ხელმძღვანელმა.

საინტერესოა ისიც, რომ რუსეთი ღიად არ მიესალმება კონფლიქტის არადიპლომატიური გზით გადაწყვეტის ალტერნატივას. რუსული მხარის შეფასებით, აზერბაიჯანის რადიკალური განწყობა მხოლოდ გააღრმავებს კონფლიქტს და მის გადაწყვეტას დიდად შეუშლის ხელს. ყოველ შემთხვევაში, ასეთი სახის განცხადებები გააკეთა რუსეთმა გასულ კვირას ლონდონში ჩატარებული შეხვედრის შემდეგ, სადაც პირისპირ საუბრის საშუალება მიეცათ სომხეთისა და აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრებს. როგორც თავად დაპირისპირებულმა მხარეებმაც - აზრებაიჯანმა და სომხეთმა განაცხადეს, ლონდონში შეხვედრა მათ პოზიციების დაახლოებაში გარკვეულწილად დაეხმარა კიდეც. შესაძლოა, სწორედ ეს გახდა საფრანგეთის ინიციატივის მიზეზიც. როგორც ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში გაირკვა, ანალოგიური შეხვედრის ორგანიზება პარიზშიც იგეგმება. სომეხი და აზერბაიჯანელი კოლეგები საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა 10 თებერვალს მიიწვია.

სომხეთის პრეზიდენტის პრესმდივნის ვიქტორ სოგომონიანის თქმით, შეხვედრაზე განხილული იქნება სამუშაო დოკუმენტი, რომელიც ეუთო-ს მინსკის ჯგუფის მიერ არის წარმოდგენილი. რაც შეეხება თავად ამ დოკუმენტის დეტალებს, მისი გამჟღავნებისაგან კოჩარიანის პრესმდივანმა თავი შეიკავა.

სომხეთის პრეზიდენტის რობერტ კოჩარიანისა და მისი აზერბაიჯანელი კოლეგის ილჰამ ალიევის უკანასკნელი შეხვედრა ჯერ კიდევ გასული წლის 27 აგვისტოს ყაზანში გამართულ დსთ-ს სამიტზე შედგა.

*24 საათი*

# პასე კომუნისტურ რეჟიმებს დაგმობს

რუსი კომუნისტების პროტესტის მიუხედავად, დღეს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა მაინც უყრის კენჭს რეზოლუციის პროექტს, რომელიც ტოტალიტარული კომუნისტური რეჟიმების მიერ ჩადენილ დანაშაულებს გმობს. ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ გუშინ სტრასბურგში კომუნისტებმა, რუსეთის კომპარტიის ლიდერის გენადი ზიუგანოვის ხელმძღვანელობით, საპროტესტო მსვლელობაც მოაწყეს.

ზიუგანოვმა 73 კომუნისტური და მემარცხენე პარტიის სახელით, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარეს რენე ვან დერ ლინდენს ოფიციალურად განუცხადა პროტესტი.

**"ეს პროტესტი ასამბლეის მიერ კომუნისტური რეჟიმების ე.წ. დანაშაულების საკითხის განხილვის წინააღმდეგაა მიმართული,"** - თქვა ზიუგანოვმა და დასძინა, რომ კომუნისტები ამ საკითხის დღის წესრიგიდან მოხსნას მოითხოვენ.

მისი თქმით, მემარცხენე და კომუნისტური პარტიები ამ საკითხის განხილვას "ევროპის საბჭოს მხრიდან პროვოკაციად" აფასებენ.

ზიუგანოვმა ასევე ჟურნალისტებს აცნობა, რომ მის ხელთ არსებული ინფორმაციით, სტრასბურგში, სადაც ამჟამად საპარლამენტო ასამბლეის სესიის პარალელურად, მემარცხენე ძალთა საპროტესტო აქციაა დანიშნული, ნეოფაშისტები ჩავიდნენ.

კომუნისტი კოლეგისგან განსხვავებით სრულიად საპირისპირო პოზიცია უკავიათ სხვა რუს დეპუტატებს. რადიოსადგურ "ეხო მოსკვის" ეთერში რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს ვიცე-სპიკერმა ვლადიმირ ჟირინოვსკიმ განაცხადა, რომ სტრასბურგში მიფრინავს, რათა 25 იანვარს "რეზოლუციას მთლიანად დაუჭიროს მხარი".

**"ეს სწორი რეზოლუციაა. ეს ის რეჟიმია, რომელმაც რუსეთის, აღმოსავლეთ ევროპის ხალხებს და მთელ მსოფლიოს უდიდესი ზიანი მოუტანა,"** - განაცხადა რუსეთის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის ლიდერმა.

ჟირინოვსკის, ერთი შეხედვით, გაუგებარი პათოსი, სრულიად გასაგები გახდება, თუ თავად დოკუმენტის შინაარსს გადავხედავთ. მართალია, აღნიშნული რეზოლუცია "ხმამაღლა გმობს" კომუნისტური რეჟიმების ჩადენილ დანაშუალებს, მაგრამ მასში არსად არის ნათქვამი საბჭოთა კავშირის კონკრეტულ დანაშაულებრივ ქმედებებზე, - კერძოდ, ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებსა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. გასული წელს ბალტიისპირელები სწორედ ამ მოთხოვნებს აყენებდნენ. თუმცა, რუსეთის დეპუტაციამ იმდენი მოახერხა, რომ ხვალ დღის წესრიგში შეტანილი რეზოლუციით, საბჭოთა კავშირისგან "დაჩაგრულ" არც ერთ ერს არ მიეცემა საშუალება, კომუნისტების დანაშაულზე პასუხისმგებლობა რუსეთს (როგორც საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრეს) მოსთხოვოს.

# ამერიკული დიპლომატიის წვლილი ენერგოკრიზისის დაძლევაში

პირველი გვერდიდან

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი რუსეთის ფედერაციის ხელისუფლებას მოუწოდებს, დეტალურად გამოიძიოს რამდენიმე დღის წინ გაზსადენებზე მომხდარი აფეთქების გამომწვევი მიზეზები, - ამის შესახებ აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა, შონ მაკკორმაკმა ვაშინგტონში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

ამერიკელი დიპლომატის განცხადებით, სახელმწიფო დეპარტამენტი მომხდარის შესახებ ცნობის მიღებისთანავე დაუკავშირდა ქართულ და რუსულ მხარეებს. ამერიკის მხრიდან **"მრავალი სატელეფონო ზარი განხორციელდა,** - ამბობს მაკკორმაკი და იქვე დასძენს, - **ჩვენ ჩვენი როლი შევასრულეთ და ვამაყობთ ამით".**

სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლის თქმით, პრობლემის მოგვარებისათვის აუცილებელ მოლაპარაკებებში უშუალოდ მონაწილეობდნენ სახელმწიფო მდივნის მოადგილე დენიელ ფრიდი, თანაშემწე მეთიუ ბრაიზა, აშშ-ს ელჩი საქართველოში ჯონ ტეფტი და სხვა ოფიციალური პირები. სწორედ ამის შედეგია, რომ ამჟამად საქართველოში აზერბაიჯანიდან შემოდის ბუნებრივი გაზი, ხოლო თურქეთიდან - ელექტროენერგია.

აშშ ჯერჯერობით თავს იკავებს მომხდარის შეფასებისგან და მხოლოდ აცხადებს, რომ არ ფლობს ოფიციალურ ინფორმაციას აფეთქების გამომწვევი მიზეზების შესახებ, თუმცა მისთვის ცნობილია, რომ რუსეთი მომხდარ ფაქტებს ტერორისტული აქტის შეფასებას აძლევს. **"მიუხედავად იმისა, თუ რა იყო აფეთქების მიზეზი, მნიშვნელოვანია, რომ საქართველოსა და სომხეთს, კრიზისის დროს, სასწრაფო დახმარების ხელი მეზობელმა სახელმწიფოებმა გაუწოდეს,"** - განაცხადა მაკკორმაკმა.

დასასრულ სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რუსეთის ხელისუფლების თქმით, გაზსადენების რემონტი ორ-სამ დღეში დასრულდება და საქართველოსა და სომხეთშიც აღდგება ბუნებრივი აირის მიწოდება.

შეგახსენებთ, კვირას ჩრდილოეთ ოსეთის პროკურატურამ გაზსადენების აფეთქებების ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე "ქონების განზრახ დაზიანების" მუხლით აღძრა, მაშინ, როცა ყარაჩაი-ჩერქეზეთში ელექტროგადამცემ "კავკასიონზე" მომხდარ აფეთებაზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა "ტერორიზმისა" და "საბრძოლო მასალების უკანონო შენახვა-გამოყენების" მუხლებით.

## ორი სიტყვით

# აფეთქება ირანში

## მსხვერპლი შესაძლოა, პრეზიდენტიც გამხდარიყო

ირანის სამხრეთში მდებარე ქალაქ აჰვაზში (ჰუზესტანის პროვინცია) გუშინ ორი ბომბი ამოქმედდა. ეს ინფორმაცია ქალაქის მერის პრესსამსახურმაც დაადასტურა.

როგორც "როიტერის" სააგენტო იუწყება, აფეთქებულია ბანკი და სახელმწიფო დაწესებულება.

სააგენტო "მეჰრის" ინფორმაციით, აფეთქების შედეგად 6 ადამიანი დაიღუპა, ხოლო 34 დაშავდა. შემთხვევის ადგილისკენ სახანძრო და სასწრაფო დახმარების მანქანები გაემართნენ. თუმცა, როგორც "სი-ენ-ენი" იუწყება, აფეთქების მსხვერპლთა შორის შესაძლოა, ირანის პრეზიდენტი მაჰმუდ აჰმადინეჯადიც აღმოჩენილიყო, რომ არა გაუქმებული ვიზიტი ამ ქალაქში. რაც შეეხება გაუქმებული ვიზიტის მიზეზებს, სხვადასხვა წყარო სრულიად განსხვავებულ ინფორმაციას ავრცელებს. ზოგიერთი წყარო მიზეზად სავარაუდო ქარიშხალს ასახელებს, რომელიც პრეზიდენტის უსაფრთხოდ გადაადგილებას ხელს შეუშლიდა, ხოლო ზოგიერთიც ძლიერ წვიმას. აჰვაზში შეხვედრა კი პრეზიდენტისა და მინისტრთა კაბინეტის მიერ რეგიონული ცენტრების მონახულების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო, რომელიც მიზნად ადგილობრივი საკითხების განხილვას ისახავდა.






# ქართული სამრევლო კიევში



საქართველოს პრეზიდენტი
ПРЕЗИДЕНТ ГРУЗИИ

22.01.2006

**Святейшему Филарету**
**Патриарху Киевскому и всея Руси-Украины**

**Ваше Святейшество,**

От имени грузинского народа и от себя лично сердечно поздравляю Вас с днем рождения.
Желаю здоровья и многих успехов. Уверен, что под Вашим руководством , Украинская Православная Церковь-Киевский Патриархат, имеет весомый вклад в духовном развитии и демократизации украинского общества.

С уважением

**Президент Михаил Саакашвили**

პირველი გვერდიდან

ღვთისმსახურებას ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ლევან დუჩიძე და საქართველოს სახალხო დამცველი სოზარ სუბარი. საგულისხმოა, რომ ქართული ეკლესიის გახსნა დაემთხვა უკრაინის სახელმწიფო ერთიანობის დღესასწაულს, რომელიც პრეზიდენტ იუშენკოს დადგენილებით ამიერიდან ყოველი წლის 22 იანვარს აღინიშნება. 23 დეკემბერს საქართველოს დელეგაცია დაესწრო საზეიმო მიღებას, რომელიც კიევის პატრიარქ ფილარეტის 77 წლის იუბილეს ეძღვნებოდა. საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ლევან დუჩიძემ პატრიარქ ფილარეტს გადასცა საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალური მილოცვის ტექსტი. კიევის პატრიარქმა ფილარეტმა ლევან დუჩიძე და სოზარ სუბარი უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა მოციქულთასწორ მთავარ ვოლოდიმირის სახელობის ორდენებით დააჯილდოვა.

## ქართული მედია

# ჟურნალისტების პროფესიონალიზმის პრობლემა

ია ანთაძე

ბოლო ორი წლის განმავლობაში, სარედაქციო დამოუკიდებლობის და ინფორმაციის მოპოვების პრობლემებთან ერთად, თავი განსაკუთრებით იჩინა ჟურნალისტური პროფესიონალიზმის ხარვეზებმა. ამას აღნიშნავენ ექსპერტები და თავად ჟურნალისტებიც.

ვარდების რევოლუციის შემდეგ, მედიის წარმომადგენლები ახალი ხელისუფლებისგან ბევრ სიკეთეს ელოდნენ. მაგრამ შოკურ მდგომარეობაში სხვებზე ადრე სწორედ ისინი აღმოჩნდნენ. ბევრი ჟურნალისტი სამსახურიდან დაითხოვეს; ბევრი მედიასაშუალება დაიხურა და იქ მომუშავე ჟურნალისტები, უბრალოდ, უმუშევრები დარჩნენ; ზოგიერთი გადაცემა ეთერიდან მოიხსნა და საზოგადოებისთვის კარგად ნაცნობმა სახეებმა ჩრდილში გადაინაცვლეს; რამდენიმე ცნობილი ჟურნალისტი ამა თუ იმ სამთავრობო უწყების პრესსამსახურის უფროსად დაინიშნა და თავის პროფესიას ჩამოშორდა.

ამ ცვლილებების მიუხედავად, მედიაში ამინდს ქმნიდა და ქმნის არა დამწყები რეპორტიორების კორპუსი, არამედ ჟურნალისტთა ძველი, გამოცდილი თაობა. ჟურნალისტიკის გახავერდოვნებამ რევოლუციის შემდეგ მძიმე დარტყმა მიაყენა კონკრეტული ჟურნალისტების პროფესიულ იმიჯს. მაგრამ გამოხდა ხანი და შოკიდან გამოსულმა მედიამ ძველი ფუნქციის დაბრუნება მოინდომა. გაჩნდა საგაზეთო მასალები და სატელევიზიო გადაცემები, სადაც ჟურნალისტები ცდილობდნენ, ოპონირება გაეწიათ ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის; ცდილობდნენ, საზოგადოებისთვის ეჩვენებინათ, რომ ისინი ბრმად არ იზიარებენ ხელისუფლების პოზიციას. სწორედ ამ პროცესში იჩინა თავი ერთმა მტკივნეულმა ტენდენციამ. აღმოჩნდა, რომ შევარდნაძის ხელისუფლებისგან განსხვავებით, სააკაშვილის ხელისუფლების პირობებში მწვავე ჟურნალისტობა არც ისე ადვილია. ამას მარტივი ახსნა აქვს: უმოქმედო ხელისუფლების კრიტიკა განსაკუთრებულ ცოდნას და უნარებს არ მოითხოვს. სულ სხვა საქმეა ქმედითი ხელისუფლების ადეკვატური შეფასება და, მით უმეტეს, კრიტიკა. ვთქვათ, პრეზიდენტი ამბობს, რომ პატრული საზოგადოების დიდი ნდობით სარგებლობს, რომ განათლების რეფორმა წარმატებულია და რომ თბილისის მერის არჩევა პირდაპირი გზით ქალაქს დაღუპავს. თუ ჟურნალისტს სურს ამ ან სხვა მსგავსი შეფასებების ოპონირება, მან ზუსტად უნდა იცოდეს რამდენიმე საკითხი: კანონმდებლობა, რომელიც მისთვის საინტერესო სფეროს არეგულირებს, რეალური მდგომარეობა ამ სფეროში, საზოგადოების განწყობა, ექსპერტების აზრი, კონკრეტული შემთხვევები და უცხოური გამოცდილებაც კი. იმის გამო, რომ ჟურნალისტები არ იყვნენ შესაბამისად მომზადებული კამათისთვის, მათ წააგეს ყველა პაექრობა ხელისუფლების წარმომადგენლებთან. ეს განსაკუთრებით აშკარა იყო განათლების რეფორმასთან და თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებული საკითხების განხილვისას. საბოლოოდ, მედიის არაადეკვატური მზაობის გამო, გამოვიდა, რომ განათლების რეფორმა ძალიან წარმატებულია, რომ თბილისის მერის პირდაპირი არჩევა დიდი შეცდომა იქნება და რომ ფასადების შეღებვა მთელ საქართველოში ჩვენი ევროპული იერსახის დამადასტურებელია. მართალია, საზოგადოება გრძნობს, რომ საქმე არც მთლად ასე კარგად არის, მაგრამ კახა ლომაიასა და გიგა ბოკერიას არგუმენტები რომ ჟურნალისტების არგუმენტებზე უფრო ლოგიკურად ჟღერდა, ამის უარყოფა უსამართლობაა. აღმოჩნდა, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები იღებენ გადაწყვეტილებებს და მათ შორის არიან ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ მიღებული გადაწყვეტილებების დაცვა. ამისთვის მათ საკმარისი ცოდნა და უნარები აქვთ. ჟურნალისტს კი, საზოგადოების ინტერესების დასაცავად და ხელისუფლების ღირსეული ოპონირებისთვის მეტისმეტად ბევრი შრომა სჭირდება. ამიტომ, საბოლოოდ ვიღებთ შედეგს, როდესაც საზოგადოება რჩება რეალური ინფორმაციისა და ობიექტური შეფასების გარეშე. ვინ იცის ზუსტად, რა ხარვეზები ჰქონდა ერთიან ეროვნულ გამოცდებს? ან არის თუ არა კორუფცია ფასადების ღებვაში? იცის ისევ ხელისუფლებამ, მაგრამ არ იცის საზოგადოებამ.

ასე რომ, დღეს ჟურნალისტების პროფესიული საქმიანობა ორმხრივ კრიტიკას ექვემდებარება: ან მედიასაშუალებები მეტისმეტად ხავერდოვნად წარმოაჩენენ ვითარებას; ან ჟურნალისტები მეტად კრიტიკულად არიან განწყობილი, მაგრამ არ არიან მზად არგუმენტირებული მსჯელობისთვის. სხვათა შორის, თბილისის ყოფილ მერს ზურაბ ჭიაბერაშვილს პირად საუბარში აქვს ნათქვამი - ნეტავ, რომელიმე ჟურნალისტს ჩემთვის ეკითხა, რისთვის უნდა გავეკრიტიკებინეო.

მაამებლობის ან თვითმიზნური კრიტიკის ნაცვლად, შესანიშნავი იქნება, რომ სწორედ მედიამ და სწორედ დღეს მთავარ ამოცანად დაისახოს ხელისუფლების საქმიანობისა და ქვეყანაში მიმდინარე პროცესების რეალური, ადეკვატური აღწერა. ეს არის ჩვენი პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე და ჩვენი პროფესიონალიზმის დასტურიც.

*სტატია გამოქვეყნებულია რადიო "თავისუფლების" ეთერით.*

## ჟურნალისტს მოკვლით ემუქრებიან

პირველი გვერდიდან

აღნიშნულის გამო მედიაკლუბმა მიმართა კახეთის მხარის შესაბამის სტრუქტურებს, გაერკვნენ საქმის ვითარებაში და არ დაუშვან ჟურნალისტზე ან გაზეთის რედაქციაზე ფიზიკური თუ მორალური ზემოქმედება. ამასთან, "საქართველოს მედიაკლუბი" თხოვნით მიმართავს მედია-საშუალებებს, აღნიშნული ფაქტით დაინტერესდნენ.

თავად ზვიად რუაძის ინფორმაციით, იგი პირადად დაუკავშირდა კახეთის რეგიონის პოლიციის უფროსს და მუქარის შესახებ შეატყობინა.

**"სტატიაში აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და გამოძიება მიმდინარეობს. მასალები სწორედ შესაბამის სტრუქტურებში მოვიძიე და მათ სისწორეზე პასუხისმგებლობა სამართალდამცველებსაც ეკისრებათ, თუმცა, ამაზე არავინ დავობს. დანაშაულში მხილებულ პიროვნებებს პრეტენზია იმაზე აქვთ, რომ მათი დანაშაული არ უნდა გახმაურებულიყო. პოლიციამ ხელშეუხებლობის გარანტია მომცა. ვნახოთ, მომავალში ვითარება როგორ განვითარდება",** - ამბობს ზვიად რუაძე.

*24 საათი*

## კობა ბექაურმა სასამართლო პროცესზე შეკითხვების უმეტესობას პასუხი ვერ გასცა

*პარლამენტარი კობა ბექაური საქალაქო სასამართლოში ხუთი საათის განმავლობაში იკითხებოდა. დაზარალებულის დაკითხვა გუშინ დასრულდა და იგი სასამართლოს წინაშე დღეს კვლავ წარდგება. გუშინდელი პროცესის დაწყებამდე ბექაურმა განაცხადა, რომ ზაფხულში მომხდარი ფაქტის შემდეგ, მან თავად მიმართა სამართალდამცველებს და სასამართლოზეც იგივეს გაიმეორებს, რაც მას უკვე ნათქვამი აქვს. მართლაც, კობა ბექაურმა წინასწარი გამოძიებისთვის მიცემული 17-გვერდიანი ჩვენება გაიმეორა და ახალი დეტალებითაც გაამდიდრა.*




*კობა ბექაურის ბრალდებებს შალვა რამიშვილი აბსურდულს უწოდებს.*

კობა ბექაურის განცხადებით, მან 2005 წლის მაისში შეიტყო იმის შესახებ, რომ ტელეკომპანია "202"-ში სტუდია "რეპორტიორი" მისი ფინანსური მდგომარეობის ამსახველ ფილმს ამზადებდა. მან ეჭვი შეიტანა მასალის ობიექტურობაში, რადგან ჟურნალისტი არ დაინტერესდა მისი პოზიციით და იმ დოკუმენტაციით, რაც მის სიმართლეს დაადასტურებდა.

**"ამიტომ "202"-ის დამფუძნებლებს, კერძოდ, შალვა რამიშვილს პირადად ვთხოვე, ეზრუნა იმაზე, რომ ჩემი რეპუტაციის შემლახველი ფილმი არ გასულიყო. რამიშვილმა ფილმის დაბლოკვის სანაცვლოდ 100 ათასი დოლარი მოითხოვა. მან სხვა გამოსავალი აღარ დამიტოვა და მივმართე შს სამინისტროს,"** - განაცხადა ბექაურმა.

პროცესზე ბექაურს შეკითხვები დაუსვა სხდომის მონაწილე ყველა მხარემ - პროკურორებმა, დაკავებულების ადვოკატებმა, თავად განსასჯელებმა. **"რამდენიმე თვის წინ მომხდარი მოვლენები არ მახსოვს,"** – დასმული შეკითხვების უმრავლესობაზე ასეთ პასუხს იძლეოდა დაზარალებული ბექაური.

შალვა რამიშვილმა წაიკითხა საქმის მასალებიდან ამონაწერი, რომლის მიხედვითაც, შეიძლება დაასკვნა, რომ ბექაური ფილმის შემკვეთად კოდუებს ასახელებს. შალვა რამიშვილმა დაზარალებულისგან მოითხოვა დაკონკრეტება, თუ ვის გულისხმობდა ბექაური. თუმცა, ბექაურის განცხადებით, კოდუებს საქმესთან არსებითი კავშირი არ აქვთ და ამიტომაც მან ამ შეკითხვას პასუხი არ გასცა.

**"ეს ყველაფერი აბსურდი და სისულელეა,"** - განაცხადა შალვა რამიშვილმა. მისივე თქმით, ის ბოლომდე აპირებს ბრძოლას, რადგან არც ერთ ბრალდებას არ აღიარებს და, დღევანდელი სიტუაციიდან გამომდინარე, მხოლოდ იმას ნანობს, რომ წარსულში პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან მეგობრობდა და რომ სააკაშვილის ხელისუფლების მოსვლაში მასაც წვლილი აქვს შეტანილი.

შეგახსენებთ, რომ შალვა რამიშვილი და დავით კოხრეიძე 2005 წლის 27 აგვისტოს დააკავეს. მათ პარლამენტარ კობა ბექაურისთვის განსაკუთრებით დიდი ოდენობით თანხის გამოძალვაში ადანაშაულებენ. წარდგენილი ბრალდება, დამტკიცების შემთხვევაში, 6 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

*24 საათი*

## მოკლედ

### საგარეო უწყება სამართალდამცველების მოთხოვნას უერთდება

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო მნიშვნელოვან პირობად მიიჩნევს რუსეთის ფედერაციის იმ ოფიცერთა პასუხისგებაში მიცემას, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ენერგოინფრასტრუქტურის წინააღმდეგ განხორციელებული დივერსიული და ტერორისტული აქტებისთვის იძებნებიან.

საგარეო უწყება უერთდება შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებას, რომლის მიხედვითაც, 2004 წლის სექტემბერში ოთხი ტერორისტული, დივერსიული აქტის ორგანიზებისა და განხორციელებისთვის და საქართველოში მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების განადგურებისთვის ქართული მხარე მოსკოვისგან ორი რუსი ოფიცრის გადმოცემას მოითხოვს.

ანატოლი სისოევი და რომან ბოიკო რუსეთის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო დაზვერვის მთავარი სამმართველოს, "გრუს"-ს ოფიცრები არიან. ეს პირები, ასევე, იძებნებიან საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ნავთობსადენების წინააღმდეგ ჩადენილი მსგავსი დივერსიული ქმედებებისთვის.

**"აღნიშნული პირები ექვემდებარნილები არიან საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილი მძიმე სისხლის სამართლებრივი დანაშაულებისთვის. რამდენიმე თვის წინათ ამ პირთა საქმიანობის ამსახველი მტკიცებულებები გადაეცა რუსეთის ხელისუფლებას, მაგრამ ისინი ჯერჯერობით ვერ ახერხებენ აღნიშნული საკითხის სათანადო წესით მოგვარებას. საქართველოს მთავრობა მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას, რომ აღნიშნული პირები საქართველოს სამართალდამცავ ორგანოებს გადასცეს, რაც 2006 წლის 22 იანვარს განხორციელებული დესტრუქციული ქმედებების შემდეგ ფართომასშტაბიან თანამშრომლობას უფრო შესაძლებელს გახდის,"** - ნათქვამია საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

*24 საათი*

### სოზარ სუბარს ახალი ასისტენტი ეყოლება

ქუთაისის სახალხო დამცველი გიორგი მშვენიერაძე, ამიერიდან, გაერო-ს განვითარების პროგრამით გათვალისწინებული პროექტით, თბილისში საქართველოს სახალხო დამცველის ასისტენტის მოვალეობას შეასრულებს.

როგორც გიორგი მშვენიერაძე აცხადებს, ის სოზარ სუბარს რეგიონებთან ურთიერთობაზე კონსულტაციებს გაუწევს.

"ეს პროგრამა ორწლიანია, მე კონკურსში მივიღე მონაწილეობა და გავიმარჯვე. აქამდე აქტიურად მხოლოდ ქუთაისის ოფისი მუშაობდა. აჭარა და ზუგდიდი ყოველთვის ინერტული იყო. ამიტომ გახდა საჭირო ამ სამსახურის შექმნა", - აცხადებს მშვენიერაძე. ქუთაისის სახალხო დამცველის პოსტი გიორგი მშვენიერაძის მოადგილემ თეონა კუჭავამ დაიკავა.

*ინტერპრესნიუსი*

### ფინანსურმა პოლიციამ ზუგდიდში ორი ბენზინგასამართი სადგური დალუქა

ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის სამეგრელოს სამმართველოს თანამშრომლებმა ზუგდიდში ორი ბენზინგასამართი სადგური დალუქეს.

როგორც ფინანსურ პოლიციაში აცხადებენ, ინდმეწარმეებს ეკა ლორთქიფანიძესა და შოთა მარშავას ერთდროულად რამდენიმე სახის სამართალდარღვევა აღმოაჩნდათ. ბენზინგასამართ სადგურებს არ გააჩნდათ გარემოსდაცვითი ნებართვა, არც აქციზის გადამხდელთა ინსპექციაში ჰქონდათ ვაჭრობის ნებართვა აღებული, ამასთან, არ იყენებდნენ სალარო აპარატს.

ფინანსური პოლიციის თანამშრომლებმა ორივე ბენზინგასამართ სადგურში აღურიცხავი, უსაბუთო საწვავიც აღმოაჩინეს. გამოძიებას ფინანსური პოლიციის სამეგრელოს სამმართველო აწარმოებს.

*პრაიმ-ნიუსი*

### მოსამართლის თანაშემწეობის პრეტენდენტთათვის საკვალიფიკაციო გამოცდა ჩატარდება

სამოსამართლო სწავლების ცენტრში მოსამართლეთა თანაშემწეობის პრეტენდენტთა საკვალიფიკაციო გამოცდა 27 იანვარს გაიმართება. როგორც სამოსამართლო სწავლების ცენტრში აცხადებენ, ტესტირებას 100 იურისტი გაივლის, რომლებმაც ამავე ცენტრში მომზადების სამთვიანი კურსი გაიარეს.

სასწავლო პროგრამის მიხედვით, ტესტი 100 კითხვისგან შედგება, კონკურსანტმა გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში სწორი პასუხი 70-ს უნდა გასცეს. მოსამართლეთა თანაშემწეობის პრეტენდენტებმა მომზადება სისხლის, სამოქალაქო, ადმინისტრაციულ, საკონსტიტუციო, საპროცესო სამართალში გაიარეს. გამოცდის ჩატარების გამჭვირვალობის მიზნით, ტესტირებაზე მეთვალყურეებად იუსტიციის საბჭოს წარმომადგენლები არიან მიწვეულები. იურისტები, რომლებიც ტესტირებას წარმატებით გაივლიან, შესაბამის სერთიფიკატებს მიიღებენ, რომლითაც მათ მოსამართლის თანაშემწის თანამდებობაზე მუშაობის უფლებამოსილება მიენიჭებათ. სამოსამართლო სწავლების ცენტრში მოსამართლეთა თანაშემწეობის პრეტენდენტთა მორიგი ჯგუფის მომზადება მარტიდან დაიწყება

*ინტერპრესნიუსი*

### არასრულწლოვანთა და ქალთა კოლონიებში ტელევიზორები დამონტაჟდება

გუშინ ბანკ "რესპუბლიკას" ინიციატივით, არასრულწლოვანთა და ქალთა კოლონიებში ტელევიზორები შეიტანეს. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, ტელევიზორები ყველა საკანში დამონტაჟდება.

პატიმრების განცხადებით, დღეიდან მათი ყოფა მკვეთრად გაუმჯობესდება და გაცილებით საინტერესო გახდება. ტელევიზორებთან ერთად ბანკმა "რესპუბლიკამ" პატიმრები ტკბილეულითაც დაასაჩუქრა.

*მედიანიუსი*

## იუსტიციის სამინისტრო ადვოკატურის რეფორმას იწყებს

იუსტიციის მინისტრი გია ქავთარაძე, ადვოკატურის სისტემის რეფორმასთან დაკავშირებით, ადვოკატთა ასოციაციის ხელმძღვანელს კახა ასლანიშვილსა და ამ ასოციაციის გამგეობის წევრ ზვიად კორძაძეს შეხვდა. შეხვედრის მიზანი იყო სისხლის სამართლის რეფორმის სტრატეგიის განხორცილებისათვის შექმნილი ჯგუფის მუშაობაში ადვოკატთა ასოციაციის წევრების ჩართვა.

ერთ-ერთმა ქვეჯგუფმა, რომელსაც ადვოკატურის სისტემის რეფორმაზე უნდა ემუშავა, თავისი მიზანი სრულყოფილად ვერ განახორციელა, რადგან ბოლო დრომდე ვერ ხერხდებოდა ადვოკატთა ასოციაციის ჩამოყალიბება და, შესაბამისად, ვერ ხერხდებოდა მისი წევრების მონაწილეობა რეფორმის კონცეფციის შექმნაში. ამის მიზეზი კი, ადვოკატთა ასოციაციის შექმნისას ადვოკატთა ორ ჯგუფს შორის წარმოქმნილი კონფლიქტი გახდა. საქმე ისაა, რომ ადვოკატთა ერთი ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც ზვიად კორძაძეც იმყოფებოდა, მიიჩნევდა, რომ ასოციაციის თავმჯდომარედ კახა ასლანიშვილის არჩევა ხელისუფლების სურვილი იყო. ამ და სხვა საკითხებზე ადვოკატთა შორის არსებული კონფლიქტი საბოლოოდ მორიგებით დასრულდა და რამდენიმე დღის წინ ასოციაციის საერთო კრებაც შედგა, რომელზეც საბოლოოდ ჩამოყალიბდა შიდა მმართველი ორგანოები. საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია აერთიანებს 800-მდე წევრს. ასოციაცია იმუშავებს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდებზე, ტესტირებების ორგანიზებაზე და დისციპლინარულ სამართალწარმოებაზე.

იუსტიციის მინისტრის განცხადებით, იგი მიესალმება ადვოკატთა ასოციაციის ამოქმედებას და იმედს გამოთქვამს, რომ ადვოკატები აქტიურად მიიღებენ მონაწილეობას სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის სტრატეგიის განხორციელებაში. მისი თქმით, სამართლებრივი რეფორმისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ადვოკატთა ძლიერი ინსტიტუტის შექმნას. მინისტრის ინფორმაციით, სისხლის სამართლის კანონმდებლობის სტრატეგიის გეგმის რამდენიმე პუნქტი უკვე განხორციელდა. შექმნილია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტი. ამჟამად, მუშავდება ადვოკატთა ინსტიტუტის განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები. ადვოკატებისა და იუსტიციის მინისტრის შეხვედრა დახურულ კარს მიღმა გაიმართა. შეხვედრაზე გადაწყდა, რომ ადვოკატურის სისტემის რეფორმის ქვეჯგუფს კახა ასლანიშვილი უხელმძღვანელებს. რეფორმის კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის პირველი, სამუშაო ვარიანტი 15 თებერვლამდე უნდა მომზადდეს.

საბოლოო სამოქმედო გეგმა კი 30 მაისს უნდა იყოს მზად.

ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის კახა ასლანიშვილის განცხადებით, სამართლებრივი სახელმწიფოს შენების გზაზე ადვოკატურის ინსტიტუტს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

*24 საათი*

## კორუფციაში ბრალდებულ ჟურნალისტს პირობითი სასჯელი მიუსაჯეს

*მოსკოვის სასამართლომ შვიდწელიწადნახევრიანი პირობითი სასჯელი მიუსაჯა ჟურნალისტს, რომლის საქმესაც ძალიან ბევრი აქვს საერთო იმ პროცესთან, რომელიც საქართველოში მიმდინარეობს და რომელზეც განსასჯელის სკამზე ასევე ჟურნალისტი ზის.*

რუსული ინტერნეტ-გამოცემის "დოსიე.რუ"-ს შეფ-რედაქტორი იულია პელეხოვა იმავე ბრალდებით გაასამართლეს, რასაც ტელეკომპანია "202"-ის დამფუძნებელს შალვა რამიშვილს ედავებიან. თუმცა, პელეხოვას საქმეში არც ისე ცნობილი და გავლენიანი პირები არიან ჩართულნი, როგორც რამიშვილის შემთხვევაში.

გუშინ გამოძალვის ბრალდებით, მოსკოვის სასამართლომ პელეხოვას შვიდწელიწადნახევრით პირობითი სასჯელი მიუსაჯა, ხუთწლიანი გამოსაცდელი ვადით და ჟურნალისტი, რომელიც მანამდე პატიმრობაში იმყოფებოდა, სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლა.

სასამართლოს არ გაუთვალისწინებია ბრალდებულის მტკიცება თავისი უდანაშაულობის შესახებ და არც მისი ადვოკატის მიერ სასამართლოსთვის დამატებით წარდგენილი მასალები, რომელთა თანახმადაც პელეხოვას გამოძალვასა და შანტაჟზე არც უფიქრია. პირიქით, ადვოკატის მტკიცებით, სასამართლოზე დაზარალებულად ცნობილი მხარე საკუთარი ინიციატივით სთავაზობდა პელეხოვას ფულს იმ შემთხვევაში, თუ ჟურნალისტი არ გამოაქვეყნებდა მის ხელთ არსებულ მაკომპრომეტირებელ მასალებს.

მიუხედავად ყველაფრისა, მოსკოვის სასამართლომ დადასტურებულად ჩათვალა პელეხოვასთვის წარდგენილი ბრალდება და განაჩენი ისე გამოიტანა, რომ პროცესს არც პელეხოვას ადვოკატი ესწრებოდა და მეტიც – არც სახელმწიფო ბრალმდებელი.

იულია პელეხოვას წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე მეწარმე ოქსანა ტოკარევას განცხადების საფუძველზე აღიძრა. მან სამართალდამცველებს 2004 წლის იანვარში მიმართა და განაცხადა, რომ ჟურნალისტი მას 100 ათას დოლარს სძალავს და ფულის არგადახდის შემთხვევაში მაკომპრომეტირებელი ინფორმაციის გამოქვეყნებით ემუქრება.

პელეხოვა მოსკოვის ერთ-ერთ რესტორანში მაშინ დააკავეს, როდესაც მას 40 ათას დოლარს გადასცემდნენ. თუმცა, დაკავებულმა იმთავითვე უარყო დანაშაული.

2004 წლის ზაფხულში მოსკოვის სასამართლომ მას შვიდწელიწადნახევრით პატიმრობა მიუსაჯა, თუმცა საკასაციო სასამართლომ განაჩენი გააუქმა და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა. სწორედ ხელახლა განხილვის შემდეგ გაათავისუფლეს პელეხოვა პატიმრობიდან, თუმცა მაინც დამნაშავედ სცნეს.

პელეხოვას ადვოკატის ალექსანდრე ტოფტის აზრით, იმ დანაშაულის ნიშნები, რომელსაც ჟურნალისტს ედავებიან, მის ქმედებაში არ არსებობს. მისივე თქმით, გამოძიებისას არ იქნა გათვალისწინებული იმ მოწმეთა ჩვენებები, რომლებითაც ჟურნალისტის უდანაშაულობა მტკიცდებოდა.

ერთ-ერთი ასეთი მოწმის ჩვენებით, მსხვილი თანხის სანაცვლოდ პელეხოვას გაჩუმებას მართლაც ცდილობდნენ ის მეწარმეები და მათ შორის სასამართლოზე დაზარალებულად ცნობილი ტოკარევა, რომელთა წინააღმდეგაც მას სერიოზული მასალები მოეპოვებოდა.

იმავე მოწმის ჩვენებით, მომჩივანი ტოკარევა მეტად საეჭვო პიროვნებაა, მან პელეხოვას დაკავებამდე ცოტა ხნით ადრე გვარი გამოიცვალა, მაგრამ ვინც მას იცნობს, ყველას მოეხსენება, რომ მსგავს საქმეებში კარგი შემსრულებელია და მისი განცხადებები სხვადასხვა დროს ათეულობით საქმის აღძვრის საფუძვლად ქცეულა.

მიუხედავად იმისა, რომ პელეხოვას ადვოკატმა სასამართლოს ზემოთ თქმულის დამადასტურებელი მასალები წარუდგინა, სასამართლომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი მაინც გამოძალვაში სცნო ბრალდებულად.

აღსანიშნავია, რომ იულია პელეხოვა პირველი ჟურნალისტია რუსეთში, რომლის წინააღმდეგაც სისხლის სამართლის საქმე კორუფციული მუხლით აღიძრა.

*24 საათი*


### ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

**თქვენ ისევ სჭირდებით ქვეყანას**

"უმუშევართა გადამზადებისა და თვითდასაქმების პროგრამის" ფარგლებში ფონდი "ღია საზოგადოება საქართველო" ატარებს პროფესიული გადამზადების უფასო კურსებს.

პროექტით გათვალისწინებულია სპეციალური სწავლების კურსები კერძო ბიზნესის წამოწყების, მისი წარმატებული განვითარებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ფუნქციონირებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების შესაძენად.

პროგრამაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საჯარო სამსახურებიდან გათავისუფლებულ 28-დან 50 წლამდე ასაკის მოქალაქეებს.

კურსის დამთავრებისას ყველა მონაწილეს გადაეცემა შესაბამისი სერტიფიკატი. წარმატებულ კურსდამთავრებულს ფონდი ხელს შეუწყობს გრანტებისა და კრედიტების მოძიებაში.

სწავლების კურსებს ახორციელებენ ორგანიზაციები **CTC** (კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი) და **ESM** თბილისი (მართვის ევროპული სკოლა).
სწავლების ხანგრძლივობაა 6 თვე.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ **CV** (ავტობიოგრაფია) და შრომის წიგნაკის ასლი შემდეგ მისამართზე:

**ქ. თბილისი, ყაზბეგის 34, ნაკვეთი III**
**საბუთები მიიღება 2006 წლის 5 თებერვლამდე.**
**დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ ტელეფონით: 91 59 16.**
**ეწვიეთ ვებგვერდს: www.osgt.ge**


### უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

________________________________________

**ა ნ კ ე ტ ა**

**სახელი, გვარი**..........................................................
**ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი**..........................................................
**საკონტაქტო ტელეფონი**..........................................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპის" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

[illegible]

1. [illegible]
2. [illegible]
3. [illegible]
4. [illegible]
5. [illegible]
6. [illegible]
7. [illegible]
8. [illegible]
9. [illegible]
10. [illegible]
11. [illegible]

[illegible]

# სახალხო ფორუმი

**ძვირფასო თბილისელებო!**
"სახალხო ფორუმის", პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ინიციატივით თბილისში მიმდინარეობს ხელმოწერების შეგროვების კამპანია თბილისის მერის პირდაპირი არჩევნების მოთხოვნით.

**მოგიწოდებთ!**

საკუთარი ხელმოწერებით გამოვხატოთ სურვილი და მზადყოფნა, პირდაპირი გზით ავირჩიოთ თბილისის მერი და თავადვე ვაგოთ პასუხი ჩვენს ქალაქზე! დაინტერესებულ პირებს ხელმოწერებთან დაკავშირებით შეუძლიათ მოგვმართოთ შემდეგ ოფისებში:

**"სახალხო ფორუმი"** - ქ. თბილისი; ვირსალაძის ქ.N10;
**"რესპუბლიკური პარტია"** -ქ. თბილისი; ალ. ჭავჭავაძის ქ. N11;
**"მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს"** - ქ. თბილისი; მტკვრის მარცხენა სანაპირო N7;
**"ეროვნულ-დემოკრატიული პარტია"** -ქ. თბილისი. რუსთაველის პროსპ. N 21
**"კონსტიტუციური უფლებების დაცვის ცენტრი"** - ქ. თბილისი; მიტროფანე ლაღიძის ქ. N3;
საზოგადოება **"სამგორი"** - მოსკოვის პროსპექტი; მარელისის ქ. N 2 "განთიადის კულტურის სახლი".

**თბილისელებს გვაქვს არჩევანის უფლება!**



## სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" განცხადება

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ანგარიშების შეცვლასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ გამოცხადებულ ტენდერებზე სატენდერო მოსაკრებელი 200.0 ლარის ოდენობით უნდა გადაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე:

მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში
მიმღების ანგარიში: 200122900
მიმღების ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი
სახაზინო კოდი: 302003000
გადახდის დანიშნულება: სატენდერო მოსაკრებელი
დამატებითი ინფორმაცია: სსიპ"საზოგადოებრივი მაუწყებელი" (2585)


# რესტიტუციის კანონი

## როგორც სტრუქტურული ძალადობის აღმოფხვრის საშუალება

*დღეს, როდესაც ყველა საუბრობს კონფლიქტის მოგვარებისა და სამშვიდობო გზების შესახებ, ჩემი აზრით, კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ადამიანების ქონებრივი უფლებების აღდგენა, მათთვის საკუთარ სამშობლოში ღირსეული დაბრუნების რეალური და სამართლებრივად გარანტირებული პირობების შეთავაზება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპია ამ მეტად რთულ და წინააღმდეგობრივ გზაზე.*

თინათინ ხიდაშელი

ქართულ-ოსური კონფლიქტის შედეგად ათეულ ათასობით საქართველოს მოქალაქემ დაკარგა საკუთრების უფლება და განდევნილ იქნა საკუთარი საცხოვრებლიდან. მათ შორის იყვნენ როგორც ოსი და ქართული, ასევე საქართველოში მცხოვრები სხვა ეროვნებათა წარმომადგენელი საქართველოს მოქალაქეებიც. ნებისმიერი თავმოყვარე და საკუთარ მოქალაქეებზე მზრუნველი სახელმწიფოს უპირველესი ვალდებულება სწორედ ამ ადამიანებისათვის საკუთარ ქვეყანასა და საკუთარ საცხოვრებელში ღირსეული დაბრუნების უფლების უზრუნველყოფაა.

1989 წელს ჩატარებული საბჭოთა აღწერის შედეგების მიხედვით, საქართველოში მცხოვრები 164 ათასი ოსიდან 99 ათასი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გარეთ ცხოვრობდა. დღევანდელი მონაცემებით, საქართველოში მხოლოდ 38 ათასი ოსი ეროვნების მოქალაქე ცხოვრობს. წინამდებარე სტატისტიკური მონაცემებიც საკმარისი დასტურია იმისა, რომ საქართველოს სახელმწიფოში ძალადობის ან, უკეთეს შემთხვევაში, შესაბამისი პოლიტიკის არარსებობის გამო, მათმა უდიდესმა უმრავლესობამ მიატოვა საკუთარი საცხოვრებელი და უკეთესი მომავლის პოვნის იმედით უცხო სახელმწიფოებს მიაშურა.

საქართველოდან დევნილი და უფლებააყრილი ოსი ეროვნების მოქალაქეების ქონებისა და მოქალაქეობის სრული უფლების აღდგენა ერთმნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ურთიერთნდობის დაბრუნებას და შემდგომი პოლიტიკური დიალოგის გაღრმავებას. 1997 წლიდან მოყოლებული, ეს საკითხი მუდმივად დღის წესრიგში იდგა, თუმცა პოლიტიკური სპეკულაციის საზღვრებს არ გასცდენია. ბოლო შვიდი-რვა წლის განმავლობაში ქონების რესტიტუციის კანონმდებლობის რამდენიმე ვერსია იქნა შემუშავებული როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ, ამასთანავე ცალსახად და ღიად იყო განცხადებული მრავალი საერთაშორისო ორგანიზაციისა და მეგობარი სახელმწიფოს საექსპერტო და ფინანსური დახმარების სურვილიც, მაგრამ საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების პოლიტიკური ნების არქონა უმთავრეს დაბრკოლებად იქცა დაწყებული პროცესის ბოლომდე მიყვანის საქმეში. საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დასავლეთის მეგობარი სახელმწიფოების ნება, ქმედითი დახმარება გაუწიონ საქართველოს, დღესაც სახეზეა და მისი ეფექტიანი გამოყენება მხოლოდ ჩვენს სურვილსა და მტკიცე ნების ქონაზე არის დამოკიდებული.

განახლებული სამშვიდობო პროცესის ფარგლებში, ჯერ კიდევ გასულ წელს, რესტიტუციის საკითხები კიდევ ერთხელ დადგა დღის წესრიგში, თუმცა თემის აქტუალიზაცია და მისთვის სამართლებრივი გარანტიების ფორმის მიცემა ვერ მოხერხდა. მუდმივად იგრძნობა ხელოვნური ბარიერები, რომელიც ამ კანონის მიღებას აფერხებს. უფრო მეტიც, რესტიტუციის შესახებ საუბარი არაპოპულარული გახდა და მან ერთგვარად "ანტიეროვნულ" ცნებათა შორის დაიდო ბინა.

ამასობაში, რესტიტუცია არც სალანძღავი სიტყვაა და არც არაფერია მასში ანტიეროვნული. იგი უნდა დაეყრდნოს სამართლიანობის, ადამიანის ღირსებისა და უფლებების პატივისცემისა და დარღვეული უფლებების აღდგენისათვის ქმედითი და ეფექტური საშუალებების შექმნის პრინციპებს.

იმისათვის, რომ კანონი მის მიზანს მოემსახუროს და იმავდროულად საქართველოს ეროვნული ინტერესებიც დაკმაყოფილდეს, იგი მიღებული უნდა იყოს რაც შეიძლება სწრაფად და არავითარ შემთხვევაში არ უნდა განიხილებოდეს, როგორც პირობითი ღონისძიება, რომელიც მხოლოდ პოლიტიკური მოთხოვნების, ან რაიმე სხვა ულტიმატუმების დაკმაყოფილების შემდეგ გახდება ეფექტური. ასეთი მიდგომის შემთხვევაში მისი აქტუალობა და ნდობის აღდგენის ფუნქცია ძალას დაკარგავს. რესტიტუცია, ანუ კონფლიქტის დროს დაზარალებული პირების უფლებებში აღდგენა, თავისთავადი მიზანია, რომელიც სამართლიანობისა და არადისკრიმინაციულობის გარანტიად უნდა განვიხილოთ, და არა საშუალება უფრო დიადი მიზნის მიღწევისათვის. მხოლოდ ამგვარი სამართლიანობისა და საკუთარი მოქალაქეების შელახული ღირსებისა და უფლებების აღდგენის სურვილის გულწრფელობაში მხარეების დარწმუნების შემდეგ შეიძლება საუბარი პროცესის ორმხრივობასა და ნდობის აღდგენაზე.

მეორე საფრთხე, რომელიც ამგვარი კანონის მიღების დროს შეიძლება გაჩნდეს, ეს არის მცდელობა - რესტიტუციის აღნიშნული კანონით კანონმდებელმა საქართველოს სახელმწიფოში, მისი არსებობის მანძილზე, ჩადენილი ყველა უსამართლობის კომპენსირება და ყველა დაჩაგრულის რეაბილიტირება მოინდომოს. ჩემი აზრით, აღნიშნული ინიციატივის განხორციელებამდე კონკრეტულად უნდა განისაზღვროს მისი მიზანი და შედეგი, რომელსაც სახელმწიფო ინიციატივის პატიოსნად და დროულად განხორციელებისაგან ელოდება. შესაბამისად, ჩემი აზრით, კანონი ქვეყნის წინაშე მდგარი ძალიან კონკრეტული პრობლემის მოგვარებისათვის უნდა განხორციელდეს და უნდა შეეხებოდეს მხოლოდ ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე მომხდარი შეიარაღებული დაპირისპირების დროს დაზარალებული ადამიანების უფლებების აღდგენას.

თავად კანონიც, ჩვენი აზრით, ერთობლივი მუშაობის და მრავალმხრივი ექსპერტიზის პროდუქტი უნდა იყოს, თუმცა ისე, რომ ამან პროცესის ხელოვნური გაჭიანურება და გადავადება კიდევ ერთხელ არ გამოიწვიოს. მეორე მხარის თანამშრომლობაზე უარის ან რაიმე სხვა მიზეზით არასათანადო თანამონაწილეობის შემ-



თხვევაში, ქართულმა მხარემ შესაბამისი საერთაშორისო ექსპერტიზის საფუძველზე მაინც უნდა მიიღოს კანონი და დაიწყოს მისი ეფექტური განხორციელება, თუნდაც საქართველოს სახელმწიფოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, მეორე მხარისათვის მუდმივად გაწვდილი ხელის პრინციპით, რითიც უზრუნველყოფილი იქნება კონფლიქტის ზონის მეორე მხარეს მყოფი მოქალაქეების უფლებების აღდგენის პროცესის დაწყებაც.

ბუნებრივია, რესტიტუციის კანონი არ უნდა იყოს ცალხმრივი და არ შეიძლება მხოლოდ ერთი ეროვნების ან ერთ კონკრეტულ ტერიტორიაზე მცხოვრები პირებით შემოიფარგლოს. იგი უნდა შეეხოს ყველა იმ პირის უფლებების აღდგენას, რომელიც სამხრეთ ოსეთში შეიარაღებული დაპირისპირების გამო დაზარალდა, მიუხედავად მისი ეთნიკური კუთვნილებისა (შესაბამისად, ქართველებისა და ოსებისაც). ამასთანავე, უმნიშვნელოვანესია, რომ არ მოხდეს მისი საომარი მოქმედებების განვითარების ტერიტორიით შეზღუდვა და კანონის მოქმედება გავრცელდეს მთელ საქართველოზე.

მესამე უმნიშვნელოვანესი პირობა არის პროცესის მრავალმხრივობა. ანუ, უნდა შეიქმნას სპეციალური სამართლებრივი მექანიზმი (კომისია, კომიტეტი, კვაზი-სასამართლო – რესტიტუციის ორგანო), რომელიც დაკომპლექტდება ქართველებით, ოსებით და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებით. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ პროცედურა იყოს მარტივი, ყველასათვის გასაგები და ხელმისაწვდომი. თუმცა, აუცილებელია განაცხადებისა და საჩივრების მიღების დრო კონკრეტული გონივრული ვადებით შემოიფარგლოს, რათა პროცესი ეფექტური იყოს. ამასთანავე, ძალზე მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნულ რესტიტუციის მექანიზმს ჰქონდეს მხარეთა თანხმობის შემთხვევაში საბოლოო გადაწყვეტილების მიღების უფლება, რომელიც არ საჩივრდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, პროცესი არასოდეს დასრულდება, თუმცა აუცილებლად უნდა იყოს შენარჩუნებული სასამართლოსათვის მიმართვის უფლება იმ შემთხვევაში, თუკი პირი თვლის, რომ მისი უფლებებში აღდგენის პროცესის მიმდინარეობის დროს დაირღვა მისი საერთაშორისო ნორმებითა და კანონმდებლობით გარანტირებული უფლებები. მაგალითად, იძულებით მოაწერინეს ხელი და ა.შ. რესტიტუციის ორგანოს, უფლების დარღვევის დადასტურების პარალელურად, ბუნებრივია, უფლება უნდა ჰქონდეს, დაადგინოს ზიანის ანაზღაურების ფორმა და ოდენობა, რომელიც, ბუნებრივია, დამოკიდებული იქნება კონკრეტული მომჩივანის პრობლემებსა და ზარალზე, მაგრამ დაეფუძნება წინსწარ შეთანხმებულ და აღიარებულ კომპენსაციის ერთიან სქემას.

დაბოლოს, რესტიტუციის კანონი ვერ იქნება ერთი იზოლირებული მცდელობა ნდობის აღდგენისათვის და პარალელურად საქართველოს ხელისუფლებამ ფორსირებულ რეჟიმში უნდა მიიღოს ბევრი სხვა შესაბამისი საკანონმდებლო აქტი, რომელიც ყველასთვის, როგორც კონფლიქტის მხარეების, ასევე საერთაშორისო თანამეგობრობისათვის, იქნება ცალსახა დადასტურება სამშვიდობო ინიციატივისა და იმ პრინციპების ერთგულებისა, რომელზეც ქართულ სახელმწიფოს მრავალგზის, სხვადასხვა ფორუმებსა და კონფერენციებზე, აქვს ხელი მოწერილი.

ძალიან მოკლედ რომ შევაჯამოთ, ზემოთ ნათქვამი სამშვიდობო გეგმის განხორციელების ეს კონკრეტული ღონისძიება სხვადასხვა საკანონმდებლო ნორმებში ასახულ შემდეგ ძირითად მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს:

*მშობლიურ სახლში თავისუფალი დაბრუნების უფლება;*
*ომის დროს ჩამორთმეული საკუთრების აღდგენის უფლება;*
*იმ საკუთრებაზე კომპენსაციის უფლება, რომლის აღდგენაც შეუძლებელია;*
*დაშინების, დევნისა და დისკრიმინაციისაგან დაცვის გარანტია, განსაკუთრებით ეთნიკური წარმოშობის, რელიგიური რწმენისა და პოლიტიკური შეხედულებების გამო;*
*დაბრუნებისათვის სხვა პოზიტიური პირობების შექმნა.*

არსებული საერთაშორისო გამოცდილებისა და სხვა კონფლიქტურ რეგიონებში აპრობირებული სისტემების შესწავლის შემდეგ ნათელი ხდება, რომ რესტიტუციის პროცესი მართვადი და განხორციელებადია. არაფერი შეუძლებელი და განუხორციელებელი რესტიტუციის მექანიზმის შექმნასა და ამოქმედებაში არ არის, თუმცა მისი წარმატებისათვის უმნიშვნელოვანესი პირობა უნდა იყოს დაკმაყოფილებული. მაგალითად, რესტიტუციის კომისიის მოდელზე შეთანხმებისას არც ერთი მხარე არ შეიძლება ხელმძღვანელობდეს რაიმე აკვიატებული პრინციპებით ან მათი იურისდიქციის ქვეშ არსებული რომელიმე უკვე მოქმედი მოდელით. ამგვარი ინსტიტუტის შექმნა უნდა დაეფუძნოს მხოლოდ მხარეთა შორის მოლაპარაკებას, კონსენსუსსა და მისი დროებითობის პრინციპს. კომისიის წევრების არჩევა, მის მიერ გადაწყვეტილებების მიღების პროცედურა, მიმართვის ფორმა და ვადები შესაძლებელია შერჩეული იქნეს მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში, ნებისმიერ კონფლიქტურ ზონაში არსებულ ნებისმიერ მოდელთა სინთეზით ან სულაც გამოგონებული იყოს სრულიად ახალი და ორიგინალური მოდელი.

ნებისმიერი კონფლიქტი, თავისთავად არაორდინარული, ანუ ფორსმაჟორული გარემოებაა და, შესაბამისად, მისი გადაწყვეტის გზებიც არაორდინარული და არასტანდარტულია. ამიტომ მთავარია, ამ პროცესში პატივი ვცეთ ორ ძირითად პრინციპს: პირველი - მექანიზმი შექმნილი და აღიარებული უნდა იყოს მხარეთა კონსენსუსითა და თანხმობით; და მეორე - დაცული უნდა იყოს ყველა იმ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული და გარანტირებული ძირითადი უფლებები, თავისუფლებები და ღირსება, რომელთაც, შესაძლოა, აღნიშნული რეგულირება შეეხოთ.

# უნდა ვჭამოთ თუ არა ქათამი?

*ამ შინაარსის კითხვა დღეს ყველაზე ხშირად ისმის. შესაძლოა, ამ კითხვით ბევრი თქვენგანიც დაინტერესებულა. ეს ბუნებრივიც არის. ბოლო რამდენიმე კვირაა მსოფლიოში და განსაკუთრებით, მეზობელ თურქეთში გავრცელებული ფრინველის გრიპის ვირუსის გამო, საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი პანიკამ მოიცვა, თუმცა როგორც კომპეტენტური ადამიანები ამტკიცებენ დღეს ჩვენს ქვეყანაში შექმნილი აჟიოტაჟი ყოველგვარ რეალურ საფუძველს არის მოკლებული. მეტიც, ექსპერტები იმაშიც გვარწმუნებენ, რომ ფრინველის ხორცის საკვებად მოხმარება შეგვიძლია მშვიდად განვაგრძოთ.*
*ამ და სხვა საკითხებზე უფრო დეტალურად დღეს ჩვენ გვესაუბრება ლალი ვაშაკიძე - თბილისის ვეტერინარული ინსპექციის უფროსის მოადგილე.*

**ფრინველის გრიპის ირგვლივ ატეხილი ხმაური ბოლო კვირების განმავლობაში არ ცხრება. რას აკეთებს თქვენი სამსახური იმისათვის, რომ მოსახლეობამ თავი მშვიდად იგრძნოს?**

ფრინველის ხორცს, იქნება ეს ადგილობრივი თუ იმპორტირებული პროდუქტი რეალიზაციამდე გარკვეული შემოწმება ჩვენი სამსახურის მხრიდანაც უტარდება. მით უმეტეს, იმპორტის შემთხვევაში - პირველი ვეტერინარიის დეპარტამენტი ერთვება, ანუ ამ სამსახურის სპეციალური ნებართვის გარეშე არ უნდა ხდებოდეს და არც ხდება ფრინველის ხორცის რეალიზაცია თბილისში და მის ფარგლებს გარეთ.

ნებართვას კი ჩვენი სამსახური მხოლოდ განსაკუთრებული და შესაბამისი შემოწმებების შემდეგ გასცემს. პირველ რიგში ჩვენ ვამოწმებთ წარმოებული პროდუქციის შესაბამისობის სერთიფიკატს, ვამოწმებთ დოკუმენტებს თუ რამდენად სანდო და კეთილსაიმედო ქვეყნიდან არის იმპორტირებული კონკრეტული პროდუქცია. ყოველივე ამის შემოწმება-შესწავლა გულდასმით და მაღალკვალიფიციური კადრების მიერ ხდება.

მხოლოდ ამ პროცედურების შემდეგ ვაძლევთ იმპორტიორს (ამ შემთხვევაში ფრინველის ხორცის) პროდუქტის, შემოტანას და შესაბამისად რეალიზაციის უფლებას.

**არსებობს თუ არა ჩამონათვალი იმ ქვეყნებისა, სადაც წარმოებული ფრინველის ხორცის მირთმევა მშვიდად შეგვიძლია?**

მსოფლიო ჯანდაცვისა და სხვადასხვა კომპეტენტური საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ამ კუთხით ხდება ინტენსიური შესწავლა ყველა რეგიონის. რითიც ირკვევა თუ რამდენად საშიშია და რა რისკის ქვეშ იმყოფება ესა თუ ის ქვეყანა ფრინველის გრიპის გავრცელების თვალსაზრისით. შედგენილია სპეციალური რუკაც, რომელიც მე ახლა ხელთ მიჭირავს. საერთაშორისო კომპეტენტური ორგანიზაციები მიუთითებენ, რომ დღეს ერთ-ერთი ქვეყანა, რომელიც ვირუსის გავრცელების ყველაზე დაბალი რისკის ქვეშ არსებობს ბრაზილიაა. დღემდე ამ სახელმწიფოში ვირუსის არც ერთი შემთხვევა არ არის დაფიქსირებული.

საერთაშორისო ეპიზოოტიური ბიურო, რომლის შტაბბინა საფრანგეთის დედაქალაქში, პარიზში მდებარეობს, ადგენს, რომელი ქვეყანა არის საკვები პროდუქტების, მათ შორის ფრინველი ხორცის მოხმარების თვალასაზრისით კეთილსაიმედო. ამ სახელმწიფოების ნუსახაში ფრინველის ხორცის, როგორც საკვებ პროდუქტად მიღების თვალსაზრისით, ბრაზილია ერთ-ერთ პირველ ადგილზე იმყოფება.

საერთაშორისო ეპიზოოტიური ბიურო მსოფლიოში ავტორიტეტული სამსახურია და თუკი ეს ბიურო გამოაცხადებს, რომ ესა თუ ის ქვეყანა რაიმე კონკრეტული საკვები პროდუქტის მოხმარების თვალსაზრისით არ არის კეთილსაიმედო, მაშინ მსოფლიოს ყველა ქვეყანა კრძალავს ამ სახელმწიფოდან იმ კონკრეტული პროდუქტის იმპორტს.

ეს კი იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ ჩვენს ქვეყანაში ბრაზილიიდან იმპორტირებული ფრინველის ხორცი სრულიად ჯანმრთელი პროდუქტია და მისი საკვებად მოხმარება არანაირ საშიშროებას არ წარმოადგენს.

სხვათა შორის ბრაზილია ფრინველის ხორცის ერთ-ერთი ყველაზე დიდი იმპორტიორია მთელ მსოფლიოში, მით უმეტეს, საქართველოში. ჩვენს ქვეყანაში ბრაზილია ნომერ პირველი იმპორტიორია და ეს შემთხვევითი ფაქტი არ არის.

**ასე რომ, ფრინველის ხორცი, მით უმეტეს, იმპორტირებული შეგვიძლია თამამად მივირთვათ...**

დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, რომ ამ ეტაპზე როგორც საქართველოში წარმოებული, ასევე იმპორტირებული ფრინველის ხორცი ჯანმრთელია და ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, საკვებად ვარგისი. ანუ მათი მოხმარება არანაირ საშიშროებას არ წარმოადგენს და ქვეყანაში შექმნილი პანიკა ყოველგვარ საფუძველს არის მოკლებული. თუ ფრინველი არის დაავადებული გრიპის ვირუსით მას ნებისმიერ შემთხვევაში ეტყობა ხორცზე. დაავადებულ ფრინველის ხორცს აღენიშნება სილურჯე, განსაკუთრებით შესამჩნევია ფრინველის შეშუპებული და გალურჯებული კიდურები.

დაავადებულიც რომ იყოს ფრინველი, მისი საკვებად მომზადების შემთხვევაში (70 C-ზე მაღალ ტემპერატურაზე), გრიპის ვირუსი იღუპება. საშიში ფრინველთან კონტაქტია, თორემ უკვე სარეალიზაციოდ გამზადებული, დაბეჭდილი და შემოწმებული ქათამი საკვებად საიმედოა.

*ესაუბრა მარიამ ჯაჭვაძე*

P.S. 27 იანვრის ნომერში შემოგთავაზებთ საუბარს თბილისის სანიტარული ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მოადგილე ლევან ედილაშვილთან.

პრეზენტაცია

# წიგნი, რომელიც სახლში დარჩება

## წიგნის თაროებს "სპორტის ენციკლოპედია" შეემატა

გიგა გურასაშვილი




*ორი სიტყვით რომ ვთქვათ, ესაა მატიანე მსოფლიო სპორტზე, მაგრამ, ის გაცილებით მეტ ინფორმაციას იტევს: 2500-მდე სტატიას, 4000-მდე ფოტოს, 500-ზე მეტ ნახაზს, ცხრილსა თუ ნახატს, სპორტის ზაფხულისა და ზამთრის ყველა ოლიმპიურ სახეობას, გაჯერებულს ისტორიით, წესებით, შეჯიბრებებით, ფედერაციებითა თუ სტატისტიკით; მსოფლიოს ხალხთა 150-ზე მეტი ტრადიციული სახეობით, სპორტის ტექნიკური თუ ექსტრემალური სახეობებით, 50-მდე ქართული ეროვნული თამაშობებით...*
*1000-მდე ქართველი და უცხოელი სპორტსმენის დოსიე და ფოტო, ზაფხულის ყველა ოლიმპიური თამაშების ჩემპიონთა სრული სია, რეკორდები, სპორტულ ტერმინთა განმარტებები, ინფორმაციები უმთავრეს რეგიონულ და კომპლექსურ საერთაშორისო შეჯიბრებებზე, 100-მდე საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციაზე, ფეხბურთის, კალათბურთის, რაგბის, ჰოკეის უძლიერეს კლუბებზე, ევროპის ქვეყნებზე, სპორტულ ბაზებზე... ერთი სიტყვით, "სპორტის ენციკლოპედია" და პასუხი ყველა კითხვაზე.*

ეს მხოლოდ ნაწილია იმ რვაწლიანი შრომისა, რასაც სპორტის მოყვარული "სპორტის ენციკლოპედიაში" იხილავს, რომლის პრეზენტაციაც გუშინ შედგა სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში".

"რვა წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ამ წიგნისთვის პირველი სტრიქონები დაიწერა. ჩვენი კოლეგისა და უფროსი მეგობრის ნოდარ გუგუშვილის მიერ შედგენილი ოლიმპიური ენციკლოპედიის გამოცემით შეგულიანებულები შევეჭიდეთ ამ რთულ და საპასუხისმგებლო საქმეს. თავიდან ცოტანი ვიყავით, ერთი სამუშაო ოთახისა და ორი საწერი მაგიდის ამარა. მერე და მერე ავტორები მოგვიმრავლდნენ და ისეთი ადამიანებიც გამოჩნდნენ, რომლებმაც ჩვენი ჩანაფიქრი მოიწონეს და მხარი დაგვიჭირეს. მათი უანგარო დახმარება რომ არა, ამ წიგნის გამოცემა შეუძლებელი იქნებოდა, მაგრამ საქმე ამით არ მთავრდება. ჩვენ დიდი გზის მხოლოდ ერთი მონაკვეთი გავიარეთ. ჩვენ დავიწყეთ!" - წერს წიგნის პროექტის ავტორი და მთავარი რედაქტორი ელგუჯა ბერიშვილი წინასიტყვაობაში.

"სპორტის ენციკლოპედიისთვის" რომ უზარმაზარი შრომაა გაწეული, წიგნის პირველივე გვერდებიდან ჩანს. როგორც პოეტმა ტარიელ ჭანტურიამ თქვა, ეს ის წიგნია, რომელიც სახლში დარჩება და ბევრი ჩამოწერილი წიგნის მსგავსად, მაკულატურის გზას არ გაუდგება.

"სპორტის ენციკლოპედია" უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზეა დასტამბული. არც ფორმითა და შინაარსით ჩამოუვარდება მსგავს უცხოურ გამოცემებს. თუ სუბიექტურობას არ დამწამებთ, ელგუჯა ბერიშვილის შვილობილი "სპორტის ენციკლოპედია" ბევრ უცხოურ გამოცემას სჯაბნის კიდეც.

რა თქმა უნდა, წიგნის გამოცემას სირთულეებიც ახლდა. მაგალითად, იმის გასარკვევად, მსოფლიოსა და ევროპის რამდენი ჩემპიონი და პრიზიორი გვყავს, ვინ სად და როდის მოიპოვა ტიტულები... სპორტსმენთა თუ მწვრთნელთა სრული ბიოგრაფიული მონაცემების მოსაძიებლად თუ დასაზუსტებლად ავტორებს ხშირად ოჯახებში სიარული უწევდათ. თუმცა, ადგილზე გადამოწმებული ინფორმაციაც არ იყო ყოველთვის ზუსტი. თუ ერთნი უნებურად თუ დაბნეულობით იმატებდნენ ტიტულებს, მეორენი იკლებდნენ. ასეთ დროს ავტორები გამოსავალს ხედავდნენ პერიოდულ პრესაში თავის დროზე გამოქვეყნებულ ცნობებსა და სხვადასხვა არქივებში შემონახულ მასალებში.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ზოგიერთი ეროვნული ფედერაცია თავისი პროფილის სპორტსმენებზე სრულყოფილ ინფორმაციას არ ფლობს – ვინ, სად, როდის, რა წარმატებას მიაღწია.

ერთი სიტყვით, წიგნი მაქსიმალურადაა დაცული უნებლიე შეცდომებისგან.

"სპორტის ენციკლოპედია" გამოიცა საქართველოს ოლიმპიური ფონდისა და სპორტის დეპარტამენტის ხელშეწყობით.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ემზარ ზენაიშვილმა პრეზენტაციაზე თქვა: "სპორტის ენციკლოპედია" გადაეცემა ყველა ოლიმპიურ ჩემპიონსა თუ პრიზიორსო. გარდა ამისა, კარს მომდგარი ტორინოს ოლიმპიური თამაშების ქართველ ოლიმპიელებს - ელენე გედევანიშვილს, ვახტანგ მურვანიძეს (ფიგურული სრიალი) და იასონ აბრამიშვილს (სამთო თხილამურები). და კიდევ იმათ, ვინც 2008 წლის პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე ასპარეზობის უფლებას მოიპოვებსო.

ჩოგბურთი

# დევენპორტი დაითხოვეს





*მარია შარაპოვა ჟიუსტინ ენინ-არდენის წინააღმდეგ.*

დავიდ ნალბანდიანმა ბდღვირი ადინა ფაბრის სანტოროს, რომელიც მეოთხედფინალამდე ქედმაღლურად მივიდა და ნახევარფინალში გასვლის სერიოზული ამბიციაც ამოძრავებდა. კაცმა რომ თქვას, სანტორომ იბრძოლა, მაგრამ მხოლოდ პირველი სეტი და ისიც ბოლოს გატყდა. ნალბანდიანი მის ძალებს აშკარად აღემატებოდა.

ამ ორ ჩოგბურთელს შორის ის განსხვავებაა, რომ ნალბანდიანი მატჩიდან მატჩამდე საუკეთესო ფორმაში შედის და თამაშის ხარისხს აუმჯობესებს, ხოლო სანტორო მძიმე ბრძოლებისგან მეტისმეტად გადაიღალა და მომდევნო ორ სეტში ვერაფერი მოუხერხა სომხური წარმოშობის არგენტინელს - 6:0, 6:0 და ნალბანდიანი ნახევარფინალში შეხვდება კვიპროსელ მარკოს ბაგდატისს, რომელიც შესანიშნავ ფორმაშია და სენსაციას სენსაციაზე ახდენს.

ბაგდატისმა მერვედფინალში ბრძოლას ტურნირის მეორე ჩოგანი ამერიკელი ენდი როდიკი გამოთიშა. მაშინ კვიპროსელმა ამ საქმეს ოთხი სეტი მოანდომა, მაგრამ მაინც საკმაოდ იოლი გამარჯვება გამოუვიდა. ისეთი, რომ კაცს ენა არ მოუბრუნდებოდა ეთქვა - შემთხვევით მოიგოო. კვიპროსელმა თავისი შესაძლებლობები მომდევნო მატჩშიც წარმოადგინა, სადაც ტურნირის მე-7 ნომერ ხორვატ ივან ლიუბიჩიჩს გადაუღობა გზა. 5-სეტიანი დაძაბული ბრძოლა ბაგდატისის გამარჯვებით დასრულდა.

| | |
|---|---|
| **ვაჟები:** | |
| დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა, 4) - ფაბრის სანტორო (არგენტინა) | 7:5, 6:0, 6:0 |
| მარკოს ბაგდატისი (კვიპროსი) - ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია, 7) | 6:4, 6:2, 4:6, 3:6, 6:3 |
| **ქალები:** | |
| ჟიუსტინ ენინ-არდენი (ბელგია, 8) - ლინდსი დევენპორტი (აშშ, 1) | 2:6, 6:2, 6:3 |
| მარია შარაპოვა (რუსეთი, 4) - ნადეჟდა პეტროვა (რუსეთი, 6) | 7:6, 6:4 |

მან მეტოქეს პირველ სეტებში უშეღავათო ბრძოლა შეაგება, გაიმარჯვა და მომდევნო ორ სეტში, შეიძლება ითქვას, ტაიმ-აუტი აიღო. ბაგდატისმა ეს ორი სეტი წააგო, მაგრამ მეტოქეს ტაქტიკური ბრძოლა მოუგო და გადამწყვეტი სეტისთვის ფსიქოლოგიური თვალსაზრისით უფრო მომზადებული აღმოჩნდა.

ქალთა ნაწილშიც საინტერესო მეოთხედფინალები გაიმართა. ბელგიელმა ჟიუსტინ ენინ-არდენმა ტურნირის პირველი ჩოგანი ლინდსი დევენპორტი გამოთიშა ასპარეზობას. მატჩი უაღრესად დაძაბული გამოდგა. საკმარისია ითქვას, რომ ენინმა 11 ორმაგი შეცდომა დაუშვა დევენპორტის 7 შეცდომის სანაცვლოდ, მაგრამ, ამასთან, ბელგიელის მოწოდებები უფრო შთამბეჭდავად გამოიყურებოდა. მან ხუთი ეისი მიითვალა, დევენპორტმა კი - მხოლოდ ერთი. თანაც, ამერიკელმა უამრავი უნებლიე შეცდომა დაუშვა და საბოლოოდ კარგად დაწყებული საქმე ცუდად დაამთავრა.

პირველი სეტის მოგების შემდეგ ამერიკელი გატყდა და მომდევნო სეტებში ენინს წინააღმდეგობა ვერ გაუწია.

დიდი ბრძოლის უნარი კიდევ ერთხელ გამოამჟღავნა მარია შარაპოვამ, რომელმაც თანამემამულე ნადეჟდა პეტროვას დააყრევინა ფარ-ხმალი. მიმომხილველთა თქმით, შარაპოვას თავისი საუკეთესო თამაში ნამდვილად არ წარმოუდგენია, მაგრამ, მისთვის საბედნიეროდ, პეტროვამ კიდევ უფრო უარესად ითამაშა, რაზეც მის მიერ დაშვებული უამრავი შეცდომა მეტყველებს. პირველი სამ-სამი გეიმი თავიანთ მოწოდებებზე ჩოგბურთელებმა აიღეს. პეტროვას სეტბოლები ჰქონდა, მაგრამ შარაპოვა მუდმივად ასწორებდა მდგომარეობას და საბოლოოდ საქმე ტაი-ბრეიკამდე მივიდა, სადაც შარაპოვა უფრო ძლიერი გამოდგა და - 8:6 გაიმარჯვა.

მეორე სეტში უიმბლდონის ჩემპიონმა მეტოქეზე ერთი გეიმით მეტი აიღო, რამაც განაპირობა კიდეც მატჩის საბოლოო შედეგი - 6:4 შარაპოვას სასარგებლოდ და ავსტრალიის ღია ჩემპიონატის ნახევარფინალში შარაპოვა ჟიუსტინ ენინ-არდენს შეეჯიბრება.

"დღეს მე ვერ შევძელი ჩემი საუკეთესო თამაში მეჩვენებინა. ხვალ, ნახევარფინალის წინ, შევეცდები როგორც საჭიროა ისე დავისვენო, - მატჩის შემდეგ განაცხადა მარია შარაპოვამ.

სათხილამურო სპორტი

# ავსტრია-შვეიცარიის სათასო კოალიცია დასრულდა

*გასულ უქმეებზე ავსტრიასა და შვეიცარიაში მსოფლიო თასის ხუთი ეტაპი გათამაშდა. სლალომში გაიმარჯვა ფრანგმა ჟან-პიერ ვიდალმა. სოლტ ლეიკ სიტის ოლიმპიური თამაშების შემდეგ სლალომში ვიდალს პირველობა არ ღირსებია, ხოლო მისი წყალობით საფრანგეთის წარმომადგენელმა მსოფლიო თასზე წლეულს პირველად შეძლო წარმატება.*



*ვიდალმა სოლტ ლეიკ სიტი გაიხსენა.*

ჟან-პიერ ვიდალმა კიცბიუელში სლალომისტთა ტრასა მსოფლიო თასის მეექვსე ეტაპის ფარგლებში საუკეთესო დროში დაფარა და 2001 წლის დეკემბერში კრაინსკა გორაში (სლოვენია) ერთადერთხელ მოგებულ სათასო ეტაპს კიდევ ერთი ასეთი წარმატება შემატა.

ვიდალის თანამემამულეთაგან სამეულში სხვა არავინ მოხვედრილა, რაც სულაც არ არის გასაკვირი. უჩვეულო ის იქნებოდა, რომ ავსტრიელებს შინაურ კედლებში წარმატება არ მოეპოვებინათ. მით უფრო კიცბიუელში, რომელიც მათთვის ალბათ ყველაზე სასურველი ასპარეზია. ერთი სიტყვით, ყველაზე მეტი მედალი მათ დარჩათ.

ბენიამინ რაიხმა, რომელიც მსოფლიო თასის გათამაშების აბსოლუტურ ჩათვლას სათავეში უდგას, სლალომში მესამე შედეგით დაასრულა ჭიშკრებს შორის სრიალი. ამავე ჩათვლაში უპირატესობის შესანარჩუნებლად რაიხმა გუშინვე გათამაშებულ დაშვების კომბინაციის (შედგება დაშვება+სლალომი) მესამე ეტაპზე გაიმარჯვა.

ავსტრიელთა უპირატესობა სამშობლოში უფრო თვალსაჩინო რომ გახდეს, ამისთვის იტალიელი ჯორჯო როკას მაგალითიც გამოდგება. საქმე ისაა, რომ იტალიელს, რომელმაც სლალომში სეზონის პირველი ხუთი ეტაპი ზედიზედ მოიგო, კიცბიუელში პირველივე ცდაზე დაუცდა ფეხი – ჭიშკარი გამოტოვა. მართალია, უკან დაბრუნდა და ტრასა დაასრულა, მაგრამ საუკეთესო 30 სპორტსმენს მიღმა დარჩა.

სენტ მორიცში ქალები გამოდიოდნენ. სუპერკომბინაციის პირველ ეტაპზე (დაშვება+სლალომი) გაიმარჯვა ხორვატმა იანიცა კოსტელიჩმა.

სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი, რომელიც მსოფლიო თასის აბსოლუტურ ჩათვლაში 1158 ქულით პირველ საფეხურზეა, ამავე ჩათვლაში პირველობისთვის მოცილე შვედ მეტოქე ანია პერსონთან საწყის დისციპლინაში (დაშვებაში) დამარცხდა, თუმცა, დაკარგული წამები სლალომში ამოქაჩა და საგრძნობი უპირატესობა მაინც შეინარჩუნა. პერსონის მეორე დისციპლინაში (სლალომში) დაშვებული შეცდომა რომ არა, შესაძლოა, სუპერკომბინაციაში გამარჯვება მას დარჩენოდა (სუპერკომბინაცია შვედმა მეორე შედეგით დაასრულა). აბსოლუტურ ჩათვლაში სკანდინაველი 801 ქულით მესამე საფეხურზეა, მეორე ადგილზე კი (944 ქულით) შაბათს დაშვების მომგები ავსტრიელი მიხაელა დორფმაისტერია.

**კიცბიუელი, ავსტრია
დაშვება**

| | |
|---|---|
| **ვაჟები:** | |
| მიხაელ ვალშოფერი | 1:46.75 |
| მარკო ბუეჩელი | 1:46.80 |
| დარონ რალვზი | 1:47.08 |

**სენტ მორიცი, შვეიცარია
დაშვება**

| | |
|---|---|
| **ქალები:** | |
| მიხაელა დორფმაისტერი | 1:43.76 |
| რენატ გიოჩლი | 1:43.83 |
| იანიცა კოსტელიჩი | 1:43.95 |

**კიცბიუელი, ავსტრია
სლალომი**

| | |
|---|---|
| **ვაჟები:** | |
| ჟან-პიერ ვიდალი | 1:38.88 |
| რეინფრედ ჰერბსტი | 1:39.24 |
| ბენიამინ რაიხი | 1:39.38 |

**დაშვების კომბინაცია**

| | |
|---|---|
| **ვაჟები:** | |
| ბენიამინ რაიხი | 3:27.38 |
| ბოდე მილერი | 3:28.08 |
| აქსელ ლუნდ სვინდალი | 3:30.92 |

**სუპერკომბინაცია**

| | |
|---|---|
| **ქალები:** | |
| იანიცა კოსტელიჩი | 2:15.74 |
| ანია პერსონი | 2:16.19 |
| ლინდსეი კილდოუ | 2:17.48 |

# საჩოგბურთო კალენდარი შეიძლება შეიცვალოს

მამუკა ხოშტარია

საჩოგბურთო სამყარო ცვლილებების მოლოდინშია. გადაღლილობის გამო გახშირებულმა ტრავმებმა ITF-ს (ინტერნაციონალური ჩოგბურთის ფედერაცია) ბოსები თითქმის თერთმეტთვიანი სეზონის შეკვეცაზე დააფიქრა. ინტერნეტის საშუალებით მიმდინარეობდა გამოკითხვა, თუ როგორ უნდა შეემსუბუქებინათ ჩოგბურთელებისთვის სეზონი. განიხილებოდა რამდენიმე ვარიანტი. პირველი, მომავალი წლიდან ავსტრალიის ღია ჩემპიონატის თებერვალში გადატანაა, რაც იმ რამდენიმე პატარა ტურნირის გადატანასაც გამოიწვევს, რომლებსაც ჩოგბურთელები ავსტრალიისთვის მოსამზადებლად იყენებენ. ამ ტურნირთაგან პირველი 31 დეკემბერს იწყება. მეორე ვარიანტი მთელი წლის განმავლობაში გასამართი ტურნირების რაოდენობის შეკვეცა ან აშშ-ს ღია ჩემპიონატის შემდეგ (რომელიც აგვისტოში იმართება) დაგეგმილი ტურნირების შემცირებაა. გამოკითხულთა უმრავლესობამ იმ ვარიანტს დაუჭირა მხარი, რომლის მიხედვითაც პირველ ოცეულში შემავალ ჩოგბურთელებს მხოლოდ დიდი სლემის, მასტერსისა და ATP-ს პირველი რანგის (ანუ, სულ მცირე, 600 000 აშშ დოლარის საპრიზო ფონდის მქონე) ტურნირებზე ექნებათ თამაშის უფლება. ამ სისტემის მიხედვით თავის გამოჩენის უფრო დიდი შანსი უჩნდებათ იმ ჩოგბურთელებს, რომლებიც პირველ ოცეულში არ შედიან, ხოლო საუკეთესოები, უნდათ თუ არა, უფრო მეტს დაისვენებენ. სპორტის არც ერთ სათამაშო სახეობაში არ არის ისეთი გრძელი სეზონი, როგორიც ჩოგბურთშია და მოსალოდნელი ცვლილებები ალბათ მხოლოდ სანახაობრივი მხარის ამაღლებას შეუწყობს ხელს.




# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო აცხადებს ტენდერს უნიფორმის შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.**

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში, რომლის რეკვიზიტებია: ეროვნული ბანკი, სახაზინო კოდი; 302003000 ანგარიშსწორების ანგარიში N200122900მიუთითოთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სატენდერო მოსაკრებელი და წარმოადგინოთ თანხის დამადასტურებელი ქვითარი შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გ. გულუას ქ. N8 ოთახი 401, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.
2. მისაწოდებელი საქონლის რაოდენობა.
**- ლოტი I - საწვიმარი ლაბადა - 1800 ცალი.**
**- ლოტი II - პულოვერი (ყელიანი) - 4000 ცალი.**
**- ლოტი III - ნაქსოვი ქუდი - 4000 ცალი.**
**- ლოტი IV - ზამთრის საცვალი - 1000 ცალი**
**- ლოტი V - ქამარი შარვლის - 2500 ცალი.**
**- ლოტი VI - ქამარი წელის - 2500 ცალი.**
**- ლოტი VII - ფოსტლი (საყაზარმე) - 2000 წყვილი.**
**- ლოტი VIII - ფოსტლი (აბანოსათვის) - 2000 წყვილი.**
**- ლოტი IX -- ხელთათმანი - 1000 წყვილი.**
**- ლოტი X - ზურგჩანთა კომუფლირებული - 2100 ცალი.**
**- ლოტი XI - განტვირთვის ჯილეტი - 4000 წყვილი.**
**- ლოტი XII - მათარა ჩიხოლით - 4000 ცალი.**
**- ლოტი XIII -- კარდალა - 4000 ცალი.**
3. მიწოდების ადგილი - ქ. თბილისი, ქიზიყის N5.
4. მიწოდების სასურველი ვადები: ეტაპობრივად შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად ხელშეკრულების გაფორმებიდან ოთხი თვის განმავლობაში
5. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) 20 თებერვლის 10.00 საათიდან 11.00 საათამდე, მისამართზე: ქ. თბილისი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, გ. გულუას ქ. N8.
6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:
ა) ცნობა საჯარო რეესტრიდან, რომ მის ქონებაზე არ არის ყადაღა დადებული;
ბ) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.
6. წარმოდგენილ უნდა იქნეს სუბკონტრაქტორის (არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემებიც.
7. პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამებიან სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.
8. დაფინანსების წყარო -- სახელმწიფო ბიუჯეტი
9. ტენდერის შედეგად შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.
10. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ალექსი თაბუაშვილი, ტელ. 75-47-74, 899-23-46-95

**სატენდერო კომისია**

1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

# გაძარცვული რობაქიძე თუ უბრალოდ ინტრიგა?!

## არსებობდა თუ არა "კაცი აღმოსავლეთიდან"

*2002 წელს გამომცემლობა "დიოგენემ" მაია მირიანაშვილის მიერ ნათარგმნი ყურბან საიდის "ალი და ნინო" გამოსცა. ამ წიგნის შესახებ ყველამ ერთბაშად გაიგო, უმრავლესობამ კიდეც წაიკითხა, თუმცა იყვნენ ისეთებიც, ვისაც ორიგინალში, გერმანულ ენაზე თუ ვერა, ინგლისურად მაინც ჰქონდა თვალი შევლებული, ამ თითქმის უცნობი ავტორის მიერ შეთხზულ დასავლურ-აღმოსავლურ კულტურათა პაექრობისთვის. მიუხედავად ამისა, ფართო საზოგადოება, ბუნებრივია, რომ ქართულ ვერსიას, როგორც იტყვიან ხოლმე, მართლაც დიდი წყურვილით დაეწაფა. მაშინ ამბობდნენ, რომ ეს იყო წიგნი, რომელიც ყველას უნდა წაეკითხა. კრიტიკა უფრო რადიკალურიც იყო: "ეს არის წიგნი, რომელიც ყველა ქართველმა უნდა წაიკითხოს". ზუსტად არ ვიცი რამდენმა წაიკითხა, მაგრამ ყველამ რომ გაიგო ალისა და ნინოს არსებობის შესახებ, თუნდაც ერთი ავტორის წარმოსახვაში, მაინც საქმეა.*

სოფო კილასონია

გუშინ, "ლიტერატურულ კაფეში" მორიგი სამშაბათობა გაიმართა. მორიგი წიგნის პრეზენტაცია, თუმცა ამ წიგნმა სხვა მრავალისგან განსხვავებით, აშკარად დიდი ინტერესი დაიმსახურა. ამის მიზეზი კი მრავალგვარია. მარტო სათაური რად ღირს?! "გრიგოლ რობაქიძე, ყურბან საიდი, ლიტერატურული ძარცვა." ასე "იკითხება" გამომცემლობა "მერიდიანის" ახალი ხილის, ლიტერატურული დეტექტივის პირველი გვერდი. ლიტერატურული კვლევის ავტორი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრის დოცენტი თამარ ინჯია გახლავთ.

როგორც გუშინ საღამოს აღნიშნეს, მეცნიერი ქალბატონი, რომელიც რობაქიძისა და გამსახურდიას ენისა და სტილის მკვლევარია, ყურბან საიდის პოპულარული რომანის გადაკითხვისთანავე წააწყდა იმას, რასაც უბრალოდ პლაგიატი ჰქვია. ამის შემდეგ კი დაიწყო წერა წიგნისა, რომელშიც ანალოგები, პარალელები დაწვრილებითა და გულმოდგინებით ამოატივტივა და თავებად დაყო: ქართველთა ლხინი და სიმღერა რობაქიძის "გველის პერანგში" და ყურბან საიდის "ალი და ნინოში", ქაშუეთის აღწერა ერთთან და მეორესთან, და კიდევ ძალიან მრავალი. პარალელებია გმირების სახელებსა და ხასიათებში. ანალოგიური შინაარსისაა მითები და ლეგენდები... ამას გარდა, კიდევ მრავალი რამ აღინიშნა. ყველამ ერთი კითხვა დასვა: შეიძლება თუ არა, ორი ავტორი ასე ერთნაირად აზროვნებდეს და ასეთ მსგავს მხატვრულ ხერხებს მიმართავდეს? ამ კითხვაზე პასუხი წიგნის ავტორმა ყველას დაასწრო და აღნიშნა, რომ – არა! და შეთანხმდნენ, რომ რობაქიძე გაძარცვულია.

მიუხედავად იმისა, რომ ინტერესმოკლებული ნამდვილად არ იქნებოდა თამარ ინჯიას მოსაზრებები "გველის პერანგისა" და "ალი და ნინოს" მსგავსებაზე, როგორც ენობრივი სტრუქტურის, თავისებურების, ისე კონკრეტული ანალოგების შესახებ, მთავარი ადგილი დისკუსიაში ყურბან საიდის ვინაობამ გამოიწვია. არავისთვისაა უცხო, რომ მისი ბიოგრაფია კითხვის ნიშნებს მოკლებული ნამდვილად არ არის. ყურბან საიდი ფსევდონიმია ეცად ბეისა, რომელიც ასევე მოგონილი სახელი და გვარი გახლავთ ლევ ნასიმბაუმისა, ბაქოელი ებრაელისა, რომელმაც ნაცისტების გადამკიდე ლამის მთელი ევროპა მოიარა და 1905 წელს დაბადებული, საბოლოოდ, იტალიაში 1942 წელს გარდაიცვალა. მას შემდეგ, რაც მისი გერმანულ ენაზე დაწერილი "ალი და ნინო" პირველად გამოიცა, დაიწყო დავა მისი ავტორის შესახებ და მიუხედავად მეტ-ნაკლებად წარმატებული გამოძიებებისა, დღემდე ინტერესით უყურებენ ამ საკითხს ლიტერატორები. არც არის ეს გასაკვირი... მრავალი წლის განმავლობაში, ვინ აღარ იჩემებდა ამ რომანის ავტორობას?! თუნდაც ის ავსტრიელი ბარონესა, ელფრიედ ერენფელსი, რომელთანაც ყურბან საიდს, სავარაუდოდ, სასიყვარულო ამბები აკავშირებდა. მიუხედავად ასეთი ისტორიებისა და ინტრიგებისა, მწერალმა როზ რეიზიმ 1999 წელს თითქოს და ყველაფერს ნათელი მოჰფინა და ყურბან საიდის, ეცად ბეისა და ლევ ნასიმბაუმის იგივეობა სტატიის სახით დაასაბუთა. მსჯელობა და ეჭვები დასრულდა. 70-იანებში "ალი და ნინოს" პოპულარობამ მწვერვალს მიაღწია, თუმცა ბოლო ათწლეულის აღმოსავლეთ-დასავლეთის გართულებული ურთიერთობის ფონზე, ყურბან საიდის ბესტსელერმა თავი შეგვახსენა.




მიუხედავად იმისა, რომ თამარ ინჯიას კვლევა ყურბან საიდის ვინაობის დადგენას სულაც არ ლამობს, ლიტერატურულ კაფეში გამართულმა პრეზენტაციამ მაინც მიიყვანა თავმოყრილი საზოგადოება გარკვეულ დისკუსიამდე. ლევან ბრეგაძემ ყურბან საიდის არსებობა-არარსებობის საკითხი წამოჭრა და საერთოდაც ლეგენდად მიიჩნია ამ პიროვნების ბიოგრაფია. საბოლოოდ კი აღიარა თამამი აზრი იმის შესახებ, რომ ყურბან საიდი, შესაძლოა, თავად გახლავთ გრიგოლ რობაქიძე, რომელსაც უამრავი მიზეზი ექნებოდა იმისა, რომ "ალი და ნინოს" ავტორის ჭეშმარიტი ვინაობა შეენიღბა.

არც ჩვენს მკითხველს გაუკვირდება და არც "ლიტ-კაფეში" მისულ საზოგადოებას გაჰკვირვებია, რომ ლევან ბრეგაძის მოსაზრებებს საკმაოდ მძაფრად გამოხატული ოპოზიციური ფრაზები დაუპირისპირდებოდა. მაგალითისთვის, ის, რომ "ალი და ნინო" რობაქიძის ლიტერატურის დონემდე ვერ მივა, რობაქიძე კი თავის თავს არ "გაძარცვავდა". მიუხედავად ამისა, ნებისმიერ აზრს არსებობის უფლება აქვს და ამაზე ყველა შეთანხმდა.

ერთია, რამდენად ახლოსაა რეალობასთან ყველაფერი ზემოთქმული და გუშინ საღამოს ლიტერატურულ კაფეში ნათქვამი, მაგრამ სულ სხვაა და აშკარად ფაქტია, რომ "ალი და ნინოს" ამ დღეებში მეტი მკითხველი შეემატება. ინტრიგა, რომელიც თამარ ინჯიას სამეცნიერო კვლევამ გამოიწვია, ალბათ არაერთს აიძულებს "გველის პერანგსაც" გადახედოს. თუმცა, უკვე ამ წერილის წერისას, ყველაზე საინტერესოდ ჩვენ ის გვეჩვენება, მაინც ვინ იყო "კაცი აღმოსავლეთიდან" ანუ ყურბან საიდი, ანუ ეცად ბეი, ანდა ლევ ნასიმბაუმი.

# სს "სახალხო ბანკი"-ს საბალანსო უწყისი 2005 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ლარებში

| N | აქტივები | ლარი | უც. ვალუტა | სულ |
|---|---|---|---|---|
| 1 | ნაღდი ფული | 9,466,880 | 5,298,420 | 14,765,300 |
| 2 | ფულადი სახსრები საქართველოს ეროვნულ ბანკში | 2,314,370 | 60,231 | 2,374,601 |
| 3 | ფულადი სახსრები სხვა ბანკებში | 3,181,536 | 13,788,850 | 16,970,386 |
| 4 | ფასიანი ქაღალდები დილინგური ოპერაციებისათვის | 0 | 0 | 0 |
| 5 | საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები | 1,018,852 | 0 | 1,018,852 |
| 6.1 | მთლიანი სესხები | 24,028,429 | 4,822,622 | 28,851,051 |
| 6.2 | მინუს: სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი | (659,998) | (1,389,536) | (2,049,534) |
| 6 | წმინდა სესხები | 23,368,431 | 3,433,086 | 26,801,517 |
| 7 | დარიცხული მისაღები პროცენტები და დივიდენდები | 992,039 | 44,502 | 1,036,541 |
| 8 | დასაკუთრებული უძრავი და მოძრავი ქონება | 465,055 | X | 465,055 |
| 9 | ინვესტიციები საწესდებო კაპიტალში | 1,928,200 | 0 | 1,928,200 |
| 10 | ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები | 11,091,422 | X | 11,091,422 |
| 11 | სხვა აქტივები | 3,286,430 | 2,166,066 | 5,452,496 |
| 12 | **მთლიანი აქტივები** | 57,113,215 | 24,791,155 | 81,904,370 |
| | **ვალდებულებები** | | | |
| 13 | ბანკების დეპოზიტები | 638,164 | 2,691,136 | 3,329,300 |
| 14 | მიმდინარე დეპოზიტები (ანგარიშები) | 38,730,745 | 2,211,010 | 40,941,755 |
| 15 | მოთხოვნამდე დეპოზიტები | 38,135 | 179 | 38,314 |
| 16 | ვადიანი დეპოზიტები | 1,067,072 | 3,891,379 | 4,958,451 |
| 17 | საკუთარი სავალო ფასიანი ქაღალდები | | | 0 |
| 18 | ნასესხები სახსრები | 0 | 10,755,000 | 10,755,000 |
| 19 | დარიცხული გადასახდელი პროცენტები და დივიდენდები | 47,635 | 99,630 | 147,265 |
| 20 | სხვა ვალდებულებები | 2,854,433 | 4,942,512 | 7,796,945 |
| 21 | სუბორდინირებული ვალდებულებები | 0 | 0 | 0 |
| 22 | **მთლიანი ვალდებულებები** | 43,376,184 | 24,590,846 | 67,967,030 |
| | **სააქციო კაპიტალი** | | | |
| 23 | ჩვეულებრივი აქციები | 10,000,000 | X | 10,000,000 |
| 24 | პრივილეგირებული აქციები | 0 | X | 0 |
| 25 | მინუს: გამოსყიდული აქციები | 0 | X | 0 |
| 26 | საემისიო კაპიტალი | 0 | X | 0 |
| 27 | საერთო რეზერვები | 822,134 | X | 822,134 |
| 28 | გაუნაწილებელი მოგება | 3,115,206 | X | 3,115,206 |
| 29 | აქტივების გადაფასების რეზერვები | 0 | X | 0 |
| 30 | **სულ სააქციო კაპიტალი** | 13,937,340 | X | 13,937,340 |
| 31 | **მთლიანი ვალდებულებები და სააქციო კაპიტალი** | 57,313,524 | 24,590,846 | 81,904,370 |

# სს "სახალხო ბანკი"-ს მოგება-ზარალის უწყისი 2005 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ლარებში

| N | | ლარი | უცხ. ვალუტა | სულ |
|---|---|---|---|---|
| | **საპროცენტო შემოსავლები** | | | |
| 1 | საპროცენტო შემოსავლები ბანკებიდან "ნოსტრო" ანგარიშებისა და დეპოზიტების მიხედვით | 40,918 | 881 | 41,799 |
| 2 | საპროცენტო შემოსავლები სესხებიდან | 2,703,920 | 624,885 | 3,328,805 |
| 2.1 | ბანკთაშორისი სესხებიდან | 281,434 | 1,318 | 282,752 |
| 2.2 | ვაჭრობისა და მომსახურების სექტორზე გაცემული სესხებიდან | 58,407 | 102,024 | 160,431 |
| 2.3 | ენერგეტიკის სექტორზე გაცემული სესხებიდან | 15,537 | | 15,537 |
| 2.4 | სოფლის მეურნეობისა და მეტყევეობის სექტორზე გაცემული სესხებიდან | 387 | 8,320 | 8,707 |
| 2.5 | მშენებლობის სექტორზე გაცემული სესხებიდან | 13,115 | | 13,115 |
| 2.6 | სამთომომპოვებელ და გადამამუშავებელ სექტორზე გაცემული სესხებიდან | | | 0 |
| 2.7 | ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორზე გაცემული სესხებიდან | | | 0 |
| 2.8 | ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხებიდან | 1,096,118 | 460,311 | 1,556,429 |
| 2.9 | დანარჩენ სექტორზე გაცემული სესხებიდან | 1,238,922 | 52,912 | 1,291,834 |
| 3 | საპროცენტო და დისკონტური შემოსავლები ფასიანი ქაღალდებიდან | 164,128 | 0 | 164,128 |
| 4 | სხვა საპროცენტო შემოსავლები | 15,478 | 2,228 | 17,706 |
| 5 | **მთლიანი საპროცენტო შემოსავალი** | 2,924,444 | 627,994 | 3,552,438 |
| | **საპროცენტო ხარჯები** | | | |
| 6 | მოთხოვნამდე დეპოზიტებზე გადახდილი პროცენტები | 0 | 95 | 95 |
| 7 | ვადიან დეპოზიტებზე გადახდილი პროცენტები | 58,723 | 204,402 | 263,125 |
| 8 | ბანკების დეპოზიტებზე გადახდილი პროცენტები | 15,602 | 3,683 | 19,285 |
| 9 | საკუთარ სავალო ფასიან ქაღალდებზე გადახდილი პროცენტები | 0 | 0 | 0 |
| 10 | ნასესხებ სახსრებზე გადახდილი პროცენტები | 0 | 78,309 | 78,309 |
| 11 | სხვა საპროცენტო ხარჯები | 15,213 | 0 | 15,213 |
| 12 | **მთლიანი საპროცენტო ხარჯები** | 89,538 | 286,489 | 376,027 |
| 13 | **წმინდა საპროცენტო შემოსავალი** | 2,834,906 | 341,505 | 3,176,411 |
| | | | | |
| | **არასაპროცენტო შემოსავლები** | | | |
| 14 | წმინდა საკომისიო და სხვა შემოსავლები მომსახურების მიხედვით | 13,806,243 | 1,618,002 | 15,424,245 |
| 14.1 | საკომისიო და სხვა შემოსავლები გაწეული მომსახურების მიხედვით | 14,350,937 | 2,054,215 | 16,405,152 |
| 14.2 | საკომისიო და სხვა ხარჯები მიღებული მომსახურების მიხედვით | 544,694 | 436,213 | 980,907 |
| 15 | მიღებული დივიდენდები | 14,445 | 0 | 14,445 |
| 16 | მოგება (ზარალი) დილინგური ფასიანი ქაღალდებიდან | 0 | 0 | 0 |
| 17 | მოგება (ზარალი) საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებიდან | 0 | 0 | 0 |
| 18 | მოგება (ზარალი) ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებიდან | 444,073 | | 444,073 |
| 19 | მოგება (ზარალი) სავალუტო სახსრების გადაფასებიდან | (230,081) | | (230,081) |
| 20 | მოგება (ზარალი) ქონების გაყიდვიდან | (2,089,861) | 0 | (2,089,861) |
| 21 | სხვა საბანკო ოპერციებიდან მიღებული არასაპროცენტო შემოსავლები | 121,410 | 425 | 121,835 |
| 22 | სხვა არასაპროცენტო შემოსავლები | 138,057 | 9,661 | 147,718 |
| 23 | **მთლიანი არასაპროცენტო შემოსავლები** | 12,204,286 | 1,628,088 | 13,832,374 |
| | **არასაპროცენტო ხარჯები** | | | |
| 24 | სხვა საბანკო ოპერაციების მიხედვით გაწეული არასაპროცენტო ხარჯები | 12,398 | 211 | 12,609 |
| 25 | ბანკის განვითარების, საკონსულტაციო და მარკეტინგის ხარჯები | 950,288 | 604 | 950,892 |
| 26 | ბანკის პერსონალის ხარჯები | 5,745,800 | | 5,745,800 |
| 27 | ძირითადი საშუალებების საექსპლოატაციო ხარჯები | 139,531 | | 139,531 |
| 28 | ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები | 848,205 | | 848,205 |
| 29 | სხვა არასაპროცენტო ხარჯები | 5,635,197 | 0 | 5,635,197 |
| 30 | **მთლიანი არასაპროცენტო ხარჯები** | 13,331,419 | 815 | 13,332,234 |
| 31 | **წმინდა არასაპროცენტო შემოსავალი** | (1,127,133) | 1,627,273 | 500,140 |
| | | | | |
| 32 | **წმინდა მოგება დარეზერვებამდე** | 1,707,773 | 1,968,778 | 3,676,551 |
| | | | | |
| 33 | ზარალი სესხების შესაძლო დანაკარგების მიხედვით | 372,523 | X | 372,523 |
| 34 | ზარალი ინვესტიციების და ფასიანი ქაღალდების გაუფასურების შესაძლო დანაკარგების მიხედვით | | X | 0 |
| 35 | ზარალი სხვა აქტივების შესაძლო დანაკარგების მიხედვით | 188,822 | X | 188,822 |
| 36 | **მთლიანი ზარალი აქტივების შესაძლო დანაკარგების მიხედვით** | 561,345 | 0 | 561,345 |
| | | | | |
| 37 | **მოგება გადასახადის გადახდამდე და გაუთვალისწინებელ შემოსავალ-ხარჯებამდე** | 1,146,428 | 1,968,778 | 3,115,206 |
| 38 | მოგების გადასახადი | | | 0 |
| 39 | **მოგება გადასახადის გადახდის შემდეგ** | 1,146,428 | 1,968,778 | 3,115,206 |
| 40 | გაუთვალისწინებელი შემოსავლები (ხარჯები) | | | 0 |
| 41 | **წმინდა მოგება** | 1,146,428 | 1,968,778 | 3,115,206 |

# ეკა და რუსეთი

**ეკა კვესიტაძე:** "დიალოგების" დღევანდელი თემაა, ის საბოტაჟი, რომელიც რუსებმა ჩვენს წინააღმდეგ განახორციელეს. ჩვენი სტუმარი არის დავით ზურაბიშვილი. თქვენ ხელისუფლებას მოუწოდეთ თანმიმდევრობისკენ, რის შემდეგაც გივი თარგამაძემ მეხუთე კოლონა უწოდა ოპოზიციას. რატომ გამოიწვიეთ ასეთი მწვავე რეაქცია?

**დავით ზურაბიშვილი:** ვერ გეტყვით რატომ, მაგრამ მე კიდევ ერთხელ გავიმეორებ ნათქვამს იმისთვის, ვინც ვერ გაიგო: 1. ეს იყო დივერსია საქართველოს წინააღმდეგ; 2. ხელისუფლება უნდა იყოს თანმიმდევრული, რათა რუსეთს ჩვენმა ხელისუფლებამ გამოაცალოს ხელიდან ბერკეტები. ყველაზე მთავარი ისაა, რომ თურმე ყველაფერთან ერთად, მე ვყოფილვარ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის აზრების გამხმოვანებელი.

**ეკა კვესიტაძე:** სატელეფონო ხაზზეა ბესო ჯუღელი, რომელიც ოპოზიციის გამოსვლით ასევე საკმაოდ განაწყენდა.

**ბესო ჯუღელი:** აგიხსნით რატომ გამაღიზიანა დათოს გამოსვლამ: ასეთ შემთხვევებში ოპოზიცია და პოზიცია აბსოლუტურად ერთიანი უნდა იყოს. რუსეთის ასეთი საქციელის შემდეგ, სუბიექტურ-ობიექტური იდეების ძიება გვერდით უნდა გადავდოთ.

**ეკა კვესიტაძე:** გუშინ კობა დავითაშვილმა გააკეთა ზუსტად ანალოგიური განცხადება. ამიტომაც საკვირველია, გივი თარგამაძემ რატომ მონათლა ოპოზიციური ფრაქცია მეხუთე კოლონად...

**დავით ზურაბიშვილი:** ეს არ ყოფილა მარტო კობას სიტყვები, ეს იყო მთელი ჩვენი პოზიცია.

**ეკა კვესიტაძე:** ბატონო ბესო, მაინტერესებს, დღეს რას ფიქრობთ, არის თუ არა მიზანშეწონილი მაგისტრალური გაზსადენის რუსეთის ხელში გადაცემა, უკვე დღევანდელი გადასახედიდან?

**ბესო ჯუღელი:** მიზანშეწონილი ნამდვილად არ არის, მაგრამ ახლა ამაზე საუბრის დრო არ არის.

**ეკა კვესიტაძე:** დღეს სახეზე გვაქვს შედეგები ჩვენი ურთიერთობებისა, აქედან გამომდინარე, დღეს ყველაზე იოლია სათანადო დასკვნების გამოტანაც.

**დავით ზურაბიშვილი:** ნამდვილად არ მესმის რას წყვეტს, როდის ვიტყვით სათქმელს. მგონია, რომ პრინციპული გადაწყვეტილება და პოზიცია რუსეთთან მიმართებაში ხელისუფლებისგან უნდა წამოსულიყო.

**ეკა კვესიტაძე:** როგორ ფიქრობთ, რა ნაბიჯები უნდა გადადგას ჩვენმა ხელისუფლებამ ახლა?

**ბესო ჯუღელი:** ველოდები, რომ რუსეთის ხელისუფლება გააკეთებს ადეკვატურ რეაქციას. ცივილიზებულ სამყაროში ასე ხდება... რუსეთი ბოდიშს მოიხდის, ამაში დარწმუნებული ვარ. ჩვენმა ხელისუფლებამ კი იმ გზით უნდა გააგრძელოს სვლა, რა გზითაც მიდის.

**დავით ზურაბიშვილი:** გაზსადენის გადაცემა არ არის მხოლოდ ეკონომიკური საქმე, ეს პოლიტიკური საკითხია. რახან რუსული გაზი მოდის, ე.ი. რუსებმა უნდა იყიდონო, ეს ძალიან მარტივი გამოსავალია. იგივეა სამშვიდობო ძალებთან მიმართებაში: ხან მწვავეა კრიტიკა, ხანაც არა, ამაშიც ვლინდება ჩვენი პოლიტიკის არათანმიმდევრულობა. გაუგებარი რაღაცეები ხდება. ქალბატონმა ნინო ბურჯანაძემ ისიც განაცხადა, რომ ამ თემაზე საუბარიც არ ყოფილა. არადა, ამ თემაზე ბენდუქიძეც საუბრობდა და ნოღაიდელიც. ბენდუქიძე ამ ბოლო დროს დაუფარავად წარმოადგენს რუსული კაპიტალის საქართველოში დაბანდების სურვილს, იგი დაუფარავად ლობირებს რუსეთის პოლიტიკას, თუნდაც ეკონომიკურს. თუმცა, ამ თავლსაზრისით, ასეთები ბევრნი არიან და არა მხოლოდ ბენდუქიძე. ნებისმიერ კენჭისყრაზე კარგად ჩანს, ვინ არის თანმიმდევრული პოლიტიკის მომხრე და ვინ დათმობების მომხრე. მაგრამ ამ დათმობებით ვერაფერს კარგს ვერ ვღებულობთ რუსეთისგან.

**ეკა კვესიტაძე:** სატელეფონო ხაზზეა კოტე გაბაშვილი. პრეზიდენტმა პირველ განცხადებაში მიგვინიშნა, რომ ამ დივერსიის უკან შესაძლოა, იდგეს კრემლი. რითი იყო დასაბუთებული ეს აზრი?

**კოტე გაბაშვილი:** აიხსნება იმ მიზეზით, რითიც მათი საქციელი უნდა აიხსნას. რუსეთი კიდევ ერთხელ შეეცადა აფიშირება მოეხდინა იმისა, რომ ჩვენ მთლიანად ვართ მასზე დამოკიდებული. მათ ძალიან ცუდად გამოუვიდათ. რუსეთს ამ საქციელით ცუდის და უარყოფითის მეტი არაფერი მიუღია.

## ევროინტეგრაცია და ენერგოუსაფრთხოება



პირველი გვერდიდან

ფედერალური კანცლერის ოფისში, ბუნდესტაგსა და სამინისტროებში მოლაპარაკებების მთავარი თემა იყო ენერგოუსაფრთხოება. ამ მხრივ, ძირითადი ინტერესი რუსეთის ტერიტორიაზე მომხდარი აფეთქება და პრობლემის ქართული ხედვა გახლდათ. გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ერთობლივ პრესკონფერენციაზე იმედი გამოთქვა, რომ რუსეთი დროულად გამოიძიებს მომხდარ ინციდენტს. საგარეო საქმეთა მინისტრის უცხოელ ჟურნალისტებთან ინტერვიუების დიდი ნაწილიც სწორედ ენერგოუსაფრთხოების პრობლემატიკას ეხებოდა.

საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო კონფლიქტების თემასა და მათი მოგვარების პერსპექტივებს. ბატონმა გელა ბეჟუაშვილმა ოფიციალურ ბერლინს კიდევ ერთხელ განუმარტა, რომ საქართველოს მთავრობა მზადაა, განახორციელოს შემუშავებული სამშვიდობო გეგმა და კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარება არის ქართული მხარის ურყევი პოზიცია.

23 იანვარს, ფრიდრიხ ებერტის ფონდში, საგარეო საქმეთა მინისტრი შეხვდა 300-მდე პოლიტიკოსს, ექსპერტსა და საერთაშორისო ინსტიტუტების წარმომადგენელს. კონფლიქტების პრობლემატიკაზე საუბრისას, ბატონმა გელა ბეჟუაშვილმა საზოგადოებას კიდევ ერთხელ შეახსენა ეუთო-ს პოლიტიკური როლი აფხაზეთის პრობლემასთან დაკავშირებით, რაც გამოიხატება ქართველთა მიმართ ეთნოწმენდის დაფიქსირებაში.

გერმანელ პოლიტიკოსთა და ექსპერტთა ინტერესის საგანი იყო ყველა ის რეფორმა და პროცესი, რომელიც ამჟამად საქართველოში მიმდინარეობს. საგარეო საქმეთა მინისტრმა ყველა დაინტერესებულ პირს ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებსა და სამომავლო გეგმებზე, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თებერვლის დასაწყისში გერმანიაში საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტის წინ.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ბატონი გელა ბეჟუაშვილი 25 იანვარს ბრიუსელში მიემგზავრება, სადაც მონაწილეობას მიიღებს ევროპარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის სხდომაში. სხდომაზე განიხილავენ ევროკავშირის შესაძლო მონაწილეობის გზებს სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მოგვარებაში, კერძოდ კი სამშვიდობო გეგმის განხორციელებაში. მინისტრი სიტყვით მიმართავს საგარეო ურთიერთობათა კომიტეტს, რის შემდეგაც გაიმართება დისკუსია.

ბრიუსელში საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელი შეხვდება ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ხოსე ანტონიო ალონსო სუარესს.

*საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი*

## „გაზპრომის" აქციებზე მოთხოვნა იზრდება

### რუსეთის საფონდო ბირჟებზე ლიკვიდური ფასიანი ქაღალდების ფასი არ დაეცემა

ნინო ნატროშვილი

უკვე ორი დღეა, რაც რუსეთის ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ყველაზე ლიკვიდური ფასიანი ქაღალდების გაიაფების ტენდენცია შეინიშნება. არსებული "ლურჯი ჩიპებიდან" ყველაზე მეტად გაიაფდა რუსეთის "სბერბანკის" აქციები - 3,4 პროცენტით, ხოლო "რუსუგნეფტგაზის" აქციები - 1,9 პროცენტით. კომპანია "ლუკოილის" აქციების ფასი, რომელიც ნავთობის სექტორის კომპანიებს შორის პოზიციებს არ თმობდა, გასული კვირის ბოლოს 2168,3 რუბლამდე დაეშვა და ერთი აქციის ფასი 0,9 პროცენტით შემცირდა. პარალელურად, 0,4-0,9 პროცენტით გაიზარდა "ნორილსკი ნიკელის", "ტატნეფტის" და "იუკოსის" აქციების ფასი. მოსკოვის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟის ანალიტიკოსების აზრით, რუსეთის საფონდო ბირჟებზე ლიკვიდური ფასიანი ქაღალდების ფასი აღარ დაეცემა, რადგან ნავთობზე და ლითონებზე არსებული მაღალი ფასი ბაზარზე აქციებით ვაჭრობის პროცესს დააბალანსებს.

ევროპაში ტემპერატურის ვარდნის, ნიგერიაში არსებული დესტაბილიზაციის და ირანთან შექმნილი დაძაბულობის ფონზე ნავთობის ფასმა მაქსიმუმს მიაღწია და ერთ ბარელზე 61 დოლარი შეადგინა. ამიტომ ექსპერტები ფასიანი ქაღალდების მფლობელებს სააქციო პორტფელში ნავთობისა და გაზის კომპანიების აქციების მოცულობის გაზრდას ურჩევენ.



ბოლო მონაცემებით, მოსკოვის სავალუტო და საფონდო ბირჟებზე კომპანია "ლუკოილის" და "გაზპრომის" აქციებზე მოთხოვნა გაიზარდა. მიუხედავად იმისა, რომ "გაზპრომის" აქციების ფასი 2,2 პროცენტით შემცირდა და 220,89 რუბლი შეადგინა, სავალუტო ბირჟაზე ერთ დღეში "გაზპრომის" კუთვნილი 12,933 მილიონი აქცია გაიყიდა.

"გაზპრომის" აქციებით ვაჭრობა მოსკოვის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე გუშინ დილით დაიწყო. კომპანიის აქციების ბირჟაზე გატანა მას შემდეგ გახდა შესაძლებელი, რაც რუსეთის სახელმწიფო სათათბირომ ახალი კანონპროექტი მიიღო, რომელიც "გაზპრომის" აქციების ლიბერალიზაციას შეუწყობს ხელს. ბოლო მონაცემებით, აღნიშნული პროგრამით, აქციების 50 პროცენტს პლუს ერთი აქცია სახელმწიფო საკუთრებაში რჩება, ხოლო დანარჩენი ფასიანი ქაღალდები, 11 მილიარდ 700 მილიონი აქცია თავისუფალ გაყიდვაში იქნება გაშვებული.

"გაზპრომის" აქციებზე მოთხოვნა სწრაფად იზრდება, რასაც ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე ამ კომპანიის აქციებით ვაჭრობის არეალის გაფართოება ადასტურებს. 2006 წლამდე "გაზპრომის" აქციები მხოლოდ სანკტ-პეტერბურგის საფონდო ბირჟაზე იყიდებოდა, რომელიც რუსეთის სავაჭრო სისტემის შემადგენელი ნაწილია. ერთი კვირის წინ საფონდო ბირჟაზე გაიხსნა სავალუტო ვაჭრობაც, რაც უცხოელი ინვესტორებისათვის მიმზიდველი აღმოჩნდა.

ალექსეი რიბნიკოვი, მოსკოვის საფონდო ბირჟის დირექტორი: **"ვაჭრობის დაწყებიდან პირველ საათნახევარში "გაზპრომის" აქციების სავაჭრო ბრუნვამ ნახევარი მილიარდი რუბლი შეადგინა. დადებული იყო 1 700 სავაჭრო გარიგება. "გაზპრომის" აქციების შესყიდვაზე შემოსულია კიდევ 2 000 განაცხადი, რაც იმას ნიშნავს, რომ აქციების სავაჭრო ბრუნვის მოცულობის მაჩვენებელი გაიზრდება."**

"გაზპრომის" აქციებით შიდა ვაჭრობა საკმაოდ მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობს. განაცხადები ვაჭრობაში მონაწილეობის შესახებ შორეული ტერმინალებიდან ინტერნეტის მეშვეობით ვრცელდება. თუმცა, ბირჟაზე შიდა დაძაბულობა აშკარად იგრძნობა.

ანალიტიკოსების შეფასებით, ინტერესი "გაზპრომის" აქციების მიმართ იზრდება. 2006 წლის დასაწყისიდან მათი ფასი გაიზარდა. აქციის ფასი 200-დან 300 რუბლამდე მერყეობს. ბოლო მონაცემებით, "გაზპრომის" აქციებზე მოთხოვნა ხუთჯერ გაიზარდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტების შეფასებით, "გაზპრომის" კაპიტალი 200 მილიარდი დოლარიდან 300 მილიარდ დოლარამდე გაიზრდება. ამით კი მოგებული დარჩება რუსეთის ეკონომიკა, რადგან "გაზპრომი", როგორც ლოკომოტივი, ქვეყნის ეკონომიკის საბირჟო ინდექსს განსაზღვრავს.

## "გაზპრომმა" საქართველოს გაზმომარაგების ალტერნატიული წყაროც "გადაუკეტა"

*აზერბაიჯან-რუსეთის საზღვარზე გაზის კომპრესორის მწყობრიდან გამოსვლის გამო, "გაზპრომმა" რუსეთიდან აზერბაიჯანში გაზის გადადინება 4 მილიონი კუბური მეტრით შეამცირა. შესაბამისად, საქართველო აზერბაიჯანიდან 4 მილიონი კუბური მეტრი ბუნებრივი აირის ნაცვლად, 2,5 მილიონ კუბურ მეტრ ბუნებრივ აირს მიიღებს. ეს კი მხოლოდ მე-9 ენერგობლოკის ჩასართავად და თბილისის იმ მომხმარებლებისთვისაა საკმარისი, რომელთაც ამჟამად ბუნებრივი აირი მიეწოდება.*

დიანა ჩარუა

**"ჩვენ იძულებული ვართ, გარკვეული უბნები გამოვრთოთ, რათა ქალაქის ნაწილში მაინც შევინარჩუნოთ გაზმომარაგება," – განაცხადა გუშინ აზერბაიჯანიდან ჩამოსულმა ნიკა გილაურმა საგანგებო პრესკონფერენციაზე. როგორც ენერგეტიკის მინისტრმა აღნიშნა, აზერბაიჯან-რუსეთის საზღვარზე დაზიანებული კომპრესორის სარემონტო სამუშაოები უკვე მიმდინარეობს, თუმცა რა დრო დასჭირდება ამ სამუშაოების დასრულებას, მისთვის უცნობია. გილაურის განცხადებით, შენარჩუნებული იქნება მე-9 ენერგობლოკის მუშაობა, რის გამოც მოსახლეობას ელექტროენერგიით მომარაგებაში, სავარაუდოდ, შეზღუდვები არ ექნება. "ჩრდილოკავკასიაში გაზსადენების აღდგენის სამუშაოები "გაზპრომმა" შეაჩერა. ჩვენს წარმომადგენელს კი, რომელიც სამუშაოების აღდგენას აკვირდებოდა, ტერიტორია დაატოვებინეს, ამიტომ ზუსტად არ ვიცით, თუ როდის დაასრულებს "გაზპრომი" აფეთქებული გაზსადენების აღდგენას,"** - განაცხადა ნიკა გილაურმა. მისივე თქმით, **"გაზპრომმა" მაგისტრალურ მილსადენზე მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების შეწყვეტის მიზეზად კონდესანტის დაღვრა დაასახელა, თუმცა ქართველი ექსპერტები ამ არგუმენტს არ ეთანხმებიან და მიაჩნიათ, რომ კონდესანტის დაღვრა ამ ეტაპზე გამორიცხული იყო. "რატომ აცხადებენ, რომ კონდესანტი ახლა დაიღვარა, როდესაც მილსადენი უკვე ორი დღეა ღიაა?"** - კითხულობდა გუშინ გილაური.

მომხმარებლებს, რომელთაც ბუნებრივი აირი გუშინ მიიღეს, გაზმომარაგება კვლავ შეუწყდა, რადგან ბუნებრივი აირის საკმარისი რეზერვები აღარ არსებობს.

როგორც პრესკონფერენციაზე ნიკა გილაურმა აღნიშნა, საქართველო და ირანი ელექტროენერგიის ბარტერულ გაცვლაზე შეთანხმდნენ. მინისტრის განმარტებით, გასულ კვირას მისი ირანში ვიზიტისას ამ ქვეყნის ენერგეტიკის მინისტრთან მემორანდუმი გაფორმდა, რომელიც ზაფხულის პერიოდში საქართველოდან ირანში ელექტროენერგიის გადაცემას, ხოლო ზამთარში ირანიდან საქართველოში დენის იმპორტს ითვალისწინებს. როგორც გილაურმა აღნიშნა, გაზის მოწოდებისთვის ტექნიკური და თეორიული შესაძლებლობები არსებობს, თუმცა ვადები შემდგომი მოლაპარაკებების საგანია. ცნობისთვის, ირანული გაზის მაქსიმალური საფასური 1000 კუბმეტრზე 120 აშშ დოლარია, რაც, საქართველოში რუსეთიდან იმპორტირებული გაზის ფასთან შედარებით, 10 დოლარით მეტია. ამასთან, ირანიდან საქართველოში გაზის ტრანსპორტირება მხოლოდ აზერბაიჯანის გავლით არის შესაძლებელი.

## ბრძოლა გაზსადენისათვის შოკური თერაპიის თანხლებით

პირველი გვერდიდან

რუსული მხარე საქართველოს მთავრობისგან იმ შეზღუდვის მოხსნას მოითხოვდა, რომელიც საქართველოს მოქმედ კანონმდებლობაში არსებობს. საქართველოს გაზსატრანსპორტო და მაგისტრალური სისტემები იმ საწარმოთა სიაშია, რომლებიც პრივატიზებას არ ექვემდებარება, თუმცა, არსებული შეუთანხმებლობის გამო, ამ საკითხზე მხარეები ღიად არ საუბრობდნენ.

მიმდინარე წლის 22 იანვარს, გაზსადენის აფეთქების დღიდან, საქართველოს ხელისუფლების პირველი პირების მიერ გაკეთებული განცხადებებიდან საყურადღებოა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის მკაფიოდ გამოხატული პოზიცია. მისი თქმით, რაც არ უნდა მოხდეს, ხელისუფლება მაგისტრალური სისტემის გაყიდვას არ დაუშვებს, რაც იმას ნიშნავს, რომ საკანონმდებლო ორგანო იმ ცვლილებებს მხარს არ დაუჭერს, რომელიც მილსადენის პრივატიზების აკრძალვას მოხსნის.

დაღესტანში გაზსადენის კიდევ ერთი აფეთქების გამო, საქართველოს აზერბაიჯანიდან გაზის მოწოდების ალტერნატიული ვარიანტიც მოეხსნა. აშკარა გახდა, რომ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ ღიად გაკეთებული პრინციპული განცხადებების შემდეგ, რუსეთის სახელისუფლებო ძალამაც ღია თამაში დაიწყო და შოკურ თერაპიას მიმართა.

ასეთ ვითარებაში, საქართველოს მთავრობასა და "გაზპრომს" შორის მოლაპარაკებების განახლება გარდაუვალია. კრიზისის დასაძლევად სათანადო გადაწყვეტილების მიღება და ამ გზით მხარეებს შორის შეთანხმების მიღწევა, ბუნებრივია, აუცილებელი გახდება. რა შედეგს მოუტანს ეს გადაწყვეტილება ქვეყანას თუნდაც ხუთი წლის შემდეგ, ამის პროგნოზი ძნელია, რადგან, ექსპერტების მტკიცებით, მთავრობამ გადაწყვეტილება დღეს არსებული პრობლემის გადასაჭრელად უნდა მიიღოს და ეს გადაწყვეტილება გეოპოლიტიკურ, გეოსტრატეგიულ და გეოეკონომიკურ გათვლას ვერ დაეყრდნობა. ამის ცუდი პრეცედენტი კი ქართულ რეალობაში უკვე არსებობს.

გაზის სექტორში რუსული კაპიტალის შემოსვლის მთავარი საფუძველი ცნობილი საერთაშორისო ხელშეკრულება გახდა. 2003 წლის ივლისში საქართველოს წინა ხელისუფლებამ უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო. სრულიად კონფიდენციალურ ვითარებაში, რუსეთის ღია სააქციო საზოგადოება "გაზპრომმა" და საქართველოს მთავრობამ ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას 25-წლიანი სატრატეგიული თანამშრომლობის შესახებ. დოკუმენტის თანახმად, რუსულმა სახელმწიფო კომპანიამ საკუთარ თავზე შემდეგი ვალდებულებები აიღო: საქართველოში ბუნებრივი აირის მიწოდება; საქართველოს გაზსადენის სისტემის ექსპლუატაცია, აღდგენა, რეკონსტრუქცია და გაფართოება; ასევე, გაზის მიწოდება საქართველოს თბოელექტ[illegible] მისი შ[illegible] ბილიტაცია.

მას შემდეგ, ორი წლის განმავლობაში, რუსული კომპანია ცდილობს, საქმიანობა გააფართოოს და ხელშეკრულების ჩარჩოებს გასცდეს. "გაზპრომი" საქართველოს სთავაზობდა, რომ მონაწილეობას მიიღებდა "თბილგაზის" პრივატიზებაში და თანხმდებოდა, შექმნილიყო ერთობლივი საწარმო გაზსადენის ქსელების სრული რეაბილიტაციის მიზნით.

"გაზპრომის" მმართველობის უფროსი ანატოლი პოდმიშალსკი 2004 წლის 8 ივლისს (რუსული საიტებით გავრცელებული ინფორმაციით) ამბობდა, რომ "ურთიერთთანამშრომლობის პროცესი არ ვითარდება საქართველოს კანონმდებლობაში არსებული პრობლემების გამო, რადგანაც საქართველოს გაზსატრანსპორტო და მაგისტრალური სისტემები იმ საწარმოთა სიაშია, რომლებიც პრივატიზებას არ ექვემდებარება. საქართველოს ხელისუფლებამ ეს ობიექტი პრივატიზებას უნდა დაუქვემდებაროს, რადგანაც კომპანიას ფულის ჩადება არ შეუძლია, თუ საკუთრების გარანტია არ ექნება."

გარდა ამისა, საქართველოს ხელისუფლებასა და "გაზპრომს" შორის მოლაპარაკებების დროს ერთობლივი საწარმოს შექმნის ორი შესაძლო ვარიანტი განიხილებოდა. რუსული კომპანია საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის საწესდებო კაპიტალის 50 პროცენტს შეიძენდა, რისთვისაც რუსული კომპანია [illegible] ფასურად (154 მილიონი დოლარი) საქართველოს უფასოდ მიაწვდიდა ბუნებრივ აირს. გაზის რეალიზაციიდან მიღებული თანხა მაგისტრალური გაზსადენის რეაბილიტაციას მოხმარდებოდა.

ქართული მხარე უფრო მეტად მეორე ვარიანტს ემხრობოდა. კორპორაციის საწესდებო კაპიტალში შემავალი მაგისტრალური გაზსადენებისა და ინფრასტრუქტურის საბალანსო ღირებულება 50 მილიონ დოლარს შეადგენს. თუმცა, უცხოელი სპეციალისტების შეფასებით, ქონების ღირებულება 250 მილიონი დოლარია და მისი რეაბილიტაციისთვის აუცილებელია 240 მილიონი დოლარის დაბანდება.

სახელმწიფო მინისტრი კახა ბენდუქიძე საქართველოში ჩამოსვლისთანავე აცხადებდა, რომ ის შეეცდება, "საქართველოს ხელისუფლება ენერგეტიკისა და ტრანსპორტის სექტორიდან რამდენიმე სტრატეგიული ობიექტის გაყიდვაში დაარწმუნოს, ვინაიდან მათი რამდენიმე მილიონად გაყიდვა ქვეყნის უსაფრთხოებას საშიშროებას არ შეუქმნის. პირიქით, ამ გზით წაგებიან საწარმოებში კაპიტალი ჩაიდება და ეკონომიკა აღორძინდება."

გაზეთ "24 საათთან" საუბარში "გაზპრომის" წარმომადგენელი საქართველოში დავით მორჩილაძე ამბობს, რომ "გაზპრომის" მხრიდან გაზსადენის სისტემის პრივატიზების მოთხოვნა არ ყოფილა და არც ახლა არის. პირიქით, რუსულ კომპანიას ქართული მხარე სთავაზობდა გაზსადენის [illegible] სუფლების მიერ 25-წლიანი სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების შეცვლას. ამასთან, განიხილებოდა ერთობლივი საწარმოს შექმნის საკითხიც, მაგრამ შეთანხმება არ მოხერხდა.

"კულუარული ინფორმაციით, მეც ასე ვიცი, რომ უფრო მეტად, ქართული მხარე სთავაზობდა რუსულ კომპანიას მილსადენის ყიდვას. ხელისუფლება ამ გადაწყვეტილების შესრულებას თუ აპირებს, ის არა მარტო სახელმწიფოს, არამედ ხელისუფლების დიდი პრობლემა გახდება, რადგან საქართველოს დეკლარირებული აქვს თავისი განვითარების უახლოესი ვექტორი და ეს არის ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში და ევროკავშირში გაწევრიანება, - განაცხადა "24 საათთან" საუბარში ექსპერტმა დემურ გიორხელიძემ და დასძინა, - ამდენად, გაზსადენის გაყიდვა საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორებთან შეთანხმების გარეშე არ უნდა გადაწყდეს. ენერგეტიკა პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია. ამდენად, "გაზპრომის" კავკასიაში შემოსვლა საქართველოში ნებისმიერი პოლიტიკური პროექტის განხორციელებას დაბლოკავს. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ 2006 წლის დასაწყისში "გაზპრომის" აქციების 49 პროცენტის გაყიდვა დაიწყო. კომპანიის კაპიტალიზაციამ უკვე 50 მილიარდ დოლარს მიაღწია და ის მალე მსოფლიოში ყველაზე მძლავრი სახელმწიფო კორპორაცია გახდება. ამდენად, ჩვენი კრიტიკის მიზანია, ხელისუფლება არასწორი და მცდარი ნაბიჯებისგან დავიცვათ."

## „ლუკოილ ჯორჯია" ქველმოქმედებას განაგრძობს

*"ლუკოილ ჯორჯიას" მარკეტინგის სამსახურმა "უნიგრუპმა" თბილისის N2 სამშობიარო სახლი გათბობის ახალი და თანამედროვე სისტემით უზრუნველყო. როგორც სამშობიაროს დირექტორი გიორგი თევდორაძე აცხადებს, აღნიშნული სისტემა პაციენტთა ჯანმრთელობასა და კომფორტს უზრუნველყოფს.*

"ლუკოილ ჯორჯიას" საქველმოქმედო აქციის შესახებ გუშინ საზეიმო ცერემონიალზე გახდა ცნობილი. აღნიშნულ ცერემონიალს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ლადო ჭიპაშვილიც ესწრებოდა. **"დასაფასებელია წარმატებული და ლეგალური ბიზნესის ჰუმანიტარული აქცია. ამ კომპანიამ შეძლო, სამშობიაროსთვის გათბობის ხარისხიანი სისტემა დაემონტაჟებინა, რაც მოქალაქეთა ჯანმრთელობისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მინდა, მათ ამისთვის დიდი მადლობა გადავუხადო,"** - აღნიშნა ჭიპაშვილმა.

"ლუკოილ ჯორჯიამ" გარდა იმისა, რომ თბილისის №2 სამშობიარო გათბობის თანამედროვე სისტემით უზრუნველყო, ასევე 10 სამშობიარო ვაუჩერი დააწესა, რომელიც სოციალურად გაჭირვებულთათვის არის განკუთვნილი. პირველი ვაუჩერის მფლობელი ნინო ნიორაძეა. მან ამ პროექტის შესახებ ქალთა კონსულტაციაში შეიტყო. ეს ქალბატონი სამი შვილის დედაა და სულ მალე მას ორი ტყუპი შეეძინება. **"სრულიად შემთხვევით, ქალთა კონსულტაციაში მითხრეს, რომ "ლუკოილ ჯორჯია" სოციალურად დაუცველ ოჯახებს ეხმარებოდა. დიდი მადლობა "ლუკოილ ჯორჯიას" მარკეტინგულ სამსახურს "უნიგრუპს" ასეთი ვაუჩერის დაწესებისთვის,"** - აღნიშნა პირველი ვაუჩერის მფლობელმა ნინო ნიორაძემ.

როგორც "ლუკოილ ჯორჯიას" გენერალური დირექტორის მოადგილე გოჩა სულთანიშვილი აცხადებს, ნავთობკომპანია "ლუკოილი" საქველმოქმედო და სოციალური დატვირთვის პროექტებს მუდმივად ახორციელებს. **"გვინდა, ჩვენი მხარდაჭერა უშუალოდ საზოგადოების წევრებმა მიიღონ. კარგია, როდესაც დახმარება ხელშესახებია,"** - აცხადებს სულთანიშვილი.

საზეიმო ცერემონიალზე თავისი პოზიცია სამშობიაროს სახლის დირექტორმა გიორგი თევდორაძემაც დააფიქსირა. მისი თქმით, ასეთი ხარჯის გაწევა სამშობიარო სახლისთვის დამოუკიდებლად შეუძლებელი იქნებოდა. **"ლუკოილ ჯორჯიას" ეს საქველმოქმედო აქცია ძალიან მნიშვნელოვანია როგორც ჩვენი პაციენტებისათვის, ისე ჩვენი ქვეყნის მომავლისათვის. ეს ფაქტი დამადასტურებელია იმისა, რომ "ლუკოილ ჯორჯია" ჩვენი ქვეყნის მომავალი თაობის ჯანმრთელობაზე ზრუნავს,"** - აცხადებს სამშობიაროს დირექტორი.




უნდა აღინიშნოს, რომ ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირმა "ლუკოილ ჯორჯია" გამარჯვებულად ორ ნომინაციაში დაასახელა. 2005 წლის შედეგებით, ნავთობპროდუქტების სექტორში "ლუკოილ ჯორჯია" სახელმწიფო ბიუჯეტში ყველაზე მსხვილ გადამხდელად და ყველაზე ქველმოქმედ ორგანიზაციად დასახელდა.

*24 საათი*

## წვიმა

წვიმის წვეთები დამდის სახეზე,
თავისუფლება ისე ახლოა...
როცა სიცოცხლეს წვიმა აქეზებს,
სამყარო შენი სამოსახლოა.

იშლება ყველა ქვეყნის საზღვარი,
არც ვიზა გინდა,
აქ არც რიგია.
შუა წვიმაში ფიქრობ ნამგზავრი –
წვიმა წვიმაა, თუ რელიგია.

მთელი ქალაქი არის ნაწვიმი,
ღრუბლის სამრეკლოს მესმის ზარები,
მეღვრება წყალი ვერცხლის ბარძიმით
და ვდგავარ წვიმით ნაზიარები.

უფრო დაუშვა,
უფრო იმატა,
დიდება წვიმას, წვიმას დიდება!
- და თუ არ მოხვალ, მოვა წვიმა და
შენს წამწამებზე დაეკიდება.

## მიმართვა

- ჰე, თბილისელნო, ათენელთ მსგავსად
მესროლეთ მზერა ცეცხლის მკვესავი,
რომ არ წავიდე ფუძიდან არსად,
თავი ვიმართლო სოკრატესავით.

დილიდან ხდება დაგება მახის –
ჰალსტუხის ნასკვი გამოჰყავს სარკეს,
რათა მახსოვდეს, რომ თქვენი სახით
კანონის ფხასთან მექნება საქმე.

აშარიშურეთ შარი და შური,
ჯმუხი შუბლები დაღალეთ ფიქრით,
მესროლეთ თქვენი მომსმენის ყური,
მესროლეთ თქვენი დამსმენის ლიქნი.

ვდგავარ იქ, სადაც ქარიშხალია
და ანგელოსი არის ნაცემი,
ქარებთან შებმა ჩვენი ვალია, -
სულის რხევების პაპარაცების.

და თუ საკანი იქნება ბნელი,
მზეს დააკნინებს ხმა უკანონო,
დაიწერება სიტყვები ძველი:
უკან წინანი,
წინ უკანანი.

- ჩამოდით კონი თქვენი კანონის,
გადაბრუნდება სანამ ურემი,
ჩემი კანონი – სიტყვის კონანი
შევკონე როგორც
საუკუნენი.

## მწიგნობართათვის, ფარისეველთათვის, ფსიქოანალიტიკოსთათვის, უფსკრულის უკუნის გულდასმით მკვლევართათვის

დედა რო შვილს ტირის,
თანაგრძნობის გარდა
ყველაფერი სისულელეა.

## ცალი ფრთა

მოვიქნევ ცალ ფრთას, როგორც მარაოს,
თუმცა საფრენად ცოტაა, მაგრამ
ნაკვერჩხალივით წარამარაობს
ცეცხლი, რომელიც შენს თვალში ჩაქრა.

ცალი ფრთით მცნობენ ძველი უბნები,
ის არის ჩემი გემბანის აფრა,
სიტყვაა, რასაც შენ გეუბნები
და გადმოვდივარ სტრიქონით ნაპრალს.

ხან სტუმრად მისულს სკამს მთავაზობენ
წესს მთავაზობენ, რაც არის სწორი,
მე კი ცალი ფრთით ასჯერ გავზომე
მანძილი მიწას და ზეცას შორის.

- საფრენად ცალი ფრთა არ კმარაო,
მითხრეს და ფითრმა თეთრად გამღება
და ვიქნევ აფრას, როგორც მარაოს
და თვალში ვანთებ მიმქრალ ნაღვერდალს.

რაც ვიუარე, ველი უარესს,
თუმცა ირაოს არიას ვმღერი,
წლებმა იარებს გადაუარეს
და აურიეს ოცნებას ფერი.

და ხან მივენდე ახალ ვარაუდს,
ხან ისევ ძველმა წამართვა ძილი
და შეშურდება ღამის ყარაულს
რაც მე ფიქრებთან დავიდე წილი.

გამღვიძებია ღამით ნაღვინევს
სამგლოვიარო მესმოდა მესა...
და ზეწარივით თოკზე გავფინე
ეს აღსარება ნათქვამი ლექსად.

ვარსკვლავის ციმციმს მივანდობ ლოგოსს,
მიწაზე მიმძიმს, იმ ვარსკვლავს ვფიცავ,
- ზეცა! – შევძახებ,
და ისმის როგორც
გეზდაკარგული გემიდან: - მიწა!



დათო მაღრაძე

# ახალი ლექსები

**"სალვეს" საშუალებით პოეტი მიესალმება თავის მკითხველს, მძლავრი მეტაფორებით წინ უშლის ლირიული თემების მთელ სამყაროს: ხელოვნება და ცხოვრების ხელოვნება, ადამიანად ყოფნა და ადამიანური ეჭვი, თანამედროვეობა, ისტორია და მომავალი, რეალური და მითოსური, პატრიოტული და ველტბიურგერული – მსოფლიო მოქალაქის სიცოცხლე და სიკვდილი. ქართველი პოეტი დავით მაღრაძე ქმნის ნამდვილი ხელოვანის პროფესიული იარაღებით, რათა ადამიანის, კოსმოსისა და მიკროკოსმოსის იდუმალ სამყაროს ჩასწვდეს. თავისუფალ რიტმებში განვრცობილი მისი ლექსები, რომელიც გერმანულად პროფესორმა მანანა პაიჭაძემ თარგმნა, თანაბრად სუნთქავენ ირონიით, ლაკონურობითა და პათოსით. და მიმაჩნია, რომ პოეტ დავით მაღრაძის ლექსები აუცილებლად უნდა გახდეს ცნობილი გერმანულენოვანი სივრცის ფართო პუბლიკისათვის,"** - წერს გერმანელი ექსპერტი **დოროთეა შტოლცე** წიგნის რეცენზიაში. ამგვარმა რეცენზიამ გადააწყვეტინა ბერლინის გამომცემლობა "ფრილინგი და ჰუფმანს" დავით მაღრაძის ლექსების გამოცემა. წიგნი აპრილის თვეში იქნება მზად. "სალვეს" ასევე ჩეხური გამოცემაც ელის.

დღეს "24 საათი" პოეტის ჯერ გამოუქვეყნებელ ლექსებს გთავაზობთ. დავით მაღრაძის ქართულ და საერთაშორისო პრემიების კოლექციას სულ ახლახან სახელმწიფო პრემიაც შეემატა.

- ყველაზე დიდი პრემია პოეტისთვის მკითხველის ინტერესია. სახელმწიფო პრემია კიდევ უფრო საპატიოა ჩემთვის იმიტომ, რომ ამ პრემიის კომისიაში არიან შესანიშნავი მკითხველები, რომ აღარაფერი ვთქვათ მათ არაჩვეულებრივად ღირებულ შემოქმედებაზე. ესენი არიან – პოეტი ტარიელ ჭანტურია, მხატვარი ზურაბ ნიჟარაძე, მსახიობი გურამ საღარაძე, კომპოზიტორი ბიძინა კვერნაძე და ასე შემდეგ. რაც ჩემი შეგნებული ცხოვრების მანძილზე ჩემს სამშობლოში ქარტეხილები ყოფილა, არც ერთისთვის არ ამირიდებია თავი. მიზანი ერთი იყო – ჩემი სამშობლო სახელმწიფო გამხდარიყო. ავად ჩავერიე თუ კარგად, არ ვიცი. ერთი, რაც ვიცი – გულწრფელად და უანგაროდ ჩავერიე. ეს ყველაფერი ჩემთვის უფრო მეტად ღირებული და მნიშვნელოვანია, რადგან ჩემი სახელმწიფო სახელოვნებო სამყაროს დიდ ყურადღებას აქცევს.

**- დღევანდელ ხელისუფლებას ქართული ხელოვნებისა და კულტურის პროპაგანდის ამბიცია აქვს მთელ მსოფლიოში. ჩვენი აზრით, თქვენი გერმანული და ახლო მომავალში - ჩეხური პროექტები კარგი მაგალითია ამ პროპაგანდის გაწევის არასახელმწიფოებრივი, ერთგვარად ბუნებრივი გზისა. იმის მიუხედავად, რომ ქართულ პოეზიას უდიდესი პოეტები ჰყავს, ისინი თითქმის უცნობნი არიან თანამედროვე მსოფლიოსთვის...**

- როცა უცხოეთში კონფერენციებზე და სხვადასხვა შეკრებებზე ჩავდივართ და ვეუბნებით, რამხელა სახელოვნებო ტრადიციები და ლიტერატურის ისტორია აქვს ჩვენს ქვეყანას, იქ ლოგიკური კითხვა უჩნდებათ – თუ ასეთი მაგრები იყვნენ, ჩვენ რატომ არ ვიცითო... საქართველოს სახელმწიფოს ჩარხი უკუღმა რომ არ დატრიალებულიყო, წესით, ჩვენ მსოფლიოში გაკვალული უნდა გვქონდეს გზა გალაკტიონით, გიორგი ლეონიძით, ვაჟა-ფშაველათი, ბარათაშვილით, გურამიშვილით, აკაკი წერეთლით... არ მინდა, ამპარტავნებაში ჩამომართვათ, ამას ძალიან მოკრძალებულად ვამბობ – ისე გამოდის, ახლა ჩვენ უნდა გავუკვალოთ გზა ჩვენს დიდებულ წინაპრებს. ამისთვის ჯერ ჩვენ უნდა დაგვიჯერონ, რომ რაღაც ღირებულს ქმნი და ინტერესი უნდა გაუჩნდეთ. ჩემი წიგნის პრეზენტაციაზე რომ წავალ, მართლა ვაპირებ ვთქვა, რომ მე ვარ გენიალური პოეტის, გალაკტიონ ტაბიძის ქვეყნიდან.

ხან მიფიქრია, - მოდი სიკვდილო,
ეს ფრთაც მომწყვიტე დაცდილი თარსად,
რომ იქნებ ვეღარ გავიმშვიდდილო,
რადგან საშველი აღარ ჩანს არსად.

იქნებ სიკვდილსაც უნდა სიკვდილი,
სადმე დააგდოს ერთგული ცელი,
მე კი სიცოცხლე – სიკვდილმისჯილი
სიკვდილის სიკვდილს ამაოდ ველი.

მიწყალე ღმერთო,
ხმელთა და ცათა...
და თუ ავანთე მისი თვალები,
მომეცი ქალი – მეორე ფრთა და
მოვიფრენ ფეხით ნაწანწალები.

■ ■ ■

გუმბათის ყელში გუმბათის მტრედო,
შენი ფათქუნი მომესმის მუდამ,
როცა სტრიქონის ფრთას უნდა ვენდო,
ხორხიდან როცა გაფრენა უნდა.

სულ შენ გეძახი და ვცვლი სახელებს,
უცხო ქალების პასუხით ვთვრები
და დაჭლექილი როცა ვახველებ, -
თითქოს გატკინე დახრილი ფრთები...

სადღაც შორს სამბას რიტმით თვრებიან,
მერე შეცვლიან სამბას რუმბათი,
ჩემი სამშობლო შენი ფრთებია,
შენი სამშობლო ტაძრის გუმბათი.

შენ იცი,
ჩემში ფართოდ შევუშვი
წუთისოფელის ზათქი და ზარი,
და ისე მიდგას სული სხეულში
როგორც გუმბათის ფრესკაზე ბზარი.

შენ ხარ ნუგეში, ჩემი მცველი და
ვერ მიმატოვებ შენითვე შეშლილს,
... ვის წამოაგდებს სარეცელიდან
შენი ფათქუნი გუმბათის ყელში.

## წვეთი

*თელავი. დუქანი "ოცნება". 2005*

სულ ერთი წვეთი აკლია მუდამ
დღესასწაულის მოსვლას თოვლივით,
რადგან ცხოვრება ასეთი უნდათ –
დავარცხნილი და კარგად მოვლილი.

მე კი ვზივარ და შენს დაბადებას
იმ ერთი წვეთის ვიბედებ მადლით,
წვეთს არ ჩავტოვებ, დალოცოს ღმერთმა,
და სავსე ჭიქას ბოლომდე დავცლი.

გამოცლილ სასმისს დახედავს ზეცა, -
როგორც მოლარე სპექტაკლის ბილეთს,
ღრუბლის ლოყაში
მხარს მივცემ მერცხალს
და თეთრ ჩოხაში ჩავიწყობ ქილებს.

მელნად მომეცა ის ერთი წვეთი
და გაშლილი მაქვს ზეცის ფურცელი,
რადგან მიწაზე, მოწმეა ღმერთი,
უიმწვეთობას ვერ გავუძელი.

იმ ერთი წვეთის მითქვამს დიდება,
იმას შევწირე ფიქრი და ვნება,
ხან ხმელ ფოთოლზე დაეკიდება,
ხან გამშრალ წყაროს თქრიალზე ჰყვება.

ის შემორჩება შენი აივნის
მოაჯირს როგორც ნაწვიმის წვეთი...
ხან წამწამიდან ლაწვზე ჩაივლის,
წაშლის მძიმეს და
გასცდება წერტილს.

## თბილისის დილა

... თენდება, როგორც ყველგან, თანდათან...
თეთრად ელვრება მწვერვალებს დილა,
როგორც ტროტუარს ღვინის სარდაფთან
ძირს დავარდნილი მაწონის ქილა.

სარდაფის კიბის დარწეულ ჰამაკს –
როგორც გოლგოთის ბილიკის ფილას
ხელის კანკალით აჰყვება მამა
და ტროტუარზე
დააქცევს დილას.

# ლიტერატურული კონკურსი "საბა"-2006



## გამომცემლობების და ავტორების საყურადღებოდ

გაცნობებთ, რომ 2006 წელს უკვე მეოთხედ გაიმართება ყოველწლიური ლიტერატურული პრემია "საბას" დაჯილდოება, რომლითაც მოხდება ამჯერად უკვე 2005 წლის ლიტერატურული პროდუქციის შეფასება.

ყოველწლიურ ლიტერატურულ პრემია "საბას" დამფუძნებლები არიან სს თიბისი ბანკი, გაზეთი "24 საათი" და მწერალთა გაერთიანება "ქართული პენ-კლუბი". პრემიის მიზანია გასული წლის ლიტერატურული პროცესების შეფასება და წლის საუკეთესი ნაწარმოებების გამოვლენა.

წლეულსაც პრემიის გაცემა მოხდება ტრადიციულად 23 აპრილს. **პრემიაზე განიხილება 2005 წელს წიგნად გამოცემული ყველა ორიგინალური ლიტერატურული ნაწარმოები (რომანი, პროზაული კრებული, პოეტური კრებული), უცხოური ნაწარმოების ქართული თარგმანი, ასევე პეროიდიკაში (პრესაში) გამოქვეყნებული ან წიგნად გამოსული ლიტერატურული კრიტიკის ნიმუშები და პიესები.**

**ლიტერატურული პრემია გაიცემა შემდეგ ნომინაციებში:**

წლის საუკეთესო რომანი
წლის საუკეთესო პოეტური კრებული
წლის საუკეთესო პიესა
წლის საუკეთესო პროზაული ნაწარმოები
წლის საუკეთესო ლიტერატურული კრიტიკოსი
წლის საუკეთესო თარგმანი
წლის საუკეთესო დებიუტი

**იმ გამომცემლობებს და ავტორებს, რომლებმაც 2005 წლის განმავლობაში გამოსცეს წიგნები ზემოთ ჩამოთვლილი ნომინაციების შესაბამისად, გთხოვთ, 31 იანვრამდე მოგვაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია: წიგნის სახელწოდება, ავტორი და გამომცემლობა.**

გთხოვთ, აღნიშნული ინფორმაცია მოგვაწოდოთ შემდეგ რეკვიზიტებზე:

**ფაქსი: 772 774**
**e-mail: mdzirkvelishvili@tbcbank.com.ge**
**info@tbcbank.com.ge**

ან წერილობითი სახით მოგვაწოდოთ მისამართზე:
***თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 7, "თიბისი ბანკის" სათაო ოფისი***

*საკონტაქტო პირი: მაია ძირკველიშვილი*
*თიბისი ბანკის საზოგადოებასთან*
*ურთიერთობის სამსახური*



# "თქვენი აფხაზეთი"

პროექტის კოორდინატორი
თორნიკე ბერიშვილი

## დამამშვიდებელი დაპირება

ლელა მარგიანი

ჩვენი გაზეთის მკითხველი იცნობს გალის რაიონში მოქმედი ერთადერთი ქართული არასამთავრობო ორგანიზაციის "გალის რაიონის ქალთა ასოციაციის" საქმიანობას. ორგანიზაციის ხელმძღვანელი, ქალბატონი თინა ქეცბაია რადენჯერმე იყო ჩვენი რესპოდენტი და დაწვრილებით მოგვითხრო, ასოციაციის საქმიანობის, მათ მიერ ქართულ-აფხაზური ურთიერთობის აღდგენის კუთხით განხორციელებული პროექტების, ქალთა სამშვიდობო საბჭოს საქმიანობის შესახებ. ამჯერად მას გალში შექმნილ მძიმე ვითარებაზე ვესაუბრეთ და ერთგვარი დამამშვიდებელი პასუხი მივიღეთ.

თინა ქეცბაია: **"ამჟამად გალის რაიონში უმძიმესი მდგომარეობაა. შეიძლება ითქვას, ხალხი გაუსაძლის პირობებში ცხოვრობს. თავად აფხაზები გალში ჩვენს ყოფას 1995 წლის მდგომარეობას ადარებენ. ამიტომ მქონდა შეხვედრები საგარეო საქმეთა მინისტრ ბატონ სერგეი შამბასთან, პრეზიდენტთან – ბატონ სერგეი ბაგაფშთან. თითოეულმა ყურადღებით მომისმინა. რა თქმა უნდა, მათ იცოდნენ ჩვენი გაუსაძლისი ყოფის შესახებ. პრეზიდენტმა ბრძანა, რომ ეძებს გზებს მდგომარეობის გამოსასწორებლად და აუცილებლად მიიღებს გადამწყვეტ ზომებს!**

**მჯერა, 2006 წელი იქნება წარმატებების მომტანი, ეს წელი იქნება ქართველთა და აფხაზთა მშვიდობიანი თანაცხოვრების დასაწყისი".**

## 10 წლის იუბილე



*ნოდარ სარჭველაძე იუბილეზე.*

*ადამიანის რესურსების განვითარების ფონდს, რომელიც წარმატებით საქმიანობს აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების სფეროში, 10 წელი შეუსრულდა. ამ ხნის მანძილზე ფონდმა ითანამშრომლა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციასთან – ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭო, წითელი ჯვარი, ფილლიპ მორისის მართვის ცენტრი,* Help Age International, World Vision, Mercy Corps, *და სხვადასხვა ევროპულ და ამერიკულ უნივერსიტეტთან და ორგანიზაციასთან და მათთან ერთად განახორციელა აფხაზეთიდან და ოსეთიდან დევნილთა, ქუჩის ბავშვთა, პანკისში ლტოლვილ ჩეჩენთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციური სამუშაო; საქართველოს (მათ შორის, კონფლიქტურ რეგიონებთან) და კავკასიის მასშტაბით შექმნა სამუშაო ქსელები; ხელი შეუწყო რეგიონების სამოქალაქო სექტორის განვითარებასა და მშვიდობის შენებას და სხვადასხვა რეგიონის ინტეგრაციას საქართველოში.*

ძირითადი პროექტები და პარტნიორები:

1999-2006 წწ. – ახალგაზრდული მოძრაობა მშვიდობისა და შემოქმედებისათვის. ჰოლანდიურ არასამთავრობო ორგანიზაციასთან "ომის ბავშვი" (War Child Netherlands) თანამშრომლობით. პროექტის ფარგლებში სხვადასხვა წლებში ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის სესიებში, პიროვნულ განვითარებაზე მიმართულ ტრენინგებსა და სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო აფხაზეთიდან და ოსეთიდან 3000-მდე დევნილმა და ადგილობრივმა ბავშვმა.

2001-2005 წწ. – საქართველოს რეგიონები: კონფლიქტის პრევენცია ცენტრსა და რეგიონს შორის, ბრიტანულ ორგანიზაცია "საერთაშორისო განგაშთან" თანამშრომლობით. სხვადასხვა წლებში ადამიანის რესურსების განვითარების ფონდმა იმუშავა სამცხე-ჯავახეთისა და სამეგრელოს სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან და ცენტრალური მმართველობის სტრუქტურების წარმომადგენლებთან, შექმნა ინფორმაციული ველი რეგიონი-ცენტრი-არასამთავრობო სექტორის ფარგლებში, საფუძველი ჩაუყარა რამდენიმე ძლიერი რეგიონული არასამთავრობო ორგანიზაციის ჩამოყალიბებას.

2005 წელს ორგანიზაციასთან "გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიისათვის" (Global Initiative for Psychiatry) თანამშრომლობით ფონდმა ფსიქოსოციალური რეაბილიტაციური დახმარება გაუწია ბესლანის ტრაგედიის მსხვერპლ ქალბატონებს პრაღაში.

2005-2006 წწ. – ეთნიკურ ურთიერთობათა მართვა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში. ეუთოს ნაციონალურ უმცირესობათა დარგში უმაღლესი კომისრის ოფისთან თანამშრომლობით, რომელსაც საქართველოში ხელმძღვანელობს ქ-ნი ბეატრის შულტერი.

პროექტის მეორე ფაზა, ერომელიც 2006-ში განხორციელდება, სხვა მიზნებს შორის ისახავს სამცხე-ჯავახეთის რეგიონული და საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენელთა შეხვედრებს და ერთობლივი სამომავლო გეგმების დასახვას.

2004-2006 წწ. – შენება მშვიდობისათვის, USAID–სთან თანამშრომლობით. პროექტი მიმართულია დემოკრატიისა და თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის ღირებულებების სწავლებაზე და გულისხმობს საქართველოს მთელს ტერიტორიაზე 15 000 მოზარდთან მუშაობას მათი პიროვნული ზრდისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩაოყალიბების კუთხით.

2002-2006 წწ. – საქართველოს რეგიონების (სამეგრელო და იმერეთი) და თბილისის არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა ინტერკოლეგიალური კონსულტირების ქსელის შექმნა. ჰოლანდიურ ორგანიზაციებთან - ფონდი-ანტარესი (Antares Foundation) და ფონდი კორდაიდი (CORDAID foundation) – თანამშრომლობით. სხვადასხვა წლებში ჩვენს ჰოლანდიელ პარტნიორებთან ქ-ნ თინიკე პეტერსონსა და ქ-ნ ვინიფრედ საიმონთან ერთად ადამიანის რესურსების განვითარების ფონდმა დანერგა ინტერკოლეგიალური კონსულტირების მეთოდოლოგია და შექმნა სამეგრელოს, იმერეთისა და თბილისის არასამთავრობო ორგანიზაციების კოლეგათა ურთიერთკონსულტირების ქსელი, რომელშიც გაერთიანებულია 30-მდე ორგანიზაცია, მათ შორის: ასოციაცია ათინათი (ზუგდიდი), ფონდი ერანი (ზუგდიდი), ნდობა, ტრენინგებისა და კონსულტირების ცენტრი, თანადგომა, ბავშვი და გარემო, ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი და სხვა ორგანიზაციები.

**პროექტი "თქვენი აფხაზეთი"**
ჩვენი პოვნა შეგიძლიათ: გაზეთი **"24 საათი"**, ყოველ ოთხშაბათს
და საიტზე - www.yourabkhazia.ge;
forum.yourabkhazia.ge

პროექტის მხარდამჭერი conciliation resources

## სახალხო დიპლომატია და სამოქალაქო დიალოგი

*ლოგიკური და ბუნებრივია, რომ სისხლისმღვრელი ომის შემდეგ იშვას ორი სამშვიდობო ცნება და მოქმედება – სახალხო დიპლომატია და სამოქალაქო დიალოგი, მაგრამ ისე სწრაფად, როგორც ეს აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებით მოხდა, ალბათ, არსად ყოფილა. სისხლით გაყოფილი და სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებული ქართველები და აფხაზები ომის დამთავრებიდან მეორე წელსვე დაუკავშირდნენ ერთმანეთს, მართალია, კანტი-კუნტად და თითო-თითოდ, მაგრამ – მაინც. სულ მალე ენგურს გაღმა-გამოღმა დარჩენილ ორ ნათესავ ერს შორის სახალხო დიპლომატია ისეთი შესამჩნევი გახდა, რომ საქმეში არასამთავრობო სექტორი ჩაერთო და სამოქალაქო დიალოგიც დაიწყო. მას შემდეგ 10 წელი გავიდა და ყველასათვის საინტერესო უნდა იყოს, რა მოიტანა ხალხის სიბრძნემ და არასამთავრობო ორგანიზაციების მეცადინეობამ. სწორედ ამ თემას მიეძღვნა მამუკა ყუფარაძის მიერ ორგანიზებული მორიგი დიალოგი "სტუდია რე"-ში, სადაც მიწვეულნი იყვნენ "შერიგების რესურსების" ექსპერტი პაატა ზაქარეიშვილი, "ჰენრიხ ბიოლის" ფონდის წარმომადგენელი ვალტერ კაუფმანი, ტყვეთა გაცვლისა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მოძიების სახელმწიფო კომისიის წარმომადგენელი ვლადიმერ დობორჯგინიძე, ყოფილი მეომარი დავით დიდბერიძე, "ომისა და მშვიდობის გაშუქების" ინსტიტუტის ხელმძღვანელი მარგარიტა ახვლედიანი, დევნილი თეა გასვიანი და აფხაზეთის დეპუტაციის წარმომადგენელი, პარლამენტის ყოფილი ვიცე-სპიკერი ვახტანგ ყოლბაია.*

ზაზა ფაჩუაშვილი

შეხვედრის მონაწილეებს წამყვანი რიგრიგობით უსვამდა კითხვებს აღნიშნული თემის გარშემო, მაგრამ ჩვენ თითოეული მათგანის ნათქვამს თავი ერთად მოვუყარეთ.

**პაატა ზაქარეიშვილი:** "სახალხო დიპლომატია და სამოქალაქო დიალოგი ყველა შემთხვევაში წინ გადადგმული ნაბიჯია. 1995-1996 წლებიდან მოყოლებული, ქართველებმა და აფხაზებმა ხელისუფლების დაუკითხავად დაიწყეს ურთიერთობა და შეხვედრები 3-4 თვეში ერთხელ იმართებოდა. ეს იყო სამოქალაქო დიალოგის დასაწყისი, თორემ სახალხო დიპლომატია ომის დამთავრებისთანავე ჩაისახა. ჩვენი მთავარი მიზანია, დაპირისპირებულ მხარეებს შორის აზრთა უშუალო გაცვლა-გამოცვლა და არა მასმედიით მიღებული ინფორმაციებით დასკვნების გამოტანა.

არასწორია აზრი, რომ ყოველივე ამას არასამთავრობო სექტორი გრანტების მოზიდვისთვის აკეთებდა. სად იყო გრანტი ომის დროს და ომის შემდეგ, როცა არასამთავრობოები ჰუმანიტარულ საქმიანობას ვეწეოდით. გრანტები 1998 წლიდან წამოვიდა, როცა საერთაშორისო საზოგადოება დარწმუნდა, რომ აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებისთვის ხელისუფლება არაფერს აკეთებდა და ამ საქმეში დახმარება არასამთავრობო სექტორს სჭირდებოდა.

როდესაც საუბარია შედეგებზე, არ უნდა დაგვავიწყდეს, ვის რა ევალება. არასამთავრობო სექტორი ამზადებს ნიადაგს მოლაპარაკებებისათვის, ქმნის კეთილგანწყობილ ატმოსფეროს, მაგრამ მოლაპარაკებები ხელისუფლებამ უნდა აწარმოოს და შედეგებზეც მან აგოს პასუხი. რა გაეწყობა, თუ ჩვენ ვხნავთ, მაგრამ მთესველი არ ჩანს. მაგალითად, ჩვენ წარმოვადგინეთ აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების ჩვენეული კონცეფცია, რომელიც საზოგადოების ყველა დონეზე განიხილეს, ხელისუფლების გარდა.

მხოლოდ არაკომპეტენტურ და არასერიოზულ ადამიანს შეუძლია განაცხადოს, რომ აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების სამშვიდობო რესურსი ამოწურულია. სინამდვილეში, შეიძლება ითქვას, სამშვიდობო პროცესი ჯერ არც დაწყებულა. დღეს სრულიად გაურკვეველი ვითარებაა – არც ომია და არც მშვიდობა. არადა, აუცილებელია სამშვიდობო პროცესის ნაბიჯ-ნაბიჯ დაწყება და ეს პირველი ნაბიჯი ჩვენ, ქართულმა მხარემ უნდა გადავდგათ. აფხაზები დღემდე მეკითხებიან: რას აპირებს თქვენი ხელისუფლება ამ კონცეფციასთან დაკავშირებითო. რა ვუპასუხო?"

**ვახტანგ ყოლბაია:** "სახალხო დიპლომატია პანაცეა არ არის, მაგრამ მის გარეშე კონფლიქტი ვერ მოგვარდება. სასურველია, რომ სახალხო დიპლომატია და სამოქალაქო დიალოგი უფრო ფართოდ იყოს გაშლილი. საბედნიეროდ, ჩვენს თხოვნას "შერიგების რესურსების" წარმომადგენელი ჯონათან კოენი გამოეხმაურა და დაიწყო ქართულ-აფხაზური შეხვედრების ციკლი – ე.წ. "შლაინინგის ფორმატი". 15-16 შეხვედრა მართლაც გაიმართა, მაგრამ მე მხოლოდ ბოლოს დავესწარი, ვინაიდან აფხაზები ჩემთან შეხვედრის წინააღმდეგნი იყვნენ. ბოლოს კი შეხედულება შეიცვალეს და ეს არის დადებითი მოვლენა. სამწუხაროდ, ჩვენი საზოგადოება ჯერ კიდევ არ არის მზად, გაითავისოს აფხაზეთში შექმნილი რეალობა. არადა, ჩვენ უნდა დავძლიოთ საკუთარი თავი. სხვათა შორის, დღევანდელ ხელისუფლებას ნამდვილად აქვს შანსი, რეალური ნაბიჯები გადადგას და შედეგს მიაღწიოს. შეიძლება, ეს საზოგადოებისთვის არაპოპულარული ნაბიჯები იყოს, მაგრამ შედეგი წინ დაგვხვდება."

**მარგარიტა ახვლედიანი:** "ჩვენი საქმიანობის შედეგია, ხალხი ერთმანეთს ესაუბრებოდეს. ქართულმა საზოგადოებამ არ იცის, რითი ცხოვრობს აფხაზური საზოგადოება და პირიქით. ამიტომაც ვუშვებთ გაზეთს – "პანორამას", რომელშიც ქართველი და აფხაზი ჟურნალისტები თანამშრომლობენ.

აფხაზები ელიან, რომ ქართული მხარე, ბოლოს და ბოლოს, გადადგამს პირველ ნაბიჯს. საჭიროა საზღვრების გახსნა, რათა აფხაზები იზოლაციაში კი არ იყვნენ, არამედ სივრცეში, რომელშიც შეიძლება ადამიანური ცხოვრება – სწავლა, ბიზნესის წარმოება და ა.შ."

**ვლადიმერ დობორჯგინიძე:** "ჩვენ სულ გვაწუხებდა, შევძლებდით თუ არა აფხაზებთან საერთო ენის გამონახვას. თქვენ წარმოიდგინეთ, რომ შევძელით და მათი ნდობა მოვიპოვეთ. ჩვენ და აფხაზებს ერთმანეთის გვჯერა და მოლაპარაკებები ყოველთვის სინდისის კოდექსით მიმდინარეობს. სამწუხაროდ, ქართული მხარე აფხაზურს ვერ აწვდის კონფლიქტის მოგვარების ვარიანტებს, რომელზეც აფხაზები იმსჯელებდნენ და თავის მოსაზრებას მოგვაწვდიდნენ. საერთო ენის გამონახვა ასე უფრო შესაძლებელი გახდებოდა."

**დავით დიდბერიძე:** "ჩვენ, ყოფილი ქართველი მეომრები შევხვდით აფხაზ მეომრებს, შევხვდით და შევრიგდით. სამწუხაროდ, აფხაზები ჯერ კიდევ ვერ უწოდებენ თავს ყოფილ მეომრებს, როგორც ჩვენ. იმიტომ, რომ არ გვენდობიან. ჩვენ აფხაზებს კლიშე დავადეთ – აფხაზი ქართველის მკვლელია. სანამ ამ კლიშეს არ მოვხსნით, არაფერი გამოვა.

ცხადია, მეომრისათვის დაპირისპირებულ მხარესთან შეხვედრა რთული უნდა იყოს, მაგრამ ასე არ მოხდა. ჩვენ განსაკუთრებულად გავუგეთ ერთმანეთს. ჩვენი შეხვედრების ძირითადი აზრია – ავიღეთ იარაღი და ამისთვის ერთმანეთს ბოდიშს არ ვუხდით, მაგრამ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ჩვენს შვილებს ომი აღარ დასჭირდეთ. ჩვენი მიზანია, სისხლი აღარ დაიღვაროს."

**ვალტერ კაუფმანი:** "სახალხო დიპლომატიის მთავარი ამოცანა ერთმანეთის მოსმენაა. ყველა კონფლიქტს ახასიათებს მიზეზთა სიმრავლე, მაგრამ ისეთი საზოგადოებრივი კლიმატი უნდა შეიქმნას, რომელშიც კომპრომისის გამოძებნა შესაძლებელი იქნება. ეს შესაძლებელია. შეიძლება, ვინმე ფიქრობდეს, რომ კონფლიქტს ომის გზით მოაგვარებს, მაგრამ ეს არ არის სწორი. ომი შეიძლება მოიგო, მაგრამ კონფლიქტი მოუგვარებელი დარჩეს."

**თეა გასვიანი:** "აფხაზების სურვილი დამოუკიდებლობაა, მაგრამ ისიც ცხადია, რომ აფხაზები ჩვენთან ურთიერთობითაც დაინტერესებულები არიან. ჩემი მშობლები სოხუმში ცხოვრობენ, მიწევს მათთან ჩასვლა და ეს ნამდვილად ვიცი. თუმცა, ისიც ვიცი, რომ აფხაზებს შიშის სინდრომი აქვთ და ამის გათვალისწინება აუცილებელია."

## ჩვენ ყველანი ერთად ვცხოვრობდით

ზაზა ფაჩუაშვილი

*ჩვენი მკითხველი ბატონ ლორენცო შარანგიას კარგად იცნობს. მასთან ინტერვიუ "თქვენმა აფხაზეთმა" გასული წლის სექტემბერში გამოაქვეყნა. მოსკოვში მცხოვრები ოჩამჩირელი კაცის ცხოვრებისა და სამშვიდობო მოღვაწეობის გარდა, ისიც გაუწყეთ, რომ სულ მალე გამოვიდოდა ლორენცო შარანგიას მოგონებების წიგნი, რომელმაც კეთილი და გულისხმიერი ადამიანების მეცადინეობის შედეგად, ავტორისაგან სრულიად მოულოდნელად იხილა დღის სინათლე. თავდაპირველად ხელნაწერი მის ნათესავს, ბატონ ამური შარანგიას წაუკითხავს, რომელსაც ავტორის სიძისთვის, მწერალ გურამ ოდიშარიასათვის უჩვენებია და საქმეც დაძრულა. ავტორის წინააღმდეგობა ამ ორი ადამიანის ერთ ფრაზას დაუძლევია - ასეთი წიგნები ძალიან მნიშვნელოვანია ქართველთა და აფხაზთა შერიგებისთვისო. ორი მონათესავე ხალხის შერიგება კი ისეთი საქმეა, რომელსაც ბატონი ლორენცო შარანგია მთელი ცხოვრება ემსახურება.*



*ლორენცო შარანგია მარცხნივ და გურამ ოდიშარია მარჯვნივ.*

წიგნის – "მსოფლიოში საუკეთესო ქალაქის" პრეზენტაციას, რომელიც რესტორან "ძველ სახლში" შედგა, ესწრებოდნენ ლორენცო შარანგიას მეგობრები, ახლობლები, ნათესავები და ის ადამიანები, რომლებიც აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებისათვის დღენიადაგ ილვწიან. პრეზენტაცია წიგნის რედაქტორს გურამ ოდიშარიას მიჰყავდა, რომელმაც ჩვეული გულწრფელობით დაახასიათა ავტორი, წიგნი, მისი გმირები, და მკითხველს კიდევ ერთი მეგობარი-წიგნის გამოსვლა აუწყა.

გურამ ოდიშარია: **"ქალბატონებო და ბატონებო, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თქვენ დღეს ამ წიგნის პრეზენტაციაზე მობრძანდით. ქვეყანაზე, ცოტა არ იყოს, სულიერი გამყინვარება შეინიშნება ადამიანებში და ამ სიცივის გალღობის ერთი ძველთაძველი საშუალებაა, დაწერო წიგნი. დღეს არის პრეზენტაცია წიგნისა, რომელსაც ჰქვია "მსოფლიოში საუკეთესო ქალაქი". ჩვენთვის, აფხაზეთში მცხოვრებლებისთვის ძალიან კარგად არის ცნობილი ფრაზა -** Самый лучший город в мире – Это город Очамчире. **წიგნში თქვენ შეხვდებით ოჩამჩირელ კოლორიტებს – აფხაზ ინგიშტერს, ქართველ ქიშას (ეს ორი გმირია წიგნის ყდაზეც), ანდრეი ბობუას, ოთარ ბჟანიას, სოსო ლაგვილავას და სხვებს. ლორენცო შარანგიამ წიგნი შეადგინა თავისი წესითა და რიგით – ჯერ მხიარული, პატარ-პატარა ამბებით, შემდეგ - სევდიანი და ჭკუისსასწავლებელი მოთხრობებით, ქართველთა და აფხაზთა ურთიერთობების გადმოცემით და ღმერთზე და სიყვარულზე, წამიერებასა და მარადისობაზე საუბრით. ავტორი ბოლოს გვთავაზობს "დაუვარცხნელ აზრებს" და ინტერვიუს მასთან, რომელიც "24 საათში" გამოქვეყნდა. დარწმუნებული ვარ, რომ ეს იქნება მეგობარი წიგნი მკითხველისთვის და გზამკვლევი ქართულ-აფხაზური ურთიერთობებისთვის."**

რედაქტორის შემდეგ შესამჩნევი ემოციურობით ისაუბრა წიგნის მეორე სულისჩამდგმელმა ამური შარანგიამ, რომელმაც გამოთქვა სურვილი და იმედი იმისა, რომ მალე ლორენცო შარანგიას მოგონებათა მეორე კრებულსაც ვიხილავთ.

ამური შარანგია: **"ამ კაცს მისი ნიჭისა და უნარის პატრონს ყველგან შეეძლო ეცხოვრა და ეღვაწა, მაგრამ მან აფხაზეთი აირჩია იმიტომ, რომ აფხაზეთის გარეშე ცხოვრება არ შეეძლო. იგი სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს და აღმოჩნდა მოსკოვში. მწერლობა არც კი დასიზმრებია, მაგრამ ისევ აფხაზეთზე ფიქრმა აალებინა ხელში ფურცელი და კალამი. როცა მისი ნაწერები წავიკითხე, მაშინვე გამიჩნდა აზრი, რომ ეს უნდა გამოქვეყნებულიყო და ბატონ გურამ ოდიშარიას ვანახე, რომელმაც ამ აზრს ფრთები შეასხა. როგორც იქნა, ბატონი ლორენცოც დავითანხმეთ. წიგნი იმაზე უკეთესი გამოვიდა, ვიდრე მეგონა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, შესავალია დაწერილი ისეთი სითბოთი, რომ მარტო ამისთვის ღირდა ამ წიგნის გამოცემა. რაც შეეხება დანარჩენს, კითხვისას თვალს ვერ მოწყვეტთ და სულ იმის განცდა გექნებათ, ნეტავ არ დასრულდესო. ქართველებსა და აფხაზებს შორის ეს იქნება საუკეთესო შუამავალი."**

ავტორმა მოკრძალებით გაიხსენა, თუ როგორ შეიქმნა წიგნი და დიდი მწუხარება გამოთქვა იმის გამო, რომ თავის დროზე ქართველებმა და აფხაზებმა მოახლოებული უბედურების თავიდან აცილება ვერ შეძლეს, თუმცა, მისი თქმით, მომავლის იმედი და ერთმანეთისკენ სავალი გზები არსებობს და ჩვენ ეს გზები უნდა ვეძებოთ.

ლორენცო შარანგია: **"აფხაზებთან ერთად ვიზრდებოდი, ნათესავები, მეგობრები აფხაზები მყავს და კარგად ვგრძნობდი, რომ რაღაც ცუდი მოხდებოდა. სამწუხაროდ, ამის შეჩერება ვერ შევძელით და დროებით ბოროტმა იმარჯვა. თუ გინდა, რომ დაბრუნდე, უნდა იცოდე და გახსოვდეს ის, რაც იყო, თუმცა მისი აღდგენა ძნელია. ამიტომ ვიფიქრე, ჩავწერ ჩემს შთაბეჭდილებებს, მოგონებებს შვილიშვილებისა და მათი შვილებისთვის. ბაგა-ბაღიდან მოყოლებული, სამწუხაროდ, ყველაფერი რუსულად მაქვს დამთავრებული და ჩანაწერებიც რუსულად გავაკეთე. ჩემმა სიძე-ბატონმა გურამ ოდიშარიამ კი დამარწმუნა, რომ ჩემი მოგონებების წიგნად გამოცემა ქართველთა და აფხაზთა შერიგების საქმეს წაადგებოდა და დავთანხმდი მის გამოცემას. ყველაფერი ერთი სულის ამოთქმითაა დაწერილი. საუბარია ჩემს ნათესავებზე, მეზობლებზე, მეგობრებზე, მათ შორის - აფხაზებზე, სომხებზე... ჩვენ ყველანი ერთად ვცხოვრობდით.**

**ახლა ისეთი სულისკვეთებაა აფხაზებში, რომ ქართველებთან შერიგებაზე ლაპარაკი სიკვდილის ტოლფასია, მაგრამ ვილაცამ უნდა თქვას სიმართლე, რომ რაც მოხდა, შეცდომა იყო და უნდა გამოვნახოთ ურთიერთობის ისეთი ფორმა, როცა აფხაზებსაც ექნებათ დამოუკიდებლობა და საქართველოც აღიდგენს თავის ტერიტორიულ მთლიანობას. ეს გზა უნდა ვეძიოთ."**

პრეზენტაციაზე კიდევ არაერთი გამოსვლა და თბილი სიტყვა მოვისმინეთ, მაგრამ, ვფიქრობთ, ყველაფერს წიგნიდან ერთი მოთხრობის დაბეჭდვა სჯობს. მანამდე კი ერთ ცნობასაც მოგაწვდით. საქართველოს პრეზიდენტის წარმომადგენელმა აფხაზეთის საკითხში ზურაბ ლაკერბაიამ როგორც ბრძანა, ამ წიგნს აფხაზეთში უკვე ელოდებიან და სულ მალე, როცა რუსული ვარიანტიც გამოვა, მიიღებენ კიდეც.

## Здрасти, Ингиштер!

ლორენცო შარანგია

**ნაწყვეტი წიგნიდან "მსოფლიოში საუკეთესო ქალაქი"**

მამაჩემის სახლის წინ სტადიონი იყო, სტადიონისაგან ხელმარცხნივ კი ქართული სკოლა იდგა. ადრე მთელი ეს ადგილი ეკლესიას ეკუთვნოდა და, ამიტომაც, სკოლისა და სტადიონის ტერიტორიაზე ხარობდნენ ტანმაღალი ცაცხვები, ფიჭვები, აკაციები, მაგნოლიები, კიპარისები...

სკოლის მთელ მეურნეობას და მის შესანიშნავ ბაღს ჩვენი მეზობელი ანტო კუპრეიშვილი განაგებდა. ანტო ბახუსის დიდი მოყვარული არ იყო, მაგრამ სხვების, განსაკუთრებით კი, მეზობლების გამასპინძლება მას უდიდეს სიამოვნებას ანიჭებდა. თანაც, სახლში ყოველთვის ჰქონდა საკუთარი ხელით დაწურული ღვინო და სამგზის გამოხდილი ჭაჭა.

ანტო გამონაკლისს წარმოადგენდა, თორემ ჩვენს პატარა ქუჩაზე გვერდი-გვერდ სახლობდნენ მთელს ქალაქში სახელგანთქმული, ბახუსის დიდი მოყვარული ოჩამჩირელები. აი, ისინი ღირსეულად აფასებდნენ ანტოს პროდუქციას.

უქმე დღეებში, განსაკუთრებით კი - კვირაობით, ისინი შეთქმულებივით დათქმულ დროს იკრიბებოდნენ სკოლის ბაღში. თავდაპირველად, თითქოს მოთელვას იწყებენო, სხვადასხვა ამბავზე წაისაუბრებდნენ და შემდეგ დინჯად, დღესასწაულის მომლოდინე ადამიანების იერით მიემართებოდნენ სკოლის სასწავლო სახელოსნოსაკენ და იქ უკვე ზოგი ღვინით, ზოგიც – ჭაჭით, განადიდებდა უფალს და ასევე გულმხურვალე მადლობას ლოცვასავით შეჰლაღადებდა ანტოს, მათი ზეიმის შემოქმედს.

ხშირად მამაჩემიც, რომელიც დილით ზღვაზე სასეირნოდ და სავარჯიშოდ, ანუ ჯანმრთელობის გასაკაჟებლად გაგვიცილებია, რამდენიმე საათში ანტოს "დღესასწაულიდან" ფრიად გამხიარულებული და ცოტათი ფეხარეული დაგვბრუნებია ხოლმე.

ერთხელაც ჩემი ძვირფასი და საყვარელი მეზობლები: კუჩურ კობახია, მიშა ჟუკოვსკი და ჯოჯო წულაია (ღმერთმა განანათლოს მათი სულები) სკოლის ბაღიდან გამოვიდნენ და ერთმანეთთან დამშვიდობების წინ, ანტოს "პროდუქციით" გალაღებულები და ბედნიერები, ენამახვილობდნენ და ხუმრობდნენ. ამ დროს მათ სახლიდან ის-ისაა გამოსული ინგიშტერი მიუახლოვდა, რომელსაც სრულებით არ სჭირდებოდა გონების დაძაბვა იმის გამოსარკვევად, თუ რატომ იყვნენ ასე გამხიარულებულები მისი მეზობლები – აშკარა იყო, რომ მათ, კვირადღის გრაფიკის შესაბამისად, დილის "დოზა" უკვე მიღებული ჰქონდათ, მაგრამ ინგიშტერისთვის ყველაზე გულდასაწყვეტი ის იყო, რომ ეს პროცედურა მის გარეშე ჩატარდა.

ამ დროს კოტიკ ლაბახუა, რომელიც საკმაოდ იყო შეხურებული ანტოს ჭაჭით, პათოსურად, ძალიან ხმამაღლა და გაჭიანურებულად, აფხაზურად მიესალმა ინგიშტერს. ასეთი სახის მისალმება, რა თქმა უნდა, არ შეეფერებოდა აფხაზური ეთიკის დაუწერელ კანონებს, რომელიც ასაკით უმცროსისაგან მოითხოვს უფროსისადმი ხაზგასმულად მოწიწებულ დამოკიდებულებას და არ უშვებს მისგან ფამილარობის მსუბუქ ფორმასაც კი.

კოტიკ ლაბახუასაგან ასეთი მისალმების მშვიდად მოსმენა იმ დილით სკოლის ბაღისა და ანტოს "დღესასწაულის" გარეშე დარჩენილი, ისედაც ხასიათგაფუჭებული ინგიშტერისათვის მხოლოდ ზეგარდმო ძალების წყალობით გახდა შესაძლებელი.

ინგიშტერი აუჩქარებლად მოვიდა მეზობლებთან, მშვიდად შეხედა კოტიკს და ყველას მეგრულად მიესალმა. შემდეგ წამით შეყოვნდა, დაფიქრდა – აფხაზურად ეპასუხა კოტიკისათვის თუ მეგრულად, ბოლოს მაინც მეგრული არჩია, რათა მისი პასუხი ყველას კარგად გაეგო და კოტიკს მიუბრუნდა:

- ვო, კოტიკ, ბაბა, ძველად აფხაზი კაცი ამსიგრძე, ციდან ვარსკვლავებს რომ ჩამოგლეჯს, ისეთ გამარჯობას რომ იტყოდა, მაშინ მას უკვე განსაზღვრული ჰქონდა, როგორ ეცა პატივი იმ კაცისათვის – ოთხფეხას თუ არ დაკლავდა, ორფეხას მაინც წააცლიდა თავს. შენ კი არც პირველის გამკეთებელი ხარ და არც მეორისა. მაინც თითქმის გარუსებულები ვართ უკვე და არ გერჩია, მარტივად, აფხაზურად კი არა, რუსულად გეთქვა ჩემთვის ამ დილით გამარჯობა - Здрасти, Ингиштер!

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო აცხადებს ტენდერს საძილე ინვენტარის შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.**

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში, რომლის რეკვიზიტებია: ეროვნული ბანკი, სახაზინო კოდი; 302003000 ანგარიშისწორების ანგარიში N200122900მიუთითოთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სატენდერო მოსაკრებელი და წარმოადგინოთ თანხის დამადასტურებელი ქვითარი შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გ. გულუას ქ. N8 ოთახი 401, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.
2. მისაწოდებელი საქონლის რაოდენობა.

**ლოტი I - პლედი - 4000 ცალი. (შალი არა უმცირესი 85%, ზომა 2.5X1.40 სმ**

**ლოტი II - თეთრეული - 7500 კომპლექტი.(ერთი ბალიშის პირი (50X60სმ) და ორი ზეწარი (216X145სმ)**

**ლოტი III -პირსახოცი "ვაფლის" - 7500 ცალი.(90X40სმ)**

**ლოტი IV -პირსახოცი "ვაფლის"- 5000 ცალი. (45X40სმ)**

3. მიწოდების ადგილი - ქ. თბილისი, ქიზიყის N5.
4. მიწოდების სასურველი ვადები: ეტაპობრივად შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად ხელშეკრულების გაფორმებიდან 30.06. 06.წ
5. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) 15 თებერვლის 10. საათიდან 10.30. საათამდე, მისამართზე: ქ. თბილისი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, გ. გულუას ქ. N8.
6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

ა) ცნობა საჯარო რეესტრიდან, რომ მის ქონებაზე არ არის ყადაღა დადებული;

ბ) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

6. წარმოდგენილ უნდა იქნეს სუბკონტრაქტორის (არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემებიც.
7. პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამებიან სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.
8. დაფინანსების წყარო -- სახელმწიფო ბიუჯეტი.
9. ტენდერის შედეგად შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.
10. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ალექსი თაბუაშვილი, ტელ. 75-47-74, 899-23-46-95

**სატენდერო კომისია**

1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

# განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო აცხადებს ტენდერს მშრალი საკვები პროდუქტების შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ ჩარიცხონ სატენდერო მოსაკრებელი 200(ორასი) ლარის ოდენობით ფინანსთა სამინისტროს სახაზონო სამსახურში, რომლის რეკვიზიტებია: ეროვნული ბანკი, სახაზინო კოდი:302003000, ანგარიშსწორების ანგარიში N200122900, მიუთითოთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სატენდერო მოსაკრებელი და წარმოადგინოთ თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, ქ. თბილისი გ. გულუას N8 ოთახი 401, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.
2. მისაწოდებელი საქონლის რაოდენობა.

| ლოტი | საქონლის დასახელება | განზომილება | რაოდენობა |
|---|---|---|---|
| ლოტი 1 | პური (მშრალი) - დაფასოებიული 1000გრ | კოლოფი | 7500 |
| ლოტი 2 | მდნარი ყველი (ფირფიტები) 200გრ. - დაფასოებული | კოლოფი | 3750 |
| ლოტი 3 | ძეხვი - 250გრ | კგ | 1875 |
| ლოტი 4 | შოკოლადის ნაწარმი | კგ | 8250 |
| ლოტი 5 | ხორცის კონსერვი 200გრ | ქილა | 7500 |
| ლოტი 6 | ხორცის კონსერვები ასორტიმენტში | კგ | 49000 |
| ლოტი 7 | თევზის კონსერვი | კგ | 35000 |
| ლოტი 8 | პაშტეტი (ხორცის) | კგ | 12000 |
| ლოტი 9 | ნატურალური ხილის წვენი | ლიტრი | 27500 |
| ლოტი 10 | ორცხობილა | კგ | 18600 |
| ლოტი 11 | ყავა (უნალექო) | კგ | 372 |
| ლოტი 12 | შაქარი-რაფინადი (საგზაო) | კგ | 3720 |
| ლოტი 13 | ხილფაფა | კგ | 2000 |

3. მიწოდების ადგილი - ქ. თბილისი, ქიზიყის ქ. N5.

4. მიწოდების ვადები ეტაპობრივად შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, მოთხოვნიდან 2006 წლის ბოლომდე.

5. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) 15 თებერვლის 10.00 საათიდან 11.30 საათამდე, მისამართზე: ქ. თბილისი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, გ. გულუას ქ. N8.
6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

ა) ცნობა საჯარო რეესტრიდან, რომ მის ქონებაზე არ არის ყადაღა დადებული.

ბ) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

7. პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამებიან სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.
8. ტენდერის შედეგად შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

**9.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ალექსი თაბუაშვილი, ტელ. 75-47-74, 899-23-46-95

**სატენდერო კომისია**

1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

## ცვლილება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ტენდერში (ინტერნეტთან კავშირით უზრუნველყოფის შესყიდვაზე) 2006 წლის 10 იანვრის გაზეთ "24 საათში" შეტანილ იქნას ცვლილებები:

კერძოდ:

ამოღებულ იქნას III ლოტი.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისგან: ალექსი თაბუაშვილი, ტელ.75-47-74, მობ. 8(99) 23-46-95.

**სატენდერო კომისია**

## ცვლილება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ტენდერში (მცირეფასიანი საოფისე ავეჯის შესყიდვაზე) 2006 წლის 14 იანვრის გაზეთ "24 საათში" შეტანილ იქნას ცვლილებები:

კერძოდ:

შესყიდვის ობიექტს დაემატოს მე-3 ლოტი.

| | საქონლის დასახელება | ზომა | რაოდენობა |
|---|---|---|---|
| ლოტი 3 | ერთიარუსიანი ტუმბო | 65X50X45 | 58 |
| | კომპიუტერის მაგიდა | 130X70X75 | 20 |
| | ტუმბო | 65X58X80 | 1 |
| | კარადა | 100X15X45 | 1 |

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისგან: ალექსი თაბუაშვილი, ტელ.75-47-74, მობ. 8(99) 23-46-95.

**სატენდერო კომისია**

# ქალაქ თბილისის მერიის აპარატი

**1.** ქალაქ თბილისის მერიის აპარატი აცხადებს ღია, ორეტაპიან ტენდერს ქ. თბილისში, შარტავას ქ. N7-ში მდებარე შენობის მდგრადობის გამოკვლევის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**შესყიდვის ობიექტია შემდეგი მომსახურება:**
**- შენობის რკინა-ბეტონის კონსტრუქციების სრული დიაგნოსტიკა;**
**- არსებული ტექნიკური დოკუმენტაციის შესწავლა;**
**- შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნებისა და რეკომენდაციების შედგენა.**

**2.** მომსახურების გაწევის სავალდებულო ვადა - ხელშეკრულების გაფორმებიდან 25 დღის განმავლობაში.

**3.** სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, 2006 წლის 15 თებერვლის 17.00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქალაქ თბილისი, თავისუფლების მოედანი N2, ოთახი N014, ქ. თბილისის მერიის აპარატი. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

**4.** სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს. მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე:

ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში, არასაგადასახადო (მთაწმინდა-კრწანისი)
ეროვნული ბანკი
ანგ. N 200122900
ბანკის კოდი: 220101107
სახაზინო კოდი: 300034040

**5.** პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და პირველადი სატენდერო წინადადება ღირებულების მითითების გარეშე, ერთ დახურულ კონვერტში უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 16 თებერვლის 1000 სთ-დან 1700 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ქალაქ თბილისი, თავისუფლების მოედანი N2, ოთახი N014, ქ. თბილისის მერიის აპარატი.

**6.** საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებია:

**6.1 იურიდიული პირებისათვის:**

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

დ) ინფორმაცია ძირითად თანამდებობებზე მომუშავეთა კვალიფიკაციის შესახებ;

**6.2 ფიზიკური პირებისათვის:**

ა) ცნობა უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

ბ) ცნობა, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

გ) ინფორმაცია კვალიფიკაციის შესახებ.

**6.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:**

**ა)** ინფორმაცია ბოლო 5 წლის მანძილზე გაწეული ანალოგიური მომსახურების შესახებ.

ბ) ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ

**შენიშვნა:** პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ საკვალიფიკაციო მონაცემები დედნის სახით ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს თარგმანი ქართულ ენაზე, ნოტარიულად დამოწმებული სახით.

**7. ინსტუქცია პირველადი სატენდერო წინადადების შედგენის წესის შესახებ:**

პირველადი სატენდერო წინადადება შედგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისად და უნდა შეიცავდეს ინფორმაციას მომსახურების გაწევის მეთოდოლოგიისა და გამოყენებული მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების შესახებ.

პირველადი სატენდერო წინადადების შეფასებისას მხედველობაში მიიღება მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებისა და შემოთავაზებული მეთოდოლოგიის ეფექტურობა.

**8.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: ეკა ბასილაშვილი და ნინო დოლიძე, ტელ: (995-32) 98-82-14, (995-32) 93-37-90, ან მისამართზე: ქალაქი თბილისი, თავისუფლების მოედანი N2, ქ. თბილისის მერიის აპარატი, ოთახი N014.

**სატენდერო კომისია**

# სატენდერო განცხადება

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დეპარტამენტი აცხადებს ტენდერს საწვავისა და საცხებ-საპოხი მასალების შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობისათვის ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტი:

| ლოტი | შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები | რაოდენობა (ლიტრი) |
|---|---|---|
| ლოტი N1 | საავტომობილო საწვავი "სუპერი" - ოქტანური რიცხვით არანაკლებ 98; | 5 000 |
| | საავტომობილო საწვავი "ნორმალი" - ოქტანური რიცხვით არანაკლებ 92; | 55 000 |
| | დიზელის საწვავი ლ-40 უმაღლესი ხარისხის - გოგირდის შემცველობით, 0.2%-მდე; | 14 000 |
| ლოტი N2 | დიზელის ძრავის ზეთი - სინთეთიკური - SAE - 5 - W40 | 70 |
| | ბენზინის ძრავის ზეთი - მინერალური - SAE – 15 – W 40 | 200 |

2. შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, ხელშეკრულების დადების დღიდან, 2006 წლის 31 დეკემბრამდე (თანამდევი მომსახურებით):

- ლოტი N1 საბარათო (ტალონების) სისტემით;
- ლოტი N2 შემსყიდველის საჭიროების შესაბამისად.

3. პრეტენდენტებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შეეძლებათ სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, 2006 წლის 15 თებერვლამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, მ. აბაშიძის გამზირი N41, მე-3 სართულზე მე-20 კაბინეტში, 17.00 საათამდე.

სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე.

4. სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორას) ლარს. მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე:

სახაზინო კოდი: 300924040 - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი (საწვავის შესყიდვასთან დაკავშირებით) - შემსყიდველი: აჭარის ა.რ. მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დეპარტამენტი)

დანიშნულება: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის ცენტრალური შემოსულობები

5. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადებები (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) ქართულ ენაზე (დალუქული და ხელმძღვანელი პირის მიერ ხელმოწერილი კონვერტის მეშვეობით) უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 16 თებერვლიდან 18 თებერვლამდე, ქ. ბათუმი, მ. აბაშიძის გამზირი N41, მე-3 სართულზე მე-20 კაბინეტში, 11.00 საათიდან 17.00 საათამდე.

6. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებლად პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილ უნდა იქნეს შემდეგი დოკუმენტები:

*ა) იურიდიული პირების მიერ:*

- რეკვიზიტები;
- რეგისტრაციის შესახებ დადგენილება/ბრძანება
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- ცნობა სასამართლოდან რომ არ მიმდინარეობს მის მიმართ გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;
- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი ლიკვიდაცია ან რეორდგანიოზაცია.

*ბ) ფიზიკური პირების მიერ:*

- ცნობა შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან, მისი ქმედუნარიანობის შესახებ (უნდა იყოს ქმედუნარიანი);
- ცნობა სასამართლოდან, რომ მისი მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

გ) საკვალიფიკაციო მოთხოვნები ეხება აგრეთვე სუბ-კონტრაქტორებს, თუ ისინი ჩართულნი იქნებიან სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესრულების პროცესში.

7. გამოყენებულ იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი, საბანკო გარანტიის სახით, ხელშეკრულების ღირებულების 2 %-ის ოდენობით.

8. საკონტაქტო პირები: მინურ ტუნაძე - ტელ/ფაქსი (888222) 74377, მობ: (893) 722-300; თეა შანიძე - ტელ: (888222) 74382, მობ: (899) 154-447.

სატენდერო კომისია

# განცხადება საერთაშორისო ტენდერის ჩატარების შესახებ

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო აცხადებს საერთაშორისო ტენდერს კვების პროდუქტების შესყიდვა და მომსახურეობაზე იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად**

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ ჩარიცხონ სატენდერო მოსაკრებელი 200(ორასი) ლარის ოდენობით ფინანსთა სამინისტროს სახაზონო სამსახურში, რომლის რეკვიზიტებია: ეროვნული ბანკი, სახაზინო კოდი:302003000, ანგარიშსწორების ანგარიში N200122900, მიუთითოთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სატენდერო მოსაკრებელი და წარმოადგინოთ თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი ქ. თბილისი გ. გულუას N8 ოთახი 401, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართ-ულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

2. მისაწოდებელი საქონლის რაოდენობა.

ლოტი1

| დასახელება | | თბილისი ობიექტი N1 | თბილისი ობიექტი N2 | თბილისი ობიექტი N3 | თბილისი ობიექტი N4 | თბილისი ობიექტი N5 | ოქროყანა | გორი | ბათუმი | ბათუმი | თბილისი ობიექტი N1 | თბილისი ობიექტი N2 | მიწოდების ვადები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| პური I ხ. ფქვ. | კგ | 20650 | 20400 | 19050 | 13030 | 3010 | 7420 | 7620 | 3810 | 5400 | 44800 | 16000 | ყოველდღე |
| პური რუხი | კგ | 10320 | 10220 | 9520 | 6515 | 1500 | 3710 | 3810 | 1900 | 0 | 0 | 0 | ყოველდღე |
| ხორბლის ფქვ. I ხარ. | კგ | 340 | 340 | 317 | 217 | 50 | 124 | 127 | 65 | 60 | 500 | 180 | თვეში ერთხელ |
| ბურღულეული | კგ | 3435 | 3410 | 3175 | 2170 | 500 | 1235 | 1270 | 635 | 600 | 5000 | 1800 | თვეში ორჯერ |
| ბრინჯი | კგ | 1370 | 1360 | 1270 | 870 | 200 | 500 | 510 | 250 | 250 | 2000 | 710 | თვეში ორჯერ |
| მაკარონის ნაწ. | კგ | 1370 | 1360 | 1270 | 870 | 200 | 500 | 510 | 250 | 250 | 2000 | 710 | თვეში ორჯერ |
| ხორცი საქონლის | კგ | 6880 | 6815 | 6350 | 4340 | 1000 | 2470 | 2540 | 1270 | 1200 | 10000 | 3550 | ხუთდღეში ერთხელ |
| თევზი | კგ | 3440 | 3410 | 3170 | 2170 | 500 | 1235 | 1270 | 635 | 600 | 5000 | 1800 | ხუთდღეში ერთხელ |
| მაწონი | ლიტ | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 5000 | 0 | სამდღეში ერთხელ |
| რძის ფხვნილი | კგ | 900 | 885 | 825 | 565 | 130 | 320 | 330 | 165 | 160 | 650 | 460 | თვეში ორჯერ |
| არაჟანi | კგ | 690 | 680 | 635 | 434 | 100 | 248 | 255 | 128 | 300 | 2500 | 890 | სამდღეში ერთხელ |
| ხაჭო | კგ | 690 | 680 | 635 | 434 | 100 | 248 | 255 | 128 | 200 | 1500 | 540 | სამდღეში ერთხელ |
| ყველი | კგ | 690 | 680 | 635 | 434 | 100 | 248 | 255 | 128 | 200 | 1500 | 540 | ხუთდღეში ერთხელ |
| შაქარი | კგ | 2420 | 2390 | 2220 | 1520 | 350 | 870 | 890 | 440 | 400 | 3500 | 1250 | თვეში ორჯერ |
| კარაქი | კგ | 1380 | 1360 | 1270 | 870 | 200 | 490 | 510 | 255 | 250 | 2000 | 710 | ხუთდღეში ერთხელ |
| მარგარინი | კგ | 340 | 340 | 320 | 220 | 50 | 125 | 130 | 60 | 60 | 500 | 180 | ხუთდღეში ერთხელ |
| მცენ. ზეთი | ლ | 690 | 680 | 635 | 435 | 100 | 245 | 255 | 130 | 120 | 1000 | 355 | თვეში ორჯერ |
| კარტოფილი | კგ | 17200 | 17030 | 15870 | 10860 | 2500 | 6180 | 6350 | 3170 | 3000 | 25000 | 8900 | თვეში სამჯერ |
| კომბოსტო | კგ | 5170 | 5110 | 4760 | 3260 | 750 | 1850 | 1900 | 950 | 700 | 6000 | 2130 | თვეში სამჯერ |
| ჭარხალი | კგ | 1040 | 1020 | 950 | 650 | 150 | 370 | 380 | 190 | 200 | 1500 | 540 | თვეში სამჯერ |
| სტაფილო | კგ | 2070 | 2050 | 1900 | 1300 | 300 | 740 | 760 | 380 | 260 | 2240 | 800 | თვეში სამჯერ |
| ხახვი | კგ | 2070 | 2050 | 1900 | 1300 | 300 | 740 | 760 | 380 | 500 | 3500 | 1250 | თვეში სამჯერ |
| კიტ.,პომ.(სეზ.) | კგ | 615 | 610 | 570 | 390 | 90 | 220 | 230 | 115 | 130 | 1100 | 390 | სამდღეში ერთხელ |
| ბადრ.,ისპ.ფხალ(სეზ) | კგ | 335 | 330 | 305 | 210 | 50 | 120 | 120 | 60 | 70 | 550 | 195 | სამდღეში ერთხელ |
| მწვანილი | კგ | 685 | 680 | 635 | 435 | 100 | 250 | 255 | 130 | 120 | 1000 | 360 | სამდღეში ერთხელ |
| ნიორი | კგ | 170 | 170 | 160 | 110 | 25 | 60 | 65 | 30 | 30 | 250 | 90 | თვეში ორჯერ |
| ხილის წვენი | ლ | 1720 | 1700 | 1590 | 1085 | 250 | 620 | 635 | 320 | 600 | 5000 | 1770 | თვეში ორჯერ |
| კისელის კონც. | კგ | 685 | 680 | 635 | 435 | 100 | 250 | 255 | 130 | 120 | 1000 | 355 | თვეში ორჯერ |
| ხილი სხვად. | კგ | 3440 | 3410 | 3175 | 2170 | 500 | 1230 | 1270 | 635 | 1200 | 10000 | 3550 | ხუთდღეში ერთხელ |
| ხილფაფა | კგ | 175 | 170 | 160 | 110 | 25 | 65 | 65 | 30 | 0 | 0 | 0 | თვეში ორჯერ |
| ჩაი | კგ | 70 | 70 | 63 | 44 | 10 | 25 | 25 | 13 | 15 | 100 | 35 | თვეში ერთხელ |
| ტომატ-პასტა | კგ | 520 | 510 | 475 | 325 | 75 | 185 | 190 | 95 | 120 | 1000 | 360 | თვეში ორჯერ |
| ძმარი | ლ | 100 | 100 | 95 | 65 | 15 | 40 | 40 | 20 | 20 | 150 | 55 | თვეში ორჯერ |
| მარილი | კგ | 670 | 680 | 640 | 440 | 100 | 250 | 260 | 130 | 120 | 1000 | 354 | თვეში ერთხელ |
| წიწak, საკმ.-სან.. | კგ | 17 | 17 | 16 | 11 | 2.5 | 6.5 | 6.5 | 3.5 | 3 | 25 | 9 | თვეში ერთხელ |
| თაფლი | კგ | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 180 | 1500 | 535 | თვეში ერთხელ |
| შოკოლადის ნაწარმი | კგ | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 600 | 4980 | 1770 | თვეში სამჯერ |
| კაკაო | კგ | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 25 | 200 | 75 | თვეში ერთხელ |
| საკონდიტრო ნაწარმი | კგ | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1200 | 10000 | 3540 | სამდღეში ერთხელ |

ლოტი N2

| დასახელება | | გორი | მიწოდების ვადები |
|---|---|---|---|
| პური I ხ. ფქვ. | კგ | 4410 | ყოველდღე |
| ???? რუხი | კგ | 2210 | ყოველდღე |
| ხორბლის ფქვ. I xar. | კგ | 100 | თვეში ერთხელ |
| ბურღულეული | კგ | 750 | თვეში ორჯერ |
| ბრინჯი | კგ | 300 | თვეში ორჯერ |
| მაკარონის ნაწ. | კგ | 300 | თვეში ორჯერ |
| ხორცი საქონლის | კგ | 1470 | ხუთდღეში ერთხელ |
| თევზი | კგ | 735 | ხუთდღეში ერთხელ |
| რძის ფხვნილი | კგ | 200 | თვეში ორჯერ |
| არაჟანi | კგ | 150 | სამდღეში ერთხელ |
| ხაჭო | კგ | 150 | სამდღეში ერთხელ |
| ყველი | კგ | 150 | ხუთდღეში ერთხელ |
| შაქარი | კგ | 520 | თვეში ორჯერ |
| კარაქი | კგ | 295 | ხუთდღეში ერთხელ |
| მარგარინი | კგ | 75 | ხუთდღეში ერთხელ |
| მცენ. ზეთი | ლ | 150 | თვეში ორჯერ |
| კარტოფილი | კგ | 3700 | თვეში სამჯერ |
| კომბოსტო | კგ | 1100 | თვეში სამჯერ |
| ჭარხალი | კგ | 220 | თვეში სამჯერ |
| სტაფილო | კგ | 440 | თვეში სამჯერ |
| ხახვი | კგ | 440 | თვეში სამჯერ |
| კიტ.,პომ.(სეზ.) | კგ | 140 | სამდღეში ერთხელ |
| ბადრ.,ისპ,ფხალ.(სეზ.) | კგ | 80 | სამდღეში ერთხელ |
| მწვანილი | კგ | 150 | სამდღეში ერთხელ |
| ნიორი | კგ | 40 | თვეში ორჯერ |
| ხილის წვენი | ლ | 750 | თვეში ორჯერ |
| კისელის კონც. | კგ | 220 | თვეში ორჯერ |
| ხილი სხვად. | კგ | 750 | ხუთდღეში ერთხელ |
| ხილფაფა | კგ | 40 | თვეში ორჯერ |
| ჩაი | კგ | 15 | თვეში ერთხელ |
| ტომატ-პასტა | კგ | 150 | თვეში ორჯერ |
| ძმარი | ლ | 22 | თვეში ორჯერ |
| მარილი | კგ | 150 | თვეში ერთხელ |
| წიწაკ, საკმ.-სან.. | კგ | 4 | თვეში ერთხელ |
| თაფლი | კგ | 220 | თვეში ერთხელ |
| შოკოლადის ნაწარმი | კგ | 740 | თვეში სამჯერ |

გაგრძელება B5 გვერდზე

# განცხადება საერთაშორისო ტენდერის ჩატარების შესახებ

B4 გვერდიდან

| | | ლოტი 3 | | | | | | | ლოტი 4 | | | | | | | ლოტი 5 | ლოტი 6 | ლოტი 7 | ლოტი 8 | ლოტი 9 | მიწოდების ვადები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ახმეტა | ქუთაისი | ზუგდიდი | ზუგდიდი | ბათუმი | გორი | მცხეთა | თბილისი ობიექტი N1 | თბილისი ობიექტი N2 | თბილისი ობიექტი N3 | თბილისი ობიექტი N4 | თბილისი ობიექტი N5 | თბილისი ობიექტი N6 | ოქროყანა | რუსთავი | წალკა | ბაკურიანი | ახალციხე | ახალქალაქი | |
| პური I ხ. ფქვ. | კგ | 7615 | 3410 | 10020 | 62125 | 4010 | 1000 | 4010 | 91800 | 2570 | 8169 | 10450 | 5140 | 11020 | 3120 | 20040 | 20040 | 28060 | 14030 | 6412 | ყოველდღე |
| პური რუხი | კგ | 3810 | 1700 | 5010 | 31060 | 2000 | 500 | 2000 | 45900 | 1290 | 1560 | 5200 | 2570 | 5510 | 1560 | 10020 | 10020 | 14030 | 7015 | 3206 | ყოველდღე |
| ხორბლის ფქვ. I ხარ. | კგ | 130 | 60 | 167 | 1035 | 70 | 20 | 70 | 1530 | 40 | 142 | 170 | 80 | 180 | 50 | 330 | 330 | 470 | 230 | 110 | თვეში ერთხელ |
| ბურღულეული | კგ | 1270 | 570 | 1670 | 10355 | 670 | 170 | 670 | 15300 | 420 | 1418 | 1750 | 860 | 1840 | 520 | 3340 | 3340 | 4680 | 2340 | 1070 | თვეში ორჯერ |
| ბრინჯი | კგ | 510 | 230 | 670 | 4145 | 270 | 70 | 270 | 6120 | 170 | 200 | 700 | 340 | 730 | 210 | 1340 | 1340 | 1870 | 935 | 430 | თვეში ორჯერ |
| მაკარონის ნაწ. | კგ | 510 | 230 | 670 | 4145 | 270 | 70 | 270 | 6120 | 170 | 384 | 700 | 340 | 730 | 210 | 1340 | 1340 | 1870 | 935 | 430 | თვეში ორჯერ |
| ხორცი საქონლის | კგ | 2540 | 1140 | 3340 | 20710 | 1335 | 335 | 1335 | 30600 | 860 | 1601 | 3500 | 1720 | 3670 | 1050 | 6680 | 6680 | 9350 | 4680 | 2140 | ხუთდღეში ერთხელ |
| თევზი | კგ | 1270 | 570 | 1670 | 10355 | 670 | 170 | 670 | 15300 | 430 | 1234 | 1750 | 860 | 1840 | 520 | 3340 | 3340 | 4680 | 2340 | 1070 | ხუთდღეში ერთხელ |
| რძის ფხვნილი | კგ | 330 | 150 | 435 | 2695 | 175 | 45 | 175 | 3970 | 110 | 130 | 450 | 220 | 480 | 140 | 870 | 870 | 1215 | 610 | 280 | თვეში ორჯერ |
| არაჟანი | კგ | 255 | 115 | 334 | 2075 | 135 | 35 | 135 | 3060 | 85 | 100 | 350 | 170 | 370 | 100 | 670 | 670 | 935 | 470 | 215 | სამდღეში ერთხელ |
| ხაჭო | კგ | 255 | 115 | 334 | 2075 | 135 | 35 | 135 | 3060 | 85 | 100 | 350 | 170 | 370 | 100 | 670 | 670 | 935 | 470 | 215 | სამდღეში ერთხელ |
| ყველი | კგ | 255 | 115 | 334 | 2075 | 135 | 35 | 135 | 3060 | 85 | 100 | 350 | 170 | 370 | 100 | 670 | 670 | 935 | 470 | 215 | ხუთდღეში ერთხელ |
| შაქარი | კგ | 890 | 400 | 1170 | 7250 | 470 | 120 | 470 | 10710 | 300 | 544 | 1220 | 600 | 1300 | 370 | 2340 | 2340 | 3270 | 1640 | 750 | თვეში ორჯერ |
| კარაქი | კგ | 510 | 230 | 670 | 4145 | 270 | 70 | 270 | 6120 | 170 | 210 | 700 | 340 | 740 | 210 | 1340 | 1340 | 1870 | 935 | 430 | ხუთდღეში ერთხელ |
| მარგარინი | კგ | 130 | 60 | 170 | 1035 | 70 | 20 | 70 | 1530 | 40 | 463 | 170 | 85 | 180 | 50 | 335 | 335 | 470 | 235 | 110 | ხუთდღეში ერთხელ |
| მცენ. ზეთი | ლ | 255 | 115 | 334 | 1070 | 135 | 35 | 135 | 3060 | 85 | 375 | 350 | 170 | 370 | 100 | 670 | 670 | 935 | 470 | 215 | თვეში ორჯერ |
| კარტოფილი | კგ | 6350 | 2840 | 8350 | 51770 | 3340 | 840 | 3340 | 76500 | 2100 | 7190 | 8700 | 4300 | 9200 | 2600 | 16700 | 16700 | 23380 | 11690 | 5350 | თვეში სამჯერ |
| კომბოსტო | კგ | 1905 | 855 | 2510 | 15535 | 1000 | 250 | 1000 | 22950 | 640 | 1902 | 2600 | 1300 | 2750 | 780 | 5000 | 5000 | 7000 | 3500 | 1600 | თვეში სამჯერ |
| ჭარხალი | კგ | 380 | 170 | 500 | 3110 | 200 | 50 | 200 | 4590 | 130 | 563 | 520 | 250 | 550 | 160 | 1000 | 1000 | 1400 | 700 | 320 | თვეში სამჯერ |
| სტაფილო | კგ | 765 | 340 | 1000 | 6215 | 400 | 100 | 400 | 9180 | 260 | 769 | 1050 | 500 | 1100 | 310 | 2000 | 2000 | 2800 | 1400 | 640 | თვეში სამჯერ |
| ხახვი | კგ | 765 | 340 | 1000 | 6215 | 400 | 100 | 400 | 9180 | 260 | 861 | 1050 | 500 | 1100 | 310 | 2000 | 2000 | 2800 | 1400 | 700 | თვეში სამჯერ |
| კიტ.,პომ.(სეზ.) | კგ | 230 | 105 | 300 | 1855 | 120 | 30 | 120 | 2900 | 80 | 100 | 330 | 160 | 350 | 100 | 2170 | 2170 | 3040 | 1520 | 200 | სამდღეში ერთხელ |
| ბადრ.,ისპ.ფხალ.(სეზ.) | კგ | 125 | 55 | 165 | 1000 | 65 | 20 | 65 | 1570 | 50 | 50 | 180 | 90 | 190 | 50 | 1170 | 1170 | 1640 | 820 | 100 | სამდღეში ერთხელ |
| მწვანილი | კგ | 255 | 115 | 335 | 2070 | 135 | 35 | 135 | 3060 | 85 | 284 | 350 | 170 | 370 | 100 | 670 | 670 | 935 | 470 | 215 | სამდღეში ერთხელ |
| ნიორი | კგ | 65 | 30 | 85 | 518 | 35 | 8 | 35 | 760 | 20 | 71 | 90 | 40 | 90 | 25 | 170 | 170 | 235 | 115 | 55 | თვეში ორჯერ |
| ხილის წვენი | ლ | 635 | 285 | 835 | 5180 | 335 | 85 | 335 | 7650 | 210 | 260 | 880 | 430 | 920 | 260 | 1670 | 1670 | 2340 | 1170 | 535 | თვეში ორჯერ |
| კისელის კონც. | კგ | 255 | 115 | 335 | 2070 | 135 | 35 | 135 | 3060 | 85 | 100 | 350 | 170 | 370 | 100 | 670 | 670 | 935 | 470 | 215 | თვეში ორჯერ |
| ხილი სხვად. | კგ | 1270 | 570 | 1670 | 10355 | 670 | 170 | 670 | 15300 | 430 | 520 | 1750 | 860 | 1840 | 520 | 3340 | 3340 | 4680 | 2340 | 1070 | ხუთდღეში ერთხელ |
| ხილფაფა | კგ | 65 | 30 | 84 | 518 | 35 | 9 | 35 | 760 | 20 | 25 | 85 | 40 | 90 | 25 | 170 | 170 | 235 | 115 | 55 | თვეში ორჯერ |
| ჩაი | კგ | 26 | 12 | 34 | 207 | 14 | 4 | 14 | 300 | 8.0 | 19 | 35 | 17 | 35 | 10 | 65 | 65 | 95 | 45 | 20 | თვეში ერთხელ |
| ტომატ-პასტა | კგ | 190 | 85 | 250 | 1555 | 100 | 25 | 100 | 2290 | 65 | 103 | 260 | 130 | 280 | 80 | 500 | 500 | 700 | 350 | 160 | თვეში ორჯერ |
| ძმარი | ლ | 38 | 17 | 50 | 310 | 20 | 5 | 20 | 460 | 10 | 15 | 50 | 25 | 55 | 15 | 100 | 100 | 140 | 70 | 30 | თვეში ორჯერ |
| მარილი | კგ | 255 | 115 | 335 | 2070 | 135 | 35 | 135 | 3060 | 85 | 284 | 350 | 170 | 370 | 100 | 670 | 670 | 935 | 470 | 215 | თვეში ერთხელ |
| წიწაk, საკმ.-სან.. | კგ | 6.5 | 3 | 8.5 | 52 | 3.5 | 1 | 3.5 | 75 | 2 | 8 | 9 | 4 | 9 | 3 | 17 | 17 | 23 | 12 | 5.5 | თვეში ერთხელ |

3. მიწოდების ადგილი - მითითებული ობიექტების მისამართი ეცნობება მიმწოდებლებს ხელშეკრულების გაფორმების დროს.

4. მიწოდების ვადები ეტაპობრივად შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, მოთხოვნიდან 2006 წლის 31 დეკემბრამდე.

5. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) 15 თებერვლის 10,00 საათიდან 12,00 საათამდე, მისამართზე: ქ. თბილისი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, გ. გულუას ქ. N8.

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

ა) ცნობა საჯარო რეესტრიდან, რომ მის ქონებაზე არ არის ყადაღა დადებული..

ბ) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

გ) ინფორმაცია მსგავსი მომსახურეობის გამოცდილების შესახებ.

7. პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შესაბამებიან სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

8. გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი.

9. ტენდერის შედეგად შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

10. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ალექსი თაბუაშვილი ტელ. 75-47-74, 899 23-46-95

**სატენდერო კომისია**

1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

# საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია აცხადებს ტენდერს საავტომობილო საწვავის შესასყიდად:

| ლოტი | მოსაწოდებელი საქონლის მოკლე დასახელება | რაოდენობა | მოწოდების ადგილი | მოწოდების გრაფიკული ვადები |
|---|---|---|---|---|
| 1. | ბენზინი "პრემიუმი" | 210 000 ლიტრი | მომწოდებლის საკუთარი ბენზოგასამართი სადგურებიდან სატალონო მომსახურებით | ხელშეკრულების გაფორმებიდან დეკემბრის თვის ჩათვლით. ყოველთვიურად 19091 ლიტრი |
| 2. | დიზელი "ლ-62" | 10 000 ლიტრი | მომწოდებლის საკუთარი ბენზოგასამართი სადგურებიდან სატალონო მომსახურებით | ხელშეკრულების გაფორმებიდან დეკემბრის თვის ჩათვლით ყოველთვიურად 909 ლიტრი |
| 3. | დიზელი "ლ-62" | 10 000 ლიტრი | მომწოდებლის საკუთარი ტრანსპორტის მოწოდება – აჭარა, ს. ბობოყვათი | ხელშეკრულების გაფორმებიდან დეკემბრის თვის ჩათვლით ყოველთვიურად 909 ლიტრი |
| 4. | დიზელი "ლ-62" | 10 000 ლიტრი | მომწოდებლის საკუთარი ტრანსპორტით მოწოდება – ქ. ბორჯომი – ლიკანი | ხელშეკრულების გაფორმებიდან დეკემბრის თვის ჩათვლით ყოველთვიურად 909 ლიტრი |
| 5. | დიზელი "ლ-62" | 10 000 ლიტრი | მომწოდებლის საკუთარი ტრანსპორტით მოწოდება – ს. წეროვანი | ხელშეკრულების გაფორმებიდან დეკემბრის თვის ჩათვლით ყოველთვიურად 909 ლიტრი |
| 6. | დიზელი "ლ-62" | 20 000 ლიტრი | მომწოდებლის საკუთარი ტრანსპორტით მოწოდება – ქ. თბილისი | ხელშეკრულების გაფორმებიდან დეკემბრის თვის ჩათვლით ყოველთვიურად 1820 ლიტრი |

და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს. ტენდერის შედეგად გამოვლენილი იქნება ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

დაინტერესებულმა პირებმა განაცხადი ტენდერში მონაწილეობის სურვილის შესახებ, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება (დალუქულ კონვერტში) ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 14 თებერვლიდან 16 თებერვლის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ინგოროყვას №7.

პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

იურიდიული პირისათვის:

1. შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (იურიდიული მისამართი, ტელეფონის ნომერი, საბანკო რეკვიზიტები);
2. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;
3. ცნობებს სასამართლოდან და/ან საგადასახადო ინსპექციიდან ადგილმდებარეობის მიხედვით, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმე;
4. ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

ფიზიკური პირისათვის:

1. ცნობას შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;
2. ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ (ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო შემოსავლებისათვის ა №200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი 220101107, სახაზინო კოდი 30200 3000; დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 14 თებერვლამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ინგოროყვას №7.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: რამაზ მინდიაშვილი, საკონტაქტო ტელეფონი 99 89 77, 8 93 180324 და შორენა მამუკაშვილი, საკონტაქტო ტელეფონი 93 47 39, 8 99 732878 მისამართზე: ქ. თბილისი, ინგოროყვას №7.

*სატენდერო კომისია*

# საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია აცხადებს ტენდერს სამეურნეო საქონლის შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს. ტენდერის შედეგად გამოვლენილი იქნება ერთი გამარჯვებული. სამეურნეო საქონლის დეტალური ჩამონათვალი მოცემული იქნება სატენდერო დოკუმენტაციაში. შესყიდვა განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 31 დეკემბრამდე.

დაინტერესებულმა პირებმა განაცხადი ტენდერში მონაწილეობის სურვილის შესახებ, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება (დალუქულ კონვერტში) ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 14 თებერვლიდან 16 თებერვლის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ინგოროყვას №7.

პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

იურიდიული პირისათვის:

1. შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (იურიდიული მისამართი, ტელეფონის ნომერი, საბანკო რეკვიზიტები);
2. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;
3. ცნობებს სასამართლოდან და/ან საგადასახადო ინსპექციიდან ადგილმდებარეობის მიხედვით, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;
4. ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

ფიზიკური პირისათვის:

1. ცნობას შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;
2. ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ (ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო შემოსავლებისათვის ა №200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი 220101107, სახაზინო კოდი 30200 3000; დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 14 თებერვლამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ინგოროყვას №7.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: რამაზ მინდიაშვილი, საკონტაქტო ტელეფონი 99 89 77, 8 93 180324 და შორენა მამუკაშვილი, საკონტაქტო ტელეფონი 93 47 39, 8 99 732878 მისამართზე: ქ. თბილისი, ინგოროყვას №7.

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** ქ. ბათუმის საქალაქო მეურნეობის ადგილობრივი სამსახური (ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25) აცხადებს ტენდერს ქ. ბათუმის გარე განათების კაპიტალური შეკეთების სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**შესყიდვის ობიექტი დაყოფილია ლოტებად:**

**ლოტი N1** ქალაქის ტერიტორიაზე არსებული არქიტექტურული და ისტორიული მნიშვნელობის მქონე შენობების ფასადებზე გარე განათების ახალი სანათი მოწყობილობების სამონტაჟო სამუშაოები.

**ლოტი N2** ქალაქის ტერიტორიაზე არსებულ ქუჩებზე და მოედნებზე გარე განათების სანათების სამონტაჟო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები.

**2.** მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან **2006 წლის 1 ივლისამდე პერიოდი.**

**3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება, ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, დალუქული პაკეტებით უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 16 თებერვლიდან 2006 წლის 17 თებერვლის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25. (ქ. ბათუმის საქალაქო მეურნეობის ადგილობრივი სამსახური).**

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1 იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობას, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ გაკოტრებისა და სანაციის საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან, საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

ბ) ცნობას შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ. (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

გ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ.

დ) ცნობას საქართველოს შსს-ს საინფორმაციო ცენტრიდან რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელი მუშაკები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულები და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

**4.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია.

ბ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს რაიონული სასამართლოდან).

გ) ცნობას საქართველოს შსს-ს საინფორმაციო ცენტრიდან რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმატიზაციის სამმართველოდან);

დ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ.

**4.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) ცნობა შესაბამისი საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;

გ) ინფორმაცია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ (აუდიტორული დასკვნა).

**5.** სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება 2006 წლის 16 თებერვლამდე ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის (ქ. ბათუმის საფინანსო სამსახურის სპეციალური ანგარიში N000142402, საიდენტიფიკაციო კოდი 245428531, ბანკის კოდი 220501102, დანიშნულება სატენდერო მოსაკრებელი) გადახდის შემდეგ, შეეძლებათ მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25 (ქ. ბათუმის საქალაქო მეურნეობის ადგილობრივი სამსახური)..

**6**. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ერთი სატენდერო წინადადება. ტენდერში ლოტების მიხედვით შესაძლებელია ორი გამარჯვებულის გამოვლენა.

**7.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - მანუჩარ მეგრელიშვილი ტ. 7-66-40, მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25.

**სატენდერო კომისია**

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

**სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებელი" აცხადებს ტენდერს მაუწყებელის ძირითადი შენობის, გარე პერიმეტრის და აღნიშნულ პერიმეტრზე განლაგებული შენობების 24 საათიანი დაცვის მომსახურების შესყიდვაზე და ტენდერზე მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს**

რეკვიზიტები - ქ. თბილისი კოსტავას ქ. N68

**დაცვის ობიექტის აღწერილობა:**

**1. ტერიტორიის საერთო ფართია 36 377 მ/კვ**

**2. ძირითადი შენობა (კორპუსი N1) 4 სართულიანი; ერთი მთავარი და ორი დამხმარე შესასვლელი; განაშენიანების ფართი 5221 მ/კვ; შენობის საერთო ფართი 12 132 მ/კვ;**

**3. გარე პერიმეტრი შემოღობილია და უზრუნველყოფილია ხუთი სათვალთვალო ჯიხურით, მათ შორის ორი ავტომანქანების გამშვები პუნქტი.**

**4. პერიმეტრზე განლაგებულია შემდეგი შენობა-ნაგებობები:**

**ა) კორპუსი N2**

**ბ) კორპუსი N3**

**გ) კორპუსი N4**

**დ) სადურგლო-მექანიკური საამქრო;**

**ე) ფირსაცავი**

**ვ) საწყობი**

**ზ) ავტოფარეხი**

**მომსახურების ვადა 2006 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით**

**საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას**

**იურიდიული პირებისათვის:**

- ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების საქმის წარმოება
- ცნობას საგადასახადოდან, რომ არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.
- ცნობას რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.
- ცნობას რეგისტრაციის შესახებ (ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, გაცემული შესაბამისი რაიონის საგადასახადო ორგანოს მიერ ან არასაწარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან, გაცემული იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეგისტრაციის სამმართველოს მიერ)

**ფიზიკური პირებისათვის:**

- ცნობას, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ იგი ქმედუნარიანია;
- ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

**როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

- სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს.
- ინფორმაციას ქონებრივი მდგომარეობის შესახებ;
- ინფორმაცია გამოცდილების შესახებ;

ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია გადაეცემათ მათ მიერ სატენდერო მოსაკრებლის (200ლ.) გადახდის შემდეგ, 2006წ. 15 თებერვლის 11 საათიდან 16 თებერვლის 17 საათამდე. შემდეგ მისამართზე: თბილისი, კოსტავას 68 ოთახი N 341.

**სატენდერო მოსაკრებელი 200.0 ლარის ოდენობით უნდა გადარიცხოთ შემდეგ ანგარიშზე:**

**მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში**

**მიმღების ანგარიში: 200122900**

**მიმღების ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი**

**მიმღების ბანკის კოდი: 220101107**

**სახაზინო კოდი: 302003000**

**გადახდის დანიშნულება: სატენდერო მოსაკრებელი**

**დამატებითი ინფორმაცია: სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებელი" (2585)**

ტენდერში .მონაწილეობის მსურველებმა სატენდერო კომისიას "სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" კანონის შესაბამისად საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადადებები დალუქულ კონვერტში უნდა წარმოუდგინონ ქართულ ენაზე 2006წ.20 თებერვლის 11 საათიდან 22 თებერვლის 12 საათამდე. შემდეგ მისამართზე: თბილისი, კოსტავას 68 ოთახი N 341.

წარმოდგენილი უნდა იქნეს სუბკონტაქტორის (არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემებიც.

პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამებიან სატენდერო დოკუმენტაციისა და განცხადების მოთხოვნებს

ტერიტორიისა და მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობების გეგმა მოცემული იქნება სატენდერო დოკუმენტაციაში.

დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ საკონტაქტო პირს - ნათია ზამთარაძე ტელ: 33-23-64

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო**

# ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

**(24 იანვარი)**

საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებების საქმიანობის ლიცენზირებასთან დაკავშირებით

"ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონისა და "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის მიღებასთან დაკავშირებით საკანონმდებლო აქტებში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელებამდე საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებათა ლიცენზირების წესებისა და პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2005 წლის 29 ივლისის N121 დადგენილების მოთხოვნათა საფუძველზე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში წარმოდგენილია ლიცენზიის მაძიებელთა განცხადებები და შესაბამისი დოკუმენტაცია:

1. ქ. რუსთავში არსებული შ.პ.ს. "რუსთველი"- ითხოვს ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის გენერალურ ლიცენზიას.

უწყებრივ სალიცენზიო რეესტრში ცვლილებების შეტანას ითხოვს:

1. შ.პ.ს. "ინტელექტის" წნორის კერძო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა - სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე, შ.პ.ს. "ინტელექტი" წარმოადგენს ინდივიდუალური საწარმოს "ნუგზარ ეხვაიას" სამართალმემკვიდრეს.

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო*

# სატენდერო განცხადება

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქეუწყებო დაწესებულება - ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დეპარტამენტი აცხადებს ტენდერს ფილმების (მხატვრული, დოკუმენტური და მულტფილმები) და სერიალების გახმოვანებასთან დაკავშირებული მომსახურების შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობისათვის ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტი:

| ლოტი | შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები | რაოდენობა (საათი) |
|---|---|---|
| ლოტი N1 | ფილმები (მხატვრული, დოკუმენტური, მულტფილმები) სერიალი | არაუმეტეს 500 (სულ ხუთას საათამდე) |

:

2. შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, ხელშეკრულების დადების დღიდან, 2006 წლის 31 დეკემბრამდე:

- ლოტი N1 თვეში არანაკლებ 30 საათი, ცალკეული სახეობის მიხედვით;

3. პრეტენდენტებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შეეძლებათ სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, 2006 წლის 16 თებერვლამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, მ. აბაშიძის გამზირი N41, მე-3 სართულზე მე-20 კაბინეტში, 17.00 საათამდე.

სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე.

4. სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორას) ლარს. მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე:

*სახაზინო კოდი: 300924040 - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი (საწვავის შესყიდვასთან დაკავშირებით) - შემსყიდველი: აჭარის ა.რ. მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დეპარტამენტი)*

*დანიშნულება: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის ცენტრალური შემოსულობები*

5. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადებები (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) ქართულ ენაზე (დალუქული და ხელმძღვანელი პირის მიერ ხელმოწერილი კონვერტის მეშვეობით) უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 17 თებერვლიდან 19 თებერვლამდე, ქ. ბათუმი, მ. აბაშიძის გამზირი N41, მე-3 სართულზე მე-20 კაბინეტში, 11.00 საათიდან 17.00 საათამდე.

6. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებლად პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილ უნდა იქნეს შემდეგი დოკუმენტები:

*ა) იურიდიული პირების მიერ:*
- რეკვიზიტები;
- რეგისტრაციის შესახებ დადგენილება/ბრძანება
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- ცნობა სასამართლოდან რომ არ მიმდინარეობს მის მიმართ გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;
- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი ლიკვიდაცია ან რეორდგანიოზაცია.

*ბ) ფიზიკური პირების მიერ:*
- ცნობა შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან, მისი ქმედუნარიანობის შესახებ (უნდა იყოს ქმედუნარიანი);
- ცნობა სასამართლოდან, რომ მისი მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

*გ) როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირების მიერ:*
- ინფორმაცია მსგავსი სამუშაოების შესრულებისა და გამოცდილების შესახებ;
- გასაწევი მომსახურების ნიმუში.

დ) საკვალიფიკაციო მოთხოვნები ეხება აგრეთვე სუბ-კონტრაქტორებს, თუ ისინი ჩართულნი იქნებიან სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესრულების პროცესში.

7. გამოყენებულ იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი, საბანკო გარანტიის სახით, ხელშეკრულების ღირებულების 2 %-ის ოდენობით.

8. საკონტაქტო პირები: მინურ ტუნაძე - ტელ/ფაქსი (888222) 74377, მობ: (893) 722-300; თეა შანიძე - ტელ: (888222) 74382, მობ: (899) 154-447.

*სატენდერო კომისია*

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი (მის: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 32) აცხადებს ტენდერს კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვის მიზნით და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს მონაწილეობის მისაღებად.

2. კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვა, მახასიათებლების მიხედვით განხორციელდება (დაიყოფა) შემდეგ ლოტებად:

**I ლოტი - 2 ერთეული**
**I**
Motherboard
FSB 533, 2DDR 533, 3PCI, int. sound, Lan10/100
CPU
2.66Ghz/533/256K
Intel/Celeron
Memory
512MB/533/ PC3200
HDD
80 Gb/7200RPM
LAN
Integrated 10/100
VGA
SVGA 128MB
Sound
Integrated
FDD
FDD 3.5" 1.44MB
CD Drive
CDRW-DVD COMBO
Mouse
Optical, PS/2
Keyboard
PS/2, Standard
Case
ATX 2,033 Power supply (Real 280W)
Monitor17", 0,2/1024x768 85Hz

**II ლოტი - 140 ერთეული**
**II დონე**
Motherboard
FSB 533, 2DDR400, 3PCI, int. sound, Lan10/100, Video
CPU
2.66Ghz/533/256K
Intel/Celeron
Memory
256MB/400/ PC3200
HDD
40 Gb/7200RPM
LAN
Integrated 10/100
VGA
Integrated
Sound
Integrated
FDD
FDD 3.5" 1.44MB
CD Drive
CD-ROM 52x
Mouse
Optical, PS/2
Keyboard
PS/2, Standard
Case
ATX 2,033 Power supply (Real 280W)
Monitor17", 0,2/1024x768 85Hz

**III ლოტი - 10 ერთეული**
**III დონე**
Motherboard
FSB 533, 2DDR400, 3PCI, int. sound, Lan10/100, Video
CPU
2.66Ghz/533/256K
Intel/Celeron
Memory
256MB/400/ PC3200
HDD
40 Gb/7200RPM
LAN
Integrated 10/100
VGA
Integrated
Sound
Integrated
FDD
FDD 3.5" 1.44MB
CD Drive
CDRW-DVD COMBO
Mouse
Optical, PS/2
Keyboard
PS/2, Standard
Case
ATX 2,033 Power supply (Real 280W)
Monitor17", 0,2/1024x768 85Hz

**IV ლოტი - 19 ერთეული**
**IV დონე**
Motherboard
FSB 533, 2DDR 533, 3PCI, int. sound, Lan10/100,
CPU
2.66Ghz/533/256K
Intel/Celeron
Memory
512MB/533/ PC3200
HDD
80 Gb/7200RPM
LAN
Integrated 10/100
VGA
SVGA 128MB,
Sound
Integrated
FDD
FDD 3.5" 1.44MB
CD Drive
CD-ROM
Mouse
Optical, PS/2
Keyboard
PS/2, Standard
Case
ATX 2,033 Power supply (Real 280W)
Monitor 17", 0,2/1024x768 85Hz

3. საქონლის მიწოდების სავალდებულო ვადაა 2006 წლის 5 მარტამდე.

4. მიწოდება უნდა განხორციელდეს განცხადების პირველ პუნქტში მითითებულ მისამართზე.

5. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება (ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად) უნდა წარმოადგინონ არაუგვიანეს 2006 წლის 15 თებერვლის 17 საათისა.

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

გ) ცნობა შესაბამისი რაიონული საგადასახადო ორგანოდან, ბიუჯეტის მიმართ დავალიანების არარსებობის შესახებ.

7. ყველა საკვალიფიკაციო მონაცემი წარმოდგენილი უნდა იქნეს ერთი ეგზემპლარი ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, მე-2 ეგზემპლარი - ქსეროასლის სახით.

8. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. მონაწილეობის მსურველ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შეეძლებათ 2006 წლის 15 თებერვლის 17 საათამდე, მას შემდეგ, რაც გადაიხდიან 200 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებელს შემდეგ ანგარიშზე: ს.ს. "საქართველოს ბანკი"; ს.კ. 204864487; ბ/კ. 220101502; ა/ა 007609489. სატენდერო დოკუმეტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 32. პირველი სართული, ოთახი 116.

9 . იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-6 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება ან/და თუ მათ მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება შესაბამისობაში არ იქნება ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებითა და სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილ მოთხოვნებთან.

10. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ერთი სატენდერო წინადადება.

11. ტენდერში გამოვლინდება ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

12. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - სოფიო გაჩეჩილაძე, ტელ.: 294618. მისამართზე: სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი, ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 32.

*სატენდერო კომისია*

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქ. თბილისის მერიის შპს "თბილისის მეტროპოლიტენი" აცხადებს ღია ორეტაპიან ტენდერს მეტროპოლიტენის სადგურების ვესტიბიულების კაპიტალური შეკეთების საპროექტო დოკუმენტაციის სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად საპროექტო ორგანიზაციებს.

შესყიდვის ობიექტი დაყოფილია 4 პოზიციად (ლოტად):

თბილისის მეტროპოლიტენის სადგურები: 1. "ისანი", 2. "ავლაბარი", 3. "თავისუფლების მოედანი", 4. "წერეთელი".

შემოთავაზებული სატენდერო წინადადება უნდა ითვალისწინებდეს სადგურების ზედა ვესტიბიულის (ინტერიერი-ექსტერიერი), დახრილი გვირაბისა და ქვედა ბაქნის დიზაინურ საპროექტო დოკუმენტაციას.

2. საპროექტო დოკუმენტაციის მიწოდება განხორციელდება ეტაპობრივად. საბოლოო მიწოდების ვადა არა უგვიანეს 2006 წლის 15 მარტამდე.

3. დაფინანსების წყარო: ქ. თბილისის ბიუჯეტი.

4. პრეტენდენტმა პირველად სატენდერო წინადადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს საკვალიფიკაციო მონაცემები (ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი. უცხო ენაზე წარმოდგენილ დოკუმენტებს უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართულ ენაზე) და ეს უკანასკნელი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

იურიდიული პირისათვის:
- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;
- ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან, საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ).

ფიზიკური პირისათვის:
- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირისათვის:
- ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;
- ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;
- ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ.

შენიშვნა: არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით.

5. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

6. პრენტენდენტმა საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად უნდა წარმოადგინოს პირველადი სატენდერო წინადადება ღირებულების გარეშე.

ინსტრუქცია პირველადი სატენდერო წინადადების შედგენის წესის შესახებ:

პირველადი სატენდერო წინადადება შედგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე (უცხო ენაზე წარმოდგენილ სატენდერო წინადადებას უნდა ახლდეს ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი);

პირველადი სატენდერო წინადადება ღირებულების გარეშე წარმოდგენილი უნდა იქნას საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად, ერთი დახურული კონვერტით;

პირველადი სატენდერო წინადადებით წარმოდგენილ უნდა იქნას ზოგადი მონაცემები საპროექტო სამუშაოების შესახებ (თუ როგორ გაახორციელებენ აღნიშნულ საპროექტო სამუშაოებს), რომლის საფუძველზეც შემდგომში შესაძლებელია სატენდერო დოკუმენტაციისა და ტექნიკური პირობების დაზუსტება.

7. განაცხადი, პირველადი სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები შედგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე (უცხო ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში მას უნდა ახლდეს ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი) და წარმოდგენილ იქნას სატენდერო კომისიის აპარატში 2006 წლის 15 თებერვლიდან 2006 წლის 17 თებერვლის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი №2 შპს "თბილისის მეტროპოლიტენი" (არარეზიდენტი უფლებამოსილია აღნიშნული დოკუმენტაცია წარმოადგინოს მისთვის მისაღებ ენაზეც, ასეთ შემთხვევაში მას თან უნდა ახლდეს მათი ნოტარიულად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი. სატენდერო კომისია განიხილავს მხოლოდ ქართულ ენაზე წარმოდგენილ დოკუმენტაციას).

8. სატენდერო კომისიაში შემოსული საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადებები საექსპერტო დასკვნისათვის წარედგინება შესასყიდი მომსახურების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელი შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს საექსპერტო კომისიას, რომლის დასკვნაც წარმოადგენს სატენდერო კომისიის მიერ პრეტენდენტთა შერჩევის საფუძველს.

9. სატენდერო კომისია მეორე ეტაპზე მოიწვევს მხოლოდ იმ პრეტენდენტებს, რომლებიც თავისი საკვალიფიკაციო მონაცემებითა და შემოთავაზებული წინადადებით შეესაბამებიან პირველი ეტაპისათვის დადგენილ პირობებს და იქნება შესასყიდი მომსახურების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელი შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს დადებითი დასკვნა.

10. სატენდერო მოსაკრებლის 200 (ორასი) ლარის გადახდის შემდგომ (ა №173407 გაერთიანებული ქართული ბანკის დიდუბის ფილიალი № 3/4, კოდი 220101665, საიდენტიფიკაციო კოდი 202886788) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 25 იანვრიდან 2006 წლის 17 თებერვლამდე შემდეგ მისამართზე: ვაგზლის მოედანი №2 შპს "თბილისის მეტროპოლიტენი".

11. ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

12. ტენდერში პოზიციების (ლოტების) მიხედვით შესაძლებელია გამოვლინდეს რამდენიმე გამარჯვებული.

13. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: მერაბ ჩადუნელი (სატენდერო აპარატის მდივანი), საკონტაქტო ტელეფონი: 877-52-54-34, შიდა ტელეფონი: 95-74, მისამართზე: ვაგზლის მოედანი № 2, II სართული, თბილისის მეტროპოლიტენი.

**სატენდერო კომისია**

# ანგლომანია

## ანუ მე მიყვარს ჩემი დედოფალი

თამარ ბაბუაძე




ყველანაირი მანია ავადმყოფობას არ ნიშნავს. უფრო პირიქით – ანგლომანია სასიამოვნო სენია. ამ სენით დაავადებულნი ბევრნი არიან და, პირველ რიგში, ინგლისს გარეთ. დედოფალ ელისაბედით დაწყებული და იუნიონ ჯეკის ტრუსით დამთავრებული – მათ ყველაფერი ინგლისური უყვართ. ასეთებს თავიანთი "ინგლისური კალენდარიც" აქვთ შედგენილი და ამ კალენდარზე აღნუსხულ ყველა მნიშვნელოვან თარიღს აღნიშნავენ.

ერთ-ერთი თარიღია 3 მაისი. ამ დღიდან 4 სექტემბრის ჩათვლით ნიუ იორკის მეტროპოლიტენის მუზეუმი უმასპინძლებს გამოფენას: "ანგლომანია: ტრადიცია და ტრადიციების გარღვევა ბრიტანულ მოდაში". ამ მდიდრული და ხანგრძლივი ექსპოზიციის სპონსორი "ბარბერი" გახლავთ, მონაწილები კი დიზაინერები – ვივიენ ვესტვუდი, სტელა მაკარტნი, პოლ სმიტი და ალექსანდერ მაკქუინი – ჩვენი დღევანდელი გმირი და მილანის მოდის კვირეულის ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი.

16-17 იანვრის მაკქუინის შოუს შესახებ ჟურნალ "ვოგის" ჟურნალისტი აღფრთოვანებული წერდა. აღფრთოვანების მიზეზი კოლექციის მხიარული ფერები და მოულოდნელობები იყო. მაკქუინმა მილანური პუბლიკა, თურმე, ტრანსილვანიაშიც ამოგზაურა, შემდეგ ვიქტორიანულ ლონდონში, მერე ახალ ორლეანში და მხოლოდ ამის მერე დააბრუნა რეალობაში.

ცხადია, ეს მოგზაურობა მაკქუინის ახალი ტანსაცმლის საშუალებით განხორციელდა. დიზაინერმა თითქმის ყველა ტექნიკა გამოიყენა, ტვიდი გამჭვირვალე ვუალის ქსოვილს შეუხამა, ინგლისური მძივებით ჟაკეტები და პალტოები გააწყო, ველვეტი და შალიც გამოიყენა, ქურქიც, მოტკეცილი შარვლებიც, პლისე ნაცრისფერი ქვედაკაბებიც, და ზოგს უელსის პრინცი გაახსენა, ზოგს – მიკ ჯაგერი და 70-იანი წლები და ზოგსაც – 20-იანი წლების ახალი ორლეანი.

მაკქუინის შოუ მილანში, ერთ მიტოვებულ საკუჭნაოში გაიმართა. იდუმალ ხიბლს კოლექციას ალბათ ეს გარემოებაც ანიჭებდა. თუმცა, თუ ეწვევით მაქუინის ინტერნეტ-საიტს: http://www.alexandermcqueen.com/ და მის ბოლო კოლექციას დაათვალიერებთ, ჟურნალ "ვოგის" პათეტიკას თქვენც აუცილებლად გაიზიარებთ. განსაკუთრებით მოგხიბლავთ ნაქსოვი ტანსაცმელი, მხიარული ფერები, მკაცრი კოსტიუმები და მოდელების ზედმიწევნით დრამატული მაკიაჟი.



შემდეგ გული აუცილებლად გაგიწევთ ხელჩანთების გრაფისკენ, სადაც აღმოაჩენთ ძალიან მსუყე და სავსე წითელ, მწვანე და ყავისფერ ტყავის ჩანთებს, რომლებიც თავიანთი ფორმებით აუცილებლად გაგახსენებთ სამეფოს, თანაც ბრიტანულს.

შემდეგი link სიტყვა სწორედ ეს იქნება – "სამეფო". მაკქუინის პარფიუმერია ხომ სწორედ ამ ერთ ცნებაზეა აგებული. თვითონ მაკქუინი მას ასე განმარტავს: "სამეფო უძველესი ანგლო-საქსონური სიტყვაა, რომელიც ჩემთვის რაინდების რომანტიკული ეპოქის გამოძახილი და უსაზღვრო ბავშვური ფანტაზიის ნაწილია. მას მელანქოლიის სურნელიც ასდის, მაგრამ, პირველ რიგში, სიტყვა "სამეფო" გვახსენებს, რომ დღესაც შეიძლება ვიცხოვროთ გმირულ და დიდებულ სამყაროში".

ალექსანდერ მაკქუინმა ეს დიდებული სამყარო რამდენიმე წლის წინ შექმნა. მას ორად გაპობილი გულის ფორმა მისცა, მუქ შინდისფრად შეფერა და ვერცხლისფერი ტონებით სიგრილე მიანიჭა. სუნამო კი, რომელიც ამ სამეფოში ჩაასხა, ისეთი დახვეწილი გამოუვიდა, ისეთი მდიდრული და ისეთი უცნაური, რომ თანაბრად შეაყვარა ტკბილი და გრილი სუნამოების მოყვარულ ქალბატონებს.

"ჩვენი გული ჩვენი სამეფოა. თუ ხანდახან გული არ გაგვიტყდება, ესე იგი, სავსე ცხოვრებით არ გვიცხოვრია", - ასეთია მაკქუინის "კანონმდებლობა", რომელიც მის ახალ სამეფოშიც ვრცელდება. ეს სამეფო დედოფლისაა, მას უკვე იასამნისფერი ტონი დაჰკრავს. My Queen – ეს მაკქუინის მეორე სუნამოა, ანუ სულ ახალი და, სხვათა შორის, მისი ნახვა დიზაინერის ვირტუალური "სამეფოს" გარდა თბილისში, "ისი პარის" მაღაზიათა ქსელშიც შეგიძლიათ. "არ მომწონს ნივთები, რომელთაც იოლად ელევი. მე მსურს, ჩემმა სუნამომ დროს გაუძლოს, ტრადიციად იქცეს; ისე, როგორც ჩემმა სხვა ნამუშევრებმა, დროს გაუძლოს. მინდა, მათ მოდის საზღვრებს მიღმა გააღწიონ და ახალი სიცოცხლე დაიწყონ", – აცხადებს დიზაინერი და ამ ამოცანას, ცხადია, თავის მეორე სუნამოსაც უსახავს.

My Queen პირველ არომატზე უფრო ტკბილი და დედოფლურია. დიზაინერი, რომელმაც 2003 წელს ბრიტანეთის იმპერიის რაინდის ტიტული მიიღო, ელისაბედ დედოფალს პირადადაც შეხვედრია და აცხადებს, რომ ის ერთი ნახვით შეუყვარდა. "მართალია, მანამდე მასზე ბევრ ცუდს ვამბობდი, მაგრამ შევხედე თვალებში და რაღაცნაირად გავუგე მას".

არავინ იცის, My Queen პირადად ელისაბედს ეძღვნება თუ არა. შეიძლება ის დიზაინერს ზოგადად ქალი-მუზის ხოტბის შესასხმელად შეექმნა. ასეა თუ ისე, ფაქტია, ალექსანდერ მაკქუინი თანამედროვე ბრიტანული მოდის ყველაზე ცნობილი სახელი და მსოფლიო სენის – ანგლომანიის მთავარი პერსონაჟია.

ამ ტიტულს დიზაინერი ივნისიდან ერთი-ორად გაიმყარებს. მეტროპოლიტანში მიმდინარე გამოფენის პარალელურად ხომ მაკქუინის მეორე მზა ტანსაცმლის ხაზის McQ-ს პრეზენტაციაც გაიმართება. კოლექცია, რომელიც 600-მდე მაღაზიაში დაიდება, ჯინსის, ჟაკეტების, მინი-კაბების, ნაქსოვი ტანსაცმლისა და მაისურებისგან შედგება. ფასები 60 გირვანქა სტერლინგიდან დაიწყება და 500-ს მიაღწევს.

# მსოფლიო პრემიერამდე ორი დღით ადრე

კანის ფესტივალამდე ჯერ კიდევ შორია, მაგრამ უკვე დგინდება ის ფილმები, რომლებმაც ფესტივალის საკონკურსო პროგრამა უნდა გაამრავალფეროვნოს. 17 მაისს 59-ე ფესტივალს "და ვინჩის კოდი" გახსნის. რონ ჰოვარდის ფილმს, რომელშიც მთავარ როლებს ტომ ჰენქსი, ოდრი ტოტუ და ჟან რენო ასრულებენ, მსოფლიო პრემიერამდე ორი დღით ადრე სწორედ კანში იხილავენ. დენ ბრაუნის მსოფლიო ბესტსელერად ქცეული თრილერის მიხედვით გადაღებულ ფილმში თამაშობენ ჟან რენო, სერ იან მაქკელენი და ალფრედ მოლინა. რონ ჰოვარდიც ცნობილი რეჟისორია, რომელმაც საუკეთესო ფილმისა და რეჟისურისთვის 2002 წლის ცერემონიალზე "ოსკარი" დაიმსახურა ფილმით "ბრწყინვალე გონება" (A Beautiful Mind). ასე რომ, მაყურებელი და კინოკრიტიკოსები თანაბარი ინტერესით ელიან ჰოვარდის შედეგს, იმას, თუ რა გამოუვიდა კარგ რეჟისორს, არანაკლებ კარგ და პროფესიონალ გადამღებ ჯგუფთან ერთად.

ასე რომ, განხილვა და დებატები "და ვინჩის კოდის" შესახებ მაისში ახალი სიმძაფრით განახლდება. გამოსვლის დღიდან ხომ წიგნის 30 მილიონზე მეტი ეგზემპლარი გაიყიდა და 40 ენაზე ითარგმნა. მწვავე კრიტიკის მიუხედავად, საბოლოოდ ეკლესიამ ტექსტი გამოგონილ ამბად შერაცხა. არადა, როგორც ავტორი აცხადებს, წიგნი უამრავ ისტორიულ წყაროს ეყრდნობა.

წინა კვირას კათოლიკურმა ჯგუფმა "ოპუს დეიმ" მოითხოვა, რომ ჯერჯერობით უცენზო ფილმს ზრდასრულთა ცენზი მიანიჭონ, რათა ბავშვები დაიცვან "იმ საშინელი ტყუილებისგან, რომლებიც კათოლიციზმის შესახებ უხვადაა ტექსტში". "ოპუს დეის" წარმომადგენლის მარკ კაროჯოს თქმით: "ზრდასრულ ადამიანს შეუძლია რეალობა შეთხზული ამბისგან გაარჩიოს. მაგრამ ბავშვს ხომ ვერ მოსთხოვ იგივეს?!"

"და ვინჩის კოდში" პროდიუსერებმა 100 მილიონი დოლარი ჩადეს. გადაღებების დიდი ნაწილი ლუვრში მიმდინარეობდა. 11-დღიან ფესტივალზე ფილმს კონკურსგარეშე აჩვენებენ. საფრანგეთსა და პარიზში მას იმავე დღეს გაუშვებენ კინოთეატრებში, ამერიკასა და ბრიტანეთში კი ჰოვარდის სურათის ნახვა 19 მაისიდან შეეძლებათ.

რაც შეეხება კანის ფესტივალს, მას წელს ჟიურის თავმჯდომარედ ეყოლება ვონ კარ ვაი – პირველი ჩინელი თავმჯდომარე კანის ფესტივალის ისტორიაში.




## ცნობა

ამა/წლის 31 იანვარს ქ. თბილისის მერიაში 11 საათზე მოწვეულია ქ. თბილისის მთავრობის სხდომა

*ქ. თბილისის მერიის აპარატი*


## გამაჯანსაღებელი ცენტრი

ნაუტილუსი



**გთავაზობთ:**

- აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა
- "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

**მისამართი:** ი.ჭავჭავაძის 78
**ტელ:** 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge







## სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**


კომიქსი

